# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 27 თებერვალი, 2005 წელი. №47 (5080) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



◎ თბილისური სურათები

# მეტეხი – თბილისის-ქალაქის სიამაყე

**მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სოლოლაკისა და თაბორის მთების მოპირდაპირე მხარეს მდებარე კლდოვან პლატოზე მეფე დემეტრე II თავდადებულმა არსებული საძირკვლის იმ გეგმის მიხედვით ააშენა, რომელიც XIII საუკუნეში ჯერ ხვარაზმელებმა, შემდეგ კი მონღოლებმა გაანადგურეს.**

„მეტეხის ეკლესია“ (ასე მოიხსენიებს მას ხალხი), თბილისელების ეს უსაყვარლესი ადგილი, თავისი მდებარეობით განუმეორებელ და დაუვიწყარ სილუეტს ქმნის, რითაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დედაქალაქის ისტორიულ ნაწილს.

მეტეხის უბანი V-XIII საუკუნეებში ქალაქის ფარგლებს მიღმა მდებარე ტერიტორია ყოფილა. მის სასაფლაოზე, რომელსაც „საგოდებელს“, ძველ ქართულად იგივე „სოლდებილს“ უწოდებდნენ. იოანე საბანისძის ცნობით არაბებს წმიდა აბო ტფილელის ნეშტი დაუწვავთ.

დრომ თავისი გაიტანა. სამწუხაროდ, უკვალოდ გაქრა იმდროინდელი სამეფო სასახლე. საუკუნეებმა თავისებური კორექტივები შეიტანეს მეტეხის გარეგნულ იერსახეშიც და დასახლების განვითარებაშიც. თუ რა ხდებოდა შემდეგ, „ცოცხლად“ შემოგვინახეს მატიანემ და ფოტოხელოვანმა როინიშვილმა...

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან კი ამ უბნის ცხოვრების ბევრის მნახველი და მომსწრე ჩვენი დღევანდელი წერილის გმირი, მეწაღე ვლადიმერ, იგივე ვალოდა ასატუროვიც არის.

იხ. მე-3 გვ.



მეტეხის ტაძრის ხედი ვორონცოვის ქუჩიდან. 1858 წელი. ალექსანდრე ივანიცკის ფოტო.

## ნომერში წაიკითხავთ:


**ოქრო, რომელსაც პატრონი გამოეცვალა**



ჩვენი უხუცესი მეცნიერი, გამოჩენილი არქეოლოგი, აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე გვიამბობს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მომხდარი ერთი გახმაურებული ფაქტის შესახებ.
მე-4 გვ.

**ცის დაპყრობის ისტორია – ოცნებიდან რეალობამდე**



მასალაში გაეცნობით პირველი ქართველი ავიატორ-კონსტრუქტორის, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ფუძემდებლის ბესარიონ ქებურიას საინტერესო ცხოვრების გზას.
მე-5 გვ.

**ევა ჰერციგოვა – პოდიუმის დედოფალი**



მსოფლიო დიზაინერების წარმატებული შემოქმედება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ წარმოაჩენს ნამუშევარს – მოდელს... ამ მხრივ, რამდენიმე მანეკენს შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ევა ჰერციგოვაა, რომელსაც მოდის სამყაროში პოდიუმის მერლინ მონროს უწოდებენ.
მე-8 გვ.


◎ ფაქტი

# მეინვარწვერზე „თი-ბი-სი ბანკის“ დროშა ფრიალებს!

**კარგა ხანია, ქართულ საბანკო-საფინანსო სივრცეში „თი-ბი-სი ბანკს“ ერთ-ერთი სანდო, სოლიდური, მართლაც გამორჩეული ადგილი უჭირავს.**

გუშინ, 26 თებერვალს, დედაქალაქის ცენტრში, მარჯანიშვილის ქუჩაზე, ბანკის ახალი სათაო ოფისი გაიხსნა. საზეიმო ცერემონიალი ერთობ შთამბეჭდავი და სახალხო იყო. აშკარად ჩანდა, – ქართველი მეანაბრე შეეჩვია კომერციული, კერძო სტრუქტურების გათავისების პროცესს. საქართველოში ყველაზე მსხვილი კომერციული ბანკის ახალი შენობა, – ერთ დროს ცენტრალური უნივერმაღი – თბილისის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს. მისი გენერალური განახლება-რესტავრაცია „თი-ბი-სი ბანკმა“ სამიოდე წლის წინათ დაიწყო.

იხ. მე-2 გვ.



◎ კვირის თვალსაწიერი

# ეს არ იყო „მერე რა“, მაგრამ ჩვენს გასაკეთებელს სხვა ვერ გააკეთებს

## სახელმწიფო მინისტრებმა არარსებული პორთფელები შეინარჩუნეს, ენერგეტიკის თავკაცმა კი – თავი

**საერთოდ ასე ვიცით: რაიმე მოვლენას ან ცაში ავიყვანთ, ქება-დიდებით ძირს გავაგდებინებთ, ან სულ გავატრიზავებთ.**

საშუალოს გამოყვანა გვიჭირს ხოლმე.

ახლაც, როცა ბრატისლავაში აშშ-ისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების შეხვედრის შესახებ ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინვე ორი პოლუსი გამოიკვეთება ხოლმე.

ერთნი თვალებგაბრწყინებული იხსენებენ, თუ როგორ ახსენა ბატონმა ბუშმა საქართველო ოთხჯერ (ახლა გვეშველა, ეგ უჩვენებს სეირს რუსეთსო), მეორენი, წაუსტვენენ, ეგეთები გვსმენიაო (გეგონება ამერიკის პრეზიდენტებს აქამდე სულ საქართველოს ხსენებაში ამოსდიოდათ სული). აკი მიხეილ სააკაშვილმა გულდაწყვეტით თქვა კიდეც, ახლა ზოგიერთი ხელს აქნევს, მერე რაო!

„მერე რა“ ნამდვილად არ იყო. როდესაც სუპერსახელმწიფოს ლიდერი გამოდის და რამდენჯერმე ახსენებს შენს ქვეყანას, რა თქმა უნდა, ეს აუცილებლად დიდ რამეს ნიშნავს. შემთხვევით და გაუაზრებლად უმაღლესი დონის პოლიტიკაში არაფერი ხდება.

ბრატისლავაში, პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრის წინ, ხალხით გაჭედილ მთავარ მოედანზე გამოსვლისას, პრეზიდენტ ბუშის მიერ საქართველოს ოთხჯერ მოხსენიება, პირველ ყოვლისა, იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ თუმცა ბოლო წლებში ამერიკის ადმინისტრაციის ინტერესი საქართველოსადმი უდავოდ არსებობდა, მაგრამ ახლა გამოიკვეთა მის საგარეო პოლიტიკაში, სამომავლო დღის წესრიგში, საქართველოს ერთგვარი პრიორიტეტულობა.

რა თქმა უნდა, ვაშინგტონი ჰაიჰარად არ არიგებს თავის კეთილგანწყობილებას. იგი ფხიზლად ადევნებს თვალს ჩვენს ნაბიჯებს, ჩვენს მონაწილეობას საერთაშორისო პროგრამებში, კოსოვო იქნება ეს, ავღანეთი თუ ერაყი. სათანადოდ აფასებს იმას, რომ სწორ გზაზე ვდგავართ და თუმცა ამ გზაზე ზოგჯერ ვბორძიკობთ, მაინც ჯიუტად მივიწევთ წინ და სავარაუდოა, რომ მიზანსაც მივაღწევთ.

პრეზიდენტმა ბუშმა რამდენჯერმე ხსენებით ხაზი გაუსვა, რომ საქართველო არის მნიშვნელოვანი ქვეყანა, რომ საქართველო დღეს ერთ-ერთი მთავარი თემაა მსოფლიოში.

არადა, განა სულ ახლახან არ ვიდექით დამოკლეს მახვილის ქვეშ: შეძლებს საქართველო იყოს დამოუკიდებელი ქვეყანა, აქვს მას უნარი ჩაერთოს მსოფლიო თანამეგობრობაშიო? ჩვენ მოგვიაზრებდნენ რუსეთის გავლენის სფეროში მყარად მიბმულ ქვეყნად, რუსეთის ახლო საზღვარგარეთად. პრეზიდენტ ბუშის გამოსვლის შემდეგ ეს სტერეოტიპი საბოლოოდ დაიმსხვრა. ნათელია, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს უყურებს, როგორც პერსპექტივიან ქვეყანას, საერთაშორისო სისტემის სრულუფლებიან წევრს.

ბრატისლავა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მიგვანიშნებს: რევოლუცია უნდა დამთავრდეს, დემოკრატიამ საბოლოოდ უნდა გაიმარჯვოს, ანუ, რევოლუციას დემოკრატია უნდა მოჰყვეს. ოღონდ, რევოლუცია რომ დავამთავროთ, ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ რევოლუციური ცვლილებები აუცილებლად დემოკრატიულ ცვლილებებს ნიშნავს (ამერიკისთვის სულაც არ არის მისაღები რევოლუციის ყველანაირი შედეგი). ჩვენ გვაქვს რეალური შანსი, გავხდეთ ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის წევრი, თუ ამ დემოკრატიული ცხოვრების წესს ვისწავლით.



იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

### პროფკავშირების ქონება – სახელმწიფოს

**საქართველოს** პროფესიული კავშირების ბალანსზე არსებული ქონება ორშაბათიდან სახელმწიფოს ოფიციალურად გადაეცემა. ეკონომიკის განვითარების სამინისტრო ორშაბათს სპეციალურ ხელშეკრულებას გააფორმებს, რომლის მიხედვით პროფესიული კავშირების ბალანსზე არსებული ქონება მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაში გადავა.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ეკონომიკის განვითარების მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა განაცხადა, გუშინ პროფკავშირებმა „კეთილგონივრული გადაწყვეტილება მიიღეს და მთელი ქონება სახელმწიფოს დაუთმეს“.

– პროფკავშირების ქონება იქმნებოდა თითოეული მოქალაქის მიერ, ამიტომ მისი მართვა სახელმწიფოს და არა რომელიმე კონკრეტული ჯგუფის საქმეა, – განაცხადა ალექსიშვილმა.

### ლიცენზირების სისტემა უქმდება

**საქართველოს** კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ დიმიტრი ქიტოშვილმა გუშინ ბიზნესმენთა ფედერაციაში შეკრებილ ბიზნესმენებსა და დეპუტატებს ელექტრონული კომუნიკაციებისა და ფოსტის შესახებ კანონპროექტი გააცნო.

როგორც ქიტოშვილმა აღნიშნა, კანონპროექტის ძირითადი ამოცანაა კომუნიკაციების ბაზრის ლიბერალიზაცია და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება, ამ სფეროში საქმიანობის დაწყების და განხორციელების გამარტივება.

როგორც ქიტოშვილმა აღნიშნა, ამ კანონპროექტის ძირითადი სიახლე იმაშია, რომ მთლიანად უქმდება ლიცენზირების სისტემა, მათ შორის – სალიცენზიო გადასახადი, ლიცენზიის მიღების ხანგრძლივი პროცედურები და ლიცენზიის შეჩერებისა და გაუქმების მკაცრი სანქციები. – თუ პიროვნებას კომუნიკაციების სექტორში მუშაობის დაწყება სურს, მთავარია, მან კომუნიკაციების კომისიაში რეგისტრაცია გაიაროს. მას უკვე ყოველგვარი ლიცენზიისა და ყოველგვარი ნებართვის გარეშე შეეძლება ამ სფეროში მუშაობა, – აღნიშნა მან.

### დაპირისპირების პროვოცირების მცდელობა

**აფხაზეთის** უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად სულტან სოსნალიევის დანიშვნას რუსეთის მხრიდან აფხაზეთში მორიგი სამხედრო დაპირისპირების პროვოცირების მცდელობად აფასებს.

მჟავიას შეფასებით, იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთში ვითარებას რეალურად რუსეთი აკონტროლებს, მას ეჭვი ეპარება, სულტან სოსნალიევის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა აფხაზური არჩევანი იყოს.

## ინტერპანორამა

**სომხეთის** პრეზიდენტს მიაჩნია, რომ არსებობს ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების მცირე იმედი. თუმცა, რობერტ ქოჩარიანმა აღნიშნა, რომ „სანამ პრაქტიკულად არ გადაწყვეტილა მთიანი ყარაბაღის პრობლემა, კვლავ არ შეწყდება მითქმა-მოთქმა იმის თაობაზე, რომ მოლაპარაკების პროცესი ჩიხში მოექცა. მსოფლიო გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი კონფლიქტების სწრაფად მოგვარება შეუძლებელია“, – მიაჩნია სომხეთის პრეზიდენტს.



**ამერიკაში** ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ქალს მარტა სტიუარტს შეეძლება კვლავ დაუბრუნდეს სამუშაოს და მიიღოს ხელფასი წელიწადში 900 ათასი დოლარის ოდენობით. მარტა სტიუარტი 2004 წლის 5 მარტს ცნეს ბრალეულად იმაში, რომ 2001 წელს მან ისარგებლა ინსაიდერის ინფორმაციით და გაყიდა ერთ-ერთი ფარმაკოლოგიური კომპანიის აქციების მისი კუთვნილი პაკეტი.



◎ წინ, საქართველო!

# 65:0 – აღარც ძმობა, აღარც მეგობრობა?!

**გუშინ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ერთა თასის გათამაშების მესამე მატჩში უკრაინის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა. ბორჯღალოსნებმა წინა ორ პაექრობაში ჯერ რუსებს სძლიეს სტუმრად 27:15, შემდეგ კი ლისაბონში პორტუგალიელებთან დამარცხდნენ 14:18. საგულისხმოა, რომ გუშინდელი მეტოქეები აქამდე ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ყველა ორთაბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. ამ მხრივ, არც 26 თებერვლის პაექრობა იყო გამონაკლისი.**

მასპინძლებმა მე-5 წუთზე გახსნეს ანგარიში. ლელო გუგავამ გაიტანა, გარდასახვა კი ბარკალაიამ ვერ გამოიყენა, თუმცა მისი დარტყმა ზუსტი გამოდგა მე-16 წუთზე, როცა ზერაქაშვილმა კიდევ ერთი ლელოთი გამოიჩინა თავი. ტაიმის ბოლომდე ბორჯღალოსნებმა მონაგარს კიდევ ორი ლელო (უდესიანი, კაცაძე) და ერთი ზუსტი გარდასახვა მიუმატეს და ანგარიში 24 ქულამდე გაზარდეს. სტუმრებს ორჯერ მიეცათ ანგარიშში სხვაობის შემცირების შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენეს – ახლო მანძილებიდან უზუსტოდ დაარტყეს საჯარიმოები.

იხ. მე-7 გვ.



CYAN MAGENTA YELOOW BLACK

ფაქტი

# მყინვარწვერზე „თი-ბი-სი ბანკის“ დროშა ფრიალებს!

(პირველი გვერდიდან)

ჩვენდა საბედნიეროდ, ბოლო ხანს თბილისში, ბიზნეს-კომპანიების დაფინანსებით, ქალაქის რამდენიმე ძველი ნაგებობის რესტავრაცია მიმდინარეობს. პირველი ასეთი რესტავრირებული კულტურისა და არქიტექტურის უნიკალური ნიმუშის გახსნა გუშინ მოხდა.

მართლაც და, რა მშვენიერება და უბრალოებაა, რა სიმდიდრე და სიძველისადმი მოკრძალებაა. განახლებული, აწ უკვე „თი-ბი-სი“ ბანკის“ საკუთრება სასახლე უნდა ნახო თუ მისით დატკბობა გსურს.

მკითხველს შევახსენებ, — ეს შენობა 1913 წელს, ზუსტად 92 წლის წინათ აიგო და მაშინდელი მოდერნის სტილის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა. თავდაპირველად მასში კავკასიის ოფიცერთა ეკონომიკური საზოგადოება იყო განთავსებული. თითქმის საუკუნოვანი ნაგებობისთვის პირვანდელი იერსახის დაბრუნებისთვის „თი-ბი-სი ბანკმა“ სარესტავრაციო სამუშაოებისთვის 10 მილიონი ლარი გაიღო. რესტავრაცია ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით მოხდა... თქვენ წარმოიდგინეთ, ეს პატრიოტული ნაბიჯი ბანკის ფინანსური წარმატების თავისებური თილისმა გახდება, — ამიერიდან უფრო ენდობი ისედაც შინაგანი პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე ბანკის ხელმძღვანელობას.






„თი-ბი-სი“ ბანკის ახალი სათაო ოფისის გახსნის საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, დედაქალაქის ხელმძღვანელობა, მთავრობის წარმომადგენლები, პარლამენტარები, განათლების, ბიზნესის, ხელოვნების მუშაკები, ჟურნალისტები...

„თი-ბი-სი ბანკმა“ ახალი სიმაღლეც დაიპყრო. ზუსტად იმ დროს, როდესაც ბანკის ოფისი გაიხსნა, ქართველმა მთამსვლელებმა ბიძინა გუჯაბიძემ და ლევან მუშკუდიანმა მყინვარწვერზე ბანკის სახელობის დროშა აღმართეს.

გვიყვარს ქართველებს ამაღლებული, რომანტიკულ-პოეტური განწყობილება. მყინვარწვერზე დროშის აღმართვის ფაქტიც ამის ნათელი დადასტურებაა.

„თი-ბი-სი ბანკის“ სამეთველყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მამუკა ხაზარაძემ და გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ აღგვითქვეს, ბანკი ხალხის ერთგული მსახური იქნება და კვლავაც გამოიჩენს თავს ქველმოქმედებითა და მეცენატობითო...

**სპარტაკ ქოზულია.**

მთავრობის სხდომა

# მთავარია არა თანამდებობა, არამედ განათების პროგრამაო, — ამბობს ნიკა გილაური

**ენერგეტიკა ჩვენი მთავრობის შეფასების მთავარი კრიტერიუმია. გზები, ენერგეტიკა და პატიოსანი მთავრობა შექმნის ქართულ ეკონომიკას, — ასე დასახა ძირითადი სამომავლო გეგმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მთავრობის საგანგებო სხდომაზე, რომელმაც მხოლოდ ერთი საკითხი განიხილა — ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს განათების პროგრამა“. 2005-2006 წლების პრიორიტეტებიც განისაზღვრა: — ახალი სიმძლავრეები და აღრიცხვიანობის საბოლოო მოწესრიგება.**

საქართველოს პრეზიდენტი არ აპირებს „ქვესადგურის უფროსად“ გადაიქცეს, რომელიც ყოველთვიურად „მონტიორის დონის“ მოხსენებებს მოისმენს. მისი თქმით, ფუჭი დაპირებების დრო დამთავრდა და ერთხელ და სამუდამოდ საქართველო წყვდიადიდან უნდა ამოვიდეს.

ახალ ხელისუფლებას ამ მხრივ მძიმე მემკვიდრეობა ერგო: 12 ძირითადი ჰესიდან სამი გაჩერებულია, ენგურჰესი ავარიულ მდგომარეობაშია, თბოსადგურები გაჩერებულია, ქსელი — ამორტიზებული, ხაზები კი გაძარცვულია. ფინანსურად გაბანკროტებულ სექტორს ემატება რეგიონებში აბონენტთა გამრიცხველიანებული მხოლოდ 10 პროცენტი. არსებობს მეზობელი ქვეყნების პრეტენზიები დავალიანებებზე და დახარჯული 500 მილიონი დოლარი.

პრეზიდენტის თქმით, დანგრეულია მთელი სისტემა. შეჭმული 500-მილიონიანი კრედიტი საკმარისი იქნებოდა ხუდონის ასაშენებლად. ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებმა კი „არა მხოლოდ შეჭამეს, არამედ დაგვიტოვეს სხვადასხვა მეზობელი ქვეყნის გაურკვეველი მაფიოზური ვალები“.

„ამდენ ფულს მიწაში ვერავინ ჩაფლავდა სადღაც თბილისის გარეუბანში. სადღაც ეს ფული არსებობს“ და პროკურატურა ამ საქმით უნდა დაინტერესდეს.

რაც შეეხება განათების ახალ პროგრამას, მაისის დასაწყისში, გარდაბნის თბილსრესის ადგილას 240-260 მეგავატის სიმძლავრის გაზოტურბინის დამონტაჟება დაიწყება, რაც 18 თვეს გასტანს. იმავდროულად, დაგეგმილია მეათე ბლოკის ამუშავება და თბილსრესის რეაბილიტაცია, ხოლო არსებული ჰესების რეაბილიტაციაში უმთავრესია ენგურჰესის რეაბილიტაციის პროგრამა. სავარუდოდ 25 მარტიდან 1 აპრილამდე იგი გაჩერდება, რაც ენერგომომარაგების მხრივ, მთელს ქვეყანას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. ენერგეტიკის მინისტრის თქმით, დაიწყება შეზღუდვები ელექტროენერგიის მიწოდებაზე, სამაგიეროდ ენგურჰესის 90-დღიანი გაჩერების შემდეგ, სექტემბრიდან მდგომარეობა გაუმჯობესდება.

სულ ბიუჯეტიდან 190 მილიონი ლარი გამოიყოფა, საიდანაც 44 მილიონი ლარი რეაბილიტაციის პროგრამას მოხმარდება, ხოლო 30 მილიონი — ახალი გაზოტურბინის მშენებლობის საწყისი ეტაპის დასაფინანსებლადაა გათვალისწინებული.

ნიკა გილაურის თქმით, აღრიცხვიანობის მოწესრიგებით და ქსელის აღდგენით, ზემოხსენებული პრობლემების მოგვარებასთან ერთად, 2006 წლის ოქტომბრისთვის ენერგომომარაგება გაუმჯობესდება.

სხდომის დასრულების შემდეგ, ჟურნალისტის შეკითხვაზე, ხომ არ გადაყვება მისი თანამდებობა ენერგეტიკულ კრიზისს, მან თქვა, რომ თანამდებობა მისთვის არსებითი არ არის, მთავარია მიზანი — ენერგეტიკული სექტორი გადაურჩეს იმ კოლაფსს, რომლის წინაშეც იგი ერთი წლის წინათ იდგა და შესრულდეს განათების პროგრამა, ხოლო შეკითხვაზე, თუ ვინ აიღებს პასუხისმგებლობას ამ პროექტის განხორციელებაზე, ნიკა გილაური, უპირველესად, საკუთარ თავს ასახელებს, შემდეგ კი — მთელ მთავრობას. „თუ ფინანსთა, ეკონომიკის სამინისტროებმა, აგრეთვე, მთავრობის მთელმა გუნდმა მხარი არ დაგვიჭირა, ასეთ სერიოზულ პროგრამას, საგრძნობლად შეზღუდულ ვადებში ვერავინ განახორციელებს“, — ამბობს ენერგეტიკის მინისტრი.



მან მაგალითად მოიშველია თელასის მიერ თბილისის გამრიცხველიანების მაგალითი, რომელსაც 4 წელიწადში 250 მილიონი დოლარი დასჭირდა. „ჩვენ ბევრად უფრო ამბიციურ პროგრამაზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება არა მხოლოდ თელასის ქსელი, არამედ — მთელი ენერგოსექტორი“, ამიტომ აუცილებელია ყველა რგოლის ურთიერთმონაწილეობა ამ საქმეში.

პროექტის რეალიზაციას პრივატიზაციის შემოსავლები მოხმარდება. პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის თქმით, ეს იქნება დაახლოებით 200 მილიონი ლარის ასიგნება, ხოლო გაისად 65 მილიონი ლარია დაგეგმილი. ჭიათურმანგანუმის, ვარციხე-ჰესისა და საოკეანო სანაოსნოს პრივატიზაციის შედეგად, უახლოესი 18 თვის განმავლობაში ენერგოსექტორი რეაბილიტირებული იქნება. ეს კი, პრემიერ-მინისტრის თქმით, ხელს შეუწყობს არა მარტო მოსახლეობის განათების პრობლემის მოგვარებას, არამედ ეკონომიკის განვითარებას.

მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა არაერთხელ გაიმეორა სიტყვა „სიმართლე“, „ჩვენ უნდა შეგვეძლოს ხალხთან ლაპარაკი სიმართლის ენით“, — თქვა მან. მალე საინფორმაციო ფურცელი მომზადდება, რომელიც ყველა ოჯახში შევა და სადაც განმარტებული იქნება, ენერგეტიკაში არსებული კრიზისის თაობაზე და დაისახება სიძნელეების დაძლევის გზებიც.

ასე რომ, მთავრობის საგანგებო სხდომამ საქართველოს განათების კონკრეტულ მიმართულებებზე საქმიანად იმსჯელა. არ გამართლდა გავრცელებული ხმები მთავრობაში ახალი „კარუსელის“ დატრიალების თაობაზე და რომ, უწინარესად, ნიკა გილაური დატოვებდა მინისტრის თანამდებობას. თუმცა, კულუარებში კვლავ ამბობენ, რომ საკადრო ცვლილებები მაისშია მოსალოდნელი. დაველოდოთ, რა მოხდება, შეინარჩუნებს თუ არა თანამდებობას ენერგეტიკის მინისტრი, რომელმაც განათების პროგრამის შესრულებაზე ძირითადი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო.

**თამარ შაიშმელაშვილი.**

ეს ერთი კვირა

## რით გამოარჩევდით დროის ამ მონაკვეთს ქვეყნისთვის და პირადად თქვენთვის?

**შეკითხვას უპასუხებს საქართველოსა და სომხეთის სახალხო არტისტი სოფიკო ჭიაურელი.**

**ქვეყნისთვის** — გასული კირა, ვფიქრობ, განსაკუთრებული და გამორჩეული არაფრით ყოფილა. თუმც, დღემდე მომყვება ქვეყნის პრემიერის ზურაბ ჟვანიას დაღუპვით გამოწვეული უდიდესი ტკივილი, არ მეგონა, ასეთი უსუსურები და დაუცველები თუ ვიქნებოდით. ღმერთმა ქნას, ამ ბურუსით მოცული ტრაგედიის ნამდვილი მიზეზი ხალხმა შეიტყოს და ბევრ უპასუხო კითხვას ნათელი მოეფინოს, რისი იმედიც, სამწუხაროდ, აღარ მაქვს.



**ჩემთვის პირადად** — მნიშვნელოვანია თეატრი „ვერიკოს“ საგასტროლოდ მიპატიჟება პეტერბურგში, სადაც რამდენიმე სპექტაკლს წარვადგენთ: „დედა — დედოფალი“, „დროთა კავშირი დაირღვა“, „სიყვარულის სულთათანა“ და სხვა. პეტერბურგშივეა დაგეგმილი ჩემი შემოქმედებითი საღამოც.

გასულ კვირას მივიღე მოწვევა „მოსფილმიდან“, რეჟისორებმა პოტაპოვმა და სააკიანმა თავიანთ ფილმებში საინტერესო როლები შემომთავაზეს.

**ლელა დონაძე.**

ინფორმაცია

## ახდა აჭარელი „ლეიბორისტების“ წინასწარმეტყველება?

**აჭარელი** „ლეიბორისტების“ კარი ყოფილი „ნაციონალებისთვის“ ღიაა. აჭარაში „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენელმა დავით რობაქიძემ გუშინ სპეციალურად მოწვეულ ბრიფინგზე ყოფილი „ნაციონალები“ „ლეიბორისტთა“ რიგებში მიიპატიჟა.

მას შემდეგ, რაც „ნაციონალების“ რიგები აჭარაში მოღვაწე 20-მა აქტივისტმა დატოვა, რობაქიძე აცხადებს, რომ მისი „წინასწარმეტყველება ახდა და „ნაციონალებს“ პარტია თავზე დაემხოთ“, შემოდგომაზე კი „ნაციონალებს“ აჭარაში დასათვლელი წიწილებიც აღარ ეყოლებათ“.

ამასთან, რობაქიძე იგივეს აჭარის მთავრობის ხელმძღვანელის ლევან ვარშალომიძის ხელისუფლებასაც უწინასწარმეტყველებს.

## საარბრიუკენი — ჩვენი 30 წლის მეგობარი

**თბილისსა** და საარბრიუკენის დამეგობრებას წელს 30 წლისთავი უსრულდება. ამასთან დაკავშირებით თბილისში საარბრიუკენის საქალაქო საბჭოს მმართველი ფრაქციის თავმჯდომარე და ამავე ფრაქციის წევრები ჩამოვლენ.

თბილისის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარის ნინო მირიანაშვილის თქმით, ორ ქალაქს შორის ურთიერთობა წლების მანძილზე მხოლოდ მმართველობითი ორგანოების დონეზე ვითარდებოდა, გასული წლიდან კი კავშირები თვითმმართველობის — საკრებულოსა და ფრაქციების დონეზეც დამყარდა.

გერმანული დელეგაცია თბილისს აპრილის თვეში ეწვევა.

## ახალი სკვერი და მოედანი — ყოველ შაბათს

**დედაქალაქის** ხელმძღვანელობა მიმდინარე წლის განმავლობაში 100-მდე სპორტული მოედნის შეკეთებას და 200-მდე სკვერის მოწესრიგებას გეგმავს. მუნიციპალიტეტის პირველი პირები აცხადებენ, რომ თბილისში განახლებული სკვერი და მოედანი ყოველ შაბათს გაიხსნება. ამ ახალი ტრადიციის ფარგლებში ერთ-ერთი სკვერი და სპორტული მოედანი გლდანის მასივის VII მიკრორაიონში განახლდა. მის გახნას გუშინ თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი და ქალაქის პრემიერი თემურ ქურხული დაესწრნენ.

გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის ინიციატივით და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საქალაქო სამსახურის უშუალო მონაწილეობით აღდგენითი სამუშაოები აქ კომპლექსურად განხორციელდა.

ვიცე-პრემიერის განცხადებით, მომავალ შაბათს ახალი სკვერი ისანი-სამგორის რაიონში გაიხსნება.

## გალი და ოჩამჩირე — უწყლოდ

**ქალაქი** გალი და ოჩამჩირეს რაიონის სოფლები სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი: რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯარისკაცებმა გალის რაიონის სოფელ რეჩხის ტერიტორიაზე არსებული წყალსაცავის მილები მიწიდან ამოიღეს და ზუგდიდის რაიონში, ფაიფურის ქარხნის ჯართის ჩამბარებელ ერთ-ერთ პუნქტში ჩააბარეს.

როგორც ჯართის ჩამბარებელი პუნქტის მეპატრონე აღნიშნავს, რუსმა სამშვიდობოებმა დაახლოებით ხუთ ტონამდე რკინა გუშინ ჩააბარეს.

როგორც კომპეტენტური პირები აცხადებენ, წყალსაცავიდან ამოღებული მილები წყალსადენის ცენტრალურ მაგისტრალს ეკუთვნოდა, რომელიც გალს და ოჩამჩირეს რაიონს სასმელი წყლით ამარაგებდა.

**ინტერ-პრესი.**

კვირის თვალსაწიერი

# ეს არ იყო „მერე რა“, მაგრამ ჩვენს გასაკეთებელს სხვა ვერ გააკეთებს

(პირველი გვერდიდან)

დემოკრატია დღეს ის საზომი ერთეულია, რომლითაც ვაშინგტონი ამა თუ იმ ქვეყნის ღირებულებებს აფასებს. იანვარში, თავისი ხელახალი ინაუგურაციის დროს წარმოთქმულ სიტყვაში, ბუშმა ახალი პრიორიტეტები დასახა თავის საგარეო პოლიტიკაში — დემოკრატიისთვის ბრძოლა. თვით ერაყშიც კი, სადაც გუშინ მთავარი იყო მასობრივი განადგურების იარაღის პოვნა, დღეს მთავარი დემოკრატიის დამყარებაა. აქედან, ადვილად შეიძლება აიხსნას თუ რატომ გახდა საქართველო რუსეთის მიმართ პრეტენზიების ერთ-ერთი საზომი. რატომ არის მიუღებელი ამერიკისთვის რუსეთის ნეგატიური დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ.



მაგრამ გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის ორი ზესახელმწიფოს ბრძოლაში პატარა ქვეყნისთვის დამახასიათებელი კომპლექსი ნუ შეგვიპყრობს: გადაჭარბებით ნუ შევაფასებთ ჩვენს მიმართ ნათქვამ კეთილ სიტყვებს. მთავარი ის არის, რომ საქართველოს ძალზე ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა შეექმნა და ახლა გონივრულად გამოვიყენოთ ეს მდგომარეობა. ჩვენს მიმართ ამერიკის ინტერესები განუწყვეტლივ იზრდება, მაგრამ ამერიკის მიმართ ინტერესები გვაქვს ჩვენც (განსაკუთრებით ამერიკული დემოკრატიისა და თავისუფლებებისადმი) და ამ ინტერესების შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ კიდეც.

ჯერჯერობით არ გახმაურებულა, თუ რაზე ილაპარაკეს დახურულ კარს მიღმა ბუშმა და პუტინმა, მაგრამ რაც არ უნდა მოელაპარაკათ (ვთქვათ, აფხაზეთისა და შიდა ქართლის შესახებ), ჩვენი გასაკეთებელი, საბოლოოდ, მაინც ჩვენ უნდა გავაკეთოთ. ასე რომ, მეგობრების ყოველმხრივ მხარში დგომის მიუხედავად, საქართველოს პრობლემები მაინც აქვს და ამ პრობლემებს თვითონ უნდა მოერიოს.

ახლა, რაც შეეხება გასული კვირის შინაურ მოვლენებს.

ისეთი მითქმამოთქმა ატყდა, არიქა სახელმწიფო მინისტრის თანამდებობას აუქმებენო, რომ გიორგი ბარამიძე, ზინაიდა ბესტაევა, გოგა ხაინდრავა და კახა ბენდუქიძე გამოვიტირეთ კიდეც.

საზოგადოებაში უკვე სერიოზულად განიხილებოდა საკითხი, ქუდი ჩამოვატაროთ და ფული შევუგროვოთ უადგილოდ შთენილ ჩვენს უპორტფელო მინისტრებსო (ისე, სწორედ სასაცილოა, ყოველთვის პორტფელით მოსიარულე კახა ბენდუქიძე უპორტფელო მინისტრი იყოს), ცნობამ რომ მოგვისწრო, იმის მიუხედავად, სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა ქვეყანას შეიძლება არც სჭირდებოდეს, იგი ჯერჯერობით მაინც შენარჩუნდაო და შვებით ამოვისუნთქეთ.

არადა, ნამდვილად დავრწმუნდით, რომ ყველაზე პატრიოტი ადამიანი ქვეყანაში ბატონი კახა ბენდუქიძეა. კაცს ჯიბეში ალალად და უსაყვედუროდ ნაშოვნი 55 მილიონი დოლარი უდევს და მაინც ჯიუტად ემსახურება ისეთ უმადურ საქმეს, როგორიც პრივატიზაციაა, იტანს გინებას (თვითონაც ულმერთოდ იგინება), ფურთხებას (ლოგიკის მიხედვით, თვითონაც უნდა იფურთხებოდეს) და სავარძლის დაკარგვის მუდმივ პერსპექტივას.

თუ ეს თანამდებობა გააუქმეს, ბენდუქიძე ჰავაის კუნძულებზე წავა დასასვენებლად, ხაინდრავა, ბოლოს და ბოლოს, ვიდეოკამერას აიღებს ხელში და ახალ ფილმს გადაიღებს, მაგრამ აი, გიორგი ბარამიძის საქმე როგორ იქნება, ნამდვილად არ ვიცი (მით უფრო, ქალბატონ ზინაიდა ბესტაევასი). ისე, გამორიცხული სულაც არ არის, კიდევ ერთ რევოლუციას მოკიდოს ხელი...

**პარლამენტში** სიახლით გაგვაოცეს: სანქციები... გამცდენი დეპუტატების მიმართ, ჯარიმად ხელფასის 10 პროცენტი (სხვათა შორის, ბეჯითმა პარლამენტარებმა მომენტი ხელიდან არ გაუშვეს და წინადადება წამოაყენეს, გამცდენებისგან ამოღებული ჯარიმა ჩვენ, ვინც არ ვაცდენთ, დაგვიმატეთ პრემიადო. ასეთ უანგარო ხალხს იშვიათად ნახავთ!). ვითომ უშველის, ვითომ შეანამუსებს სასჯელის ეს ზომა ხალხის რჩეულთ, რომელთა ერთადერთი მოვალეობაც, სიმართლეს თუ ვიტყვით, სხდომებზე ჯდომაა?

ახლა, როცა პარლამენტმა გაინაღდა, რომ მას არ დაითხოვენ, ყველა დეპუტატს თითო თოფიან კაცს თუ დაუყენებ ყარაულად, თორემ ისე მაგათი ფეხი არ იქნება იმ წითელ დარბაზში, მით უფრო ახლა, როცა გაზაფხულის სურნელი დატრიალდა და თინეიჯერ თუ ასაკოვან პარლამენტარს გარეთ მიუწევთ გული...

მე სხვა წინადადება მაქვს: იქნებ ეკონომიკურ სანქციას მორალურიც დავუმატოთ — პარლამენტის საერთო სხდომებზე გამცდენთა მშობლების ან ცოლ-შვილის (ქმარ-შვილის) გამოძახება? ვცადოთ მაინც, დრო იცოცხლეთ, ბევრი გვაქვს.

**სწორედ** „მიყვარხარ-არ მიყვარხარ“ მარჩიელობასავით არის ენერგეტიკის მინისტრ ნიკა გილაურის საქმე. სულ ხსნიან და მაინც ადგილზეა. ამჯერადაც შეინარჩუნა თავი მხრებზე, თუმცა დარწმუნებული ვარ, გუშინწინ მას მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე პრეზიდენტის პირისპირ ჯდომას ზღარბზე ჯდომა ერჩია.

არადა, ენერგეტიკა დღეს უზარმაზარ მნიშვნელობას იძენს ქვეყნისთვის. გზები პლუს ენერგეტიკა საქართველოს ახალ ეკონომიკას შექმნისო, ხატოვნად თქვა მიხეილ სააკაშვილმა (სხვათა შორის, ენერგეტიკის პირველხარისხოვნებას თავის დროზე ხაზი გაუსვა ვლადიმერ ლენინმა: საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია ნიშნავს სოციალიზმსო)...

აი ასეთი მღელვარე დღეები გვქონდა ამ კვირაში.

**ალეკო ასლანიშვილი.**

როცა რეგიონებშიც ფხიზლობენ

# კბილის ტკივილი სჯობდა...

**ფინანსური პოლიციის რეგიონული სტრუქტურები განაგრძობენ აქტიურ ბრძოლას ეკონომიკის სფეროში სხვადასხვა სახის დანაშაულის წინააღმდეგ.**

**ამის დამადასტურებელია ბოლო დღეებში ადგილებიდან მიღებული მონაცემები, რომლებიც რედაქციას ამ უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა გადასცა.**

## თავისას არ იშლიან...

**ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა ქ. ზუგდიდის მიმდებარე ტერიტორიაზე 18 ყუთი (9 ათასი კოლოფი) უაქციზო სიგარეტით („ნოვოსტით“, „ტროიკით“ და სხვა) დატვირთული „ფორდ ტრანზიტის“ მარკის ავტომანქანა დააკავეს. მძღოლმა ალექსანდრე გუბელაძემ განაცხადა, რომ სიგარეტი თბილისის მიმართულებით გადაჰქონდა.**

როგორც ჩანს, სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი კვლავაც რჩება „კონტრაბანდულად საშიშ“ ზონად. ეს ტვირთი, ცხადია, კონტრაბანდული გზითაა შემოტანილი, თუმცა ახლა იგი მხოლოდ „აღურიცხავი საქონლის“ კატეგორიით გადის.

## კონტრაბანდის ფაქტზე დააკავეს

**ინგა ზულისკირია** ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა სწორედ მაშინ გაბაბეს, როცა 1300 კოლოფი უაქციოზო სიგარეტი მდ. ენგურზე ხიდით აფხაზეთიდან გადმოჰქონდა, ანუ კონტრაბანდის ფაქტი ეჭვს არ იწვევს. ი. გულისკირიას მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

## ვინც რას შოულობს, იმას ზიდავს

**„კამაზის“ მარკის სამი ავტომანქანა, რომელთაგან ორი ლითონის ჯართით, ხოლო მესამე სპირტის ნედლეულით იყო დატვირთული, დააკავეს ოპერატიული დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა. ავტომანქანები, პროდუქციის ღირებულების დასადგენად, ტერმინალში გადაიყვანეს.**

აღურიცხავი სამრეწველო საქონლით დატვირთული „პაზის“, „გაზელისა“ და ორი „გაზ-24“-ის მარკის ავტომანქანა კი ოპერატიული დეპარტამენტის ქვემო ქართლის განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს. ეს ავტომანქანებიც, ტვირთის ღირებულებისა და ჯარიმის ოდენობის განსასაზღვრად, ასევე ტერმინალში გადაიყვანეს.

## „თავის ატკიებას“ ისევ კბილის ტკივილი ერჩივნა

**ოპერატიული** დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა კი, ოპერატიული ინფორმაციის რეალიზებისას, საბაჟო-გამტარი პუნქტის გვერდის ავლით დაახლოებით 8 ათასი ლარის ღირებულების სტომატოლოგიური კაბინეტის აქსესუარების შემოტანის ფაქტზე დააკავეს ტარიელ ძნელაძე. ამ საქონლის შემოტანას იგი რუსეთიდან ცდილობდა, მაგრამ... სისხლის სამართლის საქმე ძნელაძის მიმართ საბაჟო წესის დარღვევის მუხლითაა აღძრული.

## რა იყიდეს და რა ჩამოწერეს?

**სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის“** 100 პროცენტის მფლობელი სახელმწიფოა და თითოეული მგზავრის მომსახურებისთვის 11 დოლარს იღებს. შარშან აეროპორტი 93286 მგზავრს მოემსახურა, რისგან მიღებული შემოსავალი სხვადასხვა სახეობის სამუშაოებს უნდა მოხმარებოდა. სექტემბერ-დეკემბერში აქ ჩამოწერეს 19692 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები, თუმცა შესყიდვაზე 11662 ლარი უნდა დაეხარჯათ. ამრიგად, რეალურმა სხვაობამ 8 ათას ლარზე მეტი შეადგინა. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

**ოთარ ტურაბელიძე.**

⊙ ოპოზიცია

# „ამჟამინდელი ქართული საზოგადოება ეროვნულ საკითხებში ძალზე პასიურია“

**საქართველოში რეალური ოპოზიციური ძალის არარსებობას ერთნი „ვარდების რევოლუციას“ უკავშირებენ და ფიქრობენ, რომ რევოლუციის შემდეგ ადამიანები ეიფორიამ მოიცვა, თუმცა, იმავდროულად, ამაზე, გარკვეულწილად, ზეგავლენა ხელისუფლების მიერ შიშის გარემოს შექმნამაც მოახდინა. მაგრამ ასე არ მიაჩნია ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრს და ერთ-ერთ ლიდერს თამარ ჩხეიძეს.**

— ეს პროცესები დღეს არ დაწყებულა, — თქვა მან, — ამას დასაბამი მიეცა შევარდნაძის დროს და უფრო ადრეც. თუკი უწინ პოლიტიკაში მონაწილეობა საგრძნობ თანხებს და ხელისუფლებასთან კავშირს არ გულისხმობდა, დღეს პარტიის არსებობა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ხელისუფლებასთან ალიანსის გარეშე წარმოუდგენელია. სხვანაირად მათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. ყველაფერი მონოპოლიზებულია, ამა თუ იმ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას, საკუთარი ძალებითა და ფინანსებით, აღარ შესწევს უნარი, სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს პოლიტიკურ პროცესებზე.

თანხა, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს, დღეს, სამწუხაროდ, საქართველოში კანონიერი გზით არ მოიპოვება, ამგვარად, პარტიის დაფინანსების ლეგალური წყარო არ არსებობს და მას ხელისუფლებაზე დამოკიდებულ რაღაც ძალის ნაწილად გადაქცევა მოელის, ანდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ ისეთ არსებობას შეძლებს, როგორც ამას დღემდე ჩვენ ვახერხებდით.

**— ილია ჭავჭავაძის საზოგადოება არ ჩანს პოლიტიკურ ასპარეზზე. ამის მიზეზებიც უკვე ახსენით. აქედან გამომდინარე, თქვენი საპროგრამო ამოცანების შესრულებაც, ალბათ, ფერხდება...**

— ჩვენ რომ არ ვჩანვართ, გეთანხმებით, რადგან ამას ზემოხსენებული საშუალებები სჭირდება. გამოჩენა კი საქართველოში მხოლოდ ხელისუფლების ნებით ხდება. საზოგადოებრივ აზრს ძირითადად ტელევიზია ქმნის და ჩვენ, სუბიექტური მიზეზების გამო, ვერ ვახერხებთ მოსახლეობას ტელევიზიით მივაწვდინოთ ჩვენი პოზიცია.

**— თქვენ ტელევიზიაში მისულხართ და უარი უთქვამთ?**

— კი. ეს არაერთხელ მომხდარა, თუმცა თავმოყვარეობის საკითხიცაა, ყოველ დღე იქ ნამდვილად არ ვსხედვართ და გამოსვლას არ მოვითხოვთ. თუმცა სისტემატურად ბლოკავენ ჩვენს აზრს. ჩვენს მიერ მოწყობილი პრესკონფერენციისა თუ რაიმე შეხვედრის შესახებ ინფორმაცია ტელევიზიით თითქმის არ გადაიცემა, გაზეთებში ქვეყნდება, თუმცა — შეზღუდულად, მაგრამ გაზეთებს უსახსრობის გამო უმნიშვნელო რაოდენობის მკითხველი ჰყავს.

რაც შეეხება ჩვენს მიზნებს, სამწუხაროდ, იგივე დარჩა, რაც ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას თავის დროზე ჰქონდა. სამწუხაროდ იმიტომ ვამბობ, რომ ეს მიზნები უკვე შესრულებული უნდა იყოს. საზოგადოება განვითარების ნორმალური გზით რომ წასულიყო, ახლა უკვე სხვა ამოცანების წინაშე ვიდგებოდით და არ ვიფიქრებდით იმ ელემენტარული ამოცანების შესრულებას, როგორიცაა: დემოკრატიული საზოგადოება, ნამდვილად კერძო ინიციატივაზე აგებული ეკონომიკა და ნამდვილი დამოუკიდებლობა, არა ოდენ დე-იურე დამოუკიდებლობის გამოყენება დე-ფაქტო დამოუკიდებლობის მისაღებად.

**— უწინდელთან შედარებით, თავად ქართულ საზოგადოებაზე და მის აქტიურობაზე რას იტყოდით?**

— 70-80-იანი წლების ქართული საზოგადოება, კომუნისტური რეჟიმის მიუხედავად, გაცილებით უფრო ცოცხალი იყო და მეტი წინააღმდეგობის უნარი ჰქონდა, ანტიქართულ გადაწყვეტილებებზე ადეკვატური პასუხის გასაცემად. დღეს ამ მხრივ იგი ძალზე პასიურია.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება ანტიქართულ ღონისძიებებს მიმართავს?**

— ეს ყველგან იგრძნობა, თუმცა სამ საკითხს გამოვყოფდი: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ეკონომიკას და სოციალურ სფეროს.

**— ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ხომ არასდროს ჰქონია ხელისუფლებას ასეთი დიდი ძალისხმევა?**

— ისინი მხოლოდ სიტყვით ამბობენ, მაგრამ ეს სიტყვები ფუჭ დაპირებად რჩება. ფაქტობრივად, ეს ხელისუფლება შევარდნაძის კურსს აგრძელებს, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ყოვლად ანტისახელმწიფოებრივი კონცეფცია, რომელიც გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნდა. ვგულისხმობ ზაქარეიშვილისა და სხვების კონცეფციას. მისი საკმაოდ დიდი რეკლამირება მიმდინარეობს, მას ხელისუფლება გაგებით ეკიდება. იგი, ფაქტობრივად, ხელისუფლბის დაკვეთას ასრულებს და აბსოლუტურად ანტისახელმწიფოებრივი, ანტიდემოკრატიული და ანტიქართული კონცეფციაა. ეს დოკუმენტი ქართველთა უფლებებს საერთოდ არ იცავს და უმცირესობის მმართველობას ამყარებს. განა შეიძლება დემოკრატიაზე და ტერიტორიულ მთლიანობაზე ლაპარაკი, როცა აფხაზეთი ცალკე სახელმწიფოდ მოიაზრება? იგი რაღაც კავშირში შემოვა ან არ შემოვა საქართველოსთან?

ვერ მივიღებთ შიდა ქართლის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის მიერ სტრასბურგში გაკეთებულ განცხადება-



საც, რომლის მიხედვითაც უნდა ვაღიაროთ სამხრეთ ოსეთის არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია სახელი — ამ ტერიტორიის სამხრეთ ოსეთად აღიარება. ამას არც ისტორიული, არც სამართლებრივი და არც პრაგმატული თვალსაზრისით გამართლება არ მოეძებნება.

**— თქვენ ეკონომიკაც ახსენეთ. რატომ გგონიათ, რომ არაეროვნულია?**

— ვინც ამ საკითხებში ერკვევა, ამბობს, რომ ქვეყანაში ხელსაყრელი პირობები არ იქმნება ბიზნესის განვითარებისთვის. ბუნებრივია, კერძო სექტორის მომხრე ვარ, მაგრამ ეს როდი გულისხმობს სტრატეგიული ობიექტების გაყიდვას. ფაქტობრივად, ეკონომიკის ძირეული დარგები რუსების ხელში აღმოჩნდა, თუმცა მათ მაგივრად სხვა სახელმწიფოს რომ გადასცემოდა, კარგი არც ეს იქნებოდა.

**— ზოგი ოპოზიციური პოლიტიკური პარტია რუსების ბაზების საქართველოდან გასვლის გაჭიანურებას ხელისუფლების ორმაგ თამაშს მიაწერს. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— მეც იგივეს ვფიქრობ. ფაქტობრივად, დასავლეთი აიძულებს რუსეთს, რომ ბაზები გაიყვანოს. საქართველოს ხელისუფლება იძულებულია ეს რეალობა გაითვალისწინოს და ძალიან მორიდებულად, ათასში ერთხელ თუ წამოსცდება ამის თაობაზე.

საქართველოში ანაქრონული შეხედულება დამკვიდრდა რუსეთის ფაქტორზე. ეს საბჭოთა პერიოდი აღარ არის. დღეს რუსეთს რეალური ბერკეტები აღარ აქვს, რომ საქართველოს ხელისუფლება ბაზების დატოვებაზე იძულებით დაითანხმოს ან ე. წ. სამშვიდობო ძალები იყოლიოს აფხაზეთსა და შიდა ქართლში. ეს ყველაფერი, სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების ნებით ხდება. მტკიცე ნება რომ არსებობდეს, რუსეთი ამას ვერ გააკეთებდა. საქართველო დე-იურე დამოუკიდებელია და რუსეთს აღარ შეუძლია აშკარა, ღია აგრესიით შეისრულოს საკუთარი სურვილები... ამიტომ ამას სხვა გზით, სამწუხაროდ, ისევ და ისევ ქართველების მეშვეობით ახერხებს.

**ესაუბრა**
**თამარ შაიშმელაშვილი.**

⊙ ეს თქვენ გაინტერესებდათ!

# ტესტი — შენი საგამოცდო ბილეთი

**როგორ მიმდინარეობს მზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის? რა საბუთები იქონიოს თან აბიტურიენტმა? რა ფუნქციებს შეასრულებს საკონსულტაციო საბჭო? რამდენად საკმარისია თბილისისთვის მხოლოდ ორი საგამოცდო ცენტრი? აქვს თუ არა აბიტურიენტს განაცხადში რაიმე ცვლილებების შეტანის უფლება? როგორ დაჯამდება მისაღები ქულა? რის მიხედვით მოემზადნონ აბიტურიანტები ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის? — ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვებს უპასუხებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი:**

— 2005 წლიდან ყველა აბიტურიენტი უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად ერთიან ეროვნულ გამოცდებს ჩააბარებს. გამოცდების ეს ახალი მოდელი ჩვენს ცენტრში შეიქმნა, მისაღები გამოცდების ჩატარებაზე კი პასუხისმგებელია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

ახალი მოდელი არსებითად განსხვავდება ძველისგან. ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს ყველა დიდ ქალაქში ჩატარდება. სწორედ ამ მიზ-



ნით შეიქმნება ამ ქალაქებში სპეციალური საგამოცდო ცენტრები.

საბუთების შეტანა უშუალოდ ყველა რაიონში არსებულ სარეგისტრაციო სააგენტოში შეიძლება (ასეთი ცენტრები ყველა რაიონში უკვე თებერვლიდან ამოქმედდა).

უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად აბიტურიენტს, 2005 წელს მისაღებ გამოცდებზე, პირველად ეძლევა შანსი აირჩიოს, არა ერთი, არამედ ხუთი სპეციალობა ერთსა და იმავე ან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. ეს სიახლე კი მნიშვნელოვნად ზრდის შერჩეული სპეციალობებიდან ერთ-ერთზე მოხვედრის შესაძლებლობას. იქმნება უნარის გამოვლენის დამატებითი შესაძლებლობა, რადგან აბიტურიენტი აბარებს ზოგადი უნარების ტესტს. აგრეთვე მას საშუალება ეძლევა, აირჩიოს, სად სურს სწავლის გაგრძელება — სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში თუ კერძოში.

2005 წელს მისაღები გამოცდები ჩატარდება: **ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უცხო ენაში** (აბიტურიენტის სურვილის მიხედვით: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), **ზოგად უნარებში** და **მათემატიკაში.**

ამჟამად მიმდინარეობს იმ ოპერატორთა წვრთნა, რომლებმაც უნდა იმუშაონ სარეგისტრაციო პუნქტებში და აბიტურიენტებს მოემსახურონ. სამუშაოს შესასრულებლად მათ სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამას ვთავაზობთ. ყველა ოპერატორი სარეგისტრაციო პუნქტში იმუშავებს იმ კომპიუტერულ პროგრამით, რომელიც მომზადდა ეროვნული შეფასების ცენტრში. სარეგისტრაციო პუნქტები პირველი მარტიდან ამოქმედდება და ეს მუშაობა მთელი თვენახევარი გაგრძელდება. აბიტურიენტის რეგისტრაცია ახლა იწყება.

განაცხადის შევსების შემდეგ აბიტურიენტს ამოუბეჭდავენ საიდენტიფიკაციო საგამოცდო ბარათს, სადაც აღნიშნული იქნება თარიღი, რეგისტრაციისა და გამოცდის დაწყების დრო და აბიტურიენტის მიერ შერჩეული საგამოცდო ცენტრი.

დროში ძალიან შეზღუდული ვართ...

აბიტურიენტი რეგისტრაციაზე გამოცხადდება გამოცდის წინ. მას იქ დახვდება რეგისტრატორი, რომელიც მისგან საგამოცდო ბარათს მიიღებს, მიაცილებს მაგიდასთან და მიუტანს ტესტს, რომელსაც დაეკვრება შესაბამისი შტრიხ-კოდი. აბიტურიენტი დაიწყებს ტესტის შევსებას, ბოლოს ეს ყველაფერი ერთად შეგროვდება და ა. შ.

უმაღლესი სასწავლებელი წინასწარ ანიჭებს წონას საგამოცდო საგნებს, ანუ ის თვლის, რომელი მათგანი უფრო მნიშვნელოვანია.

აინტერესებთ და ვუპასუხებთ, თუ რის მიხედვით უნდა მოემზადონ აბიტურიენტები ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის — ახსოვდეთ: **ტესტი — საგამოცდო ბილეთია!!** აბიტურიენტებმა ტესტიდან უნდა ამოარჩიოს ერთ-ერთი ვარიანტი და არა ერთადერთი.

გამოვკითხეთ აბიტურიენტები და დავრწმუნდით, რომ უმრავლესობაში დაბნეულობას იწვევს **უნარების ტესტის** ჩაბარება. გიპასუხებთ:

— უნარების ტესტში მომზადება შეუძლებელია. ამის აქტუალიზაცია ხდება მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში. შეიძლება გაეცნო, რა ტიპის დავალებები იქნება და ამის მიხედვით მოემზადო, მაგრამ საამისოდ სპეციალურად მასწავლებლების დაქირავება, რათა უნარების ტესტში მოემზადო, ნონსენსია. მინდა, რომ ამ სიახლეს ყველა მშვიდად შეხვდეს.

დამატებითი ინფორმაციები ერთიანი ეროვნული გამოცდების შესახებ, აბიტურიენტს შეუძლია მოიძიოს იმ სხვადასხვა ტიპის ბროშურებში, სპეციალურ კრებულებში, რომელთაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გაავრცელებს.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში მუშაობს სატელეფონო **ცხელი ხაზი,** რომლის ნომერია: **94-33-11, 94-33-12,** ხოლო ყველა ცნობა ერთიანი ეროვნული გამოცდების შესახებ, განთავსდება ცენტრის ვებ-გვერდზე WWW.NAEC.GE.

**ესაუბრა**
**ნათელა ფაილოძე.**

⊙ ენერგეტიკა

# მართლა გვეღირსება ცენტრალური გათბობა?!

## „გვეღირსება!“ — გვპირდება „თბილგაზის“ გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე

**ბუნებრივი გაზი — მტერია თუ მოყვარე? ერთმნიშვნელოვნად იგი, რა თქმა უნდა, მოყვარეა, მაგრამ ადამიანის დაუდევრობით შეიძლება მტრადაც გადაიქცეს. სამწუხაროდ, ამისი არაერთი მაგალითი გვქონდა და გვაქვს... რა უნდა ვიღონოთ, რომ იგი უსაფრთხო გახდეს და რაც შეიძლება მეტი სიკეთე მოგვიტანოს? სს „თბილგაზის“ გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე ამტკიცებს, რომ პრობლემის მოგვარება შეიძლება — საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთი პირობა ცენტრალური გათბობის სისტემის აღდგენაა.**

— გაზის არასწორი მოხმარებით გამოწვეული ავარიები შარშანდელთან შედარებით შემცირდა, მაგრამ განა ეს თვითდამშვიდების უფლებას გვაძლევს? საკმარისია თუნდაც ერთი შემთხვევა და ყველაფერი წყალშია გადაყრილი. მოქალაქეები უმეტესწილად თავისი შეხედულებით მოქმედებენ, გაზის გამათბობლებს იქ აყენებენ, სადაც მოეპრიანებათ. როცა გაუჭირდებათ და მოგვმართავენ, მივდივართ და ვუხსნით, რატომ არ შეიძლება ხელსაწყოებისთვის წარამარა ადგილის შეცვლა. თითქოს გვეთანხმებიან, მაგრამ წამოვალთ და, ყველაფერი ისევ ძველებურად გრძელდება. მე მგონი, ამისი მიზეზი ისიც გახლავთ, რომ კანონმდებლობაში სათანადო სანქციები გათვალისწინებული არ არის. სწორედ ამიტომ საკითხი დავაყენეთ, რომ ცვლილებები შევიდეს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“. ჯარიმები უნდა დაწესდეს როგორც გაზის დატაცების, ისე ხელსაწყოთა არასწორი ექსპლუატაციისა და არასწორ ტექნიკურ პირობებში რეალიზაციისთვის.



**— უშველის კი ეს საქმეს?**

— ეს აკრძალვები გათბობის პრობლემას მხოლოდ დროებით მოხსნის, ამიტომ უფრო შორეული პერსპექტივისათვის აუცილებელია გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგების ცენტრალური სისტემის შექმნა.

**— მე მოვისმინე თქვენი განცხადება ამის თაობაზე. ეს ჯერჯერობით მხოლოდ წინადადებაა თუ პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა?**

— ამ თემასთან დაკავშირებით „თბილგაზში“ ენჯეოების, ცნობილი ენერგეტიკოსების, სემეკის, ეკოინჟინერიის, უესაიდისა და უცხოური კომპანიების მონაწილეობით მიმდინარეობს პირველი სამუშაო კონფერენცია. ღონისძიება გაგრძელდება თვენახევარი. სწორედ იქ წარვადგინე ჩემი პროექტი, რომელშიც ჩავრთეთ ენერგეტიკოსებიც და მეცნიერებიც. თვენახევარში უკვე გვექნება სრულყოფილი პროექტი საქართველოს ენერგეტიკის განვითარებაზე, რომელშიც თბილისს დიდი ადგილი ეთმობა.

**— მაინც, როგორ გესახებათ ცენტრალური სისტემის მოწყობა, კორპუსებში დამონტაჟდება თუ უფრო დიდ ტერიტორიებს მოიცავს?**

— სხვადასხვანაირად განხორციელდება. შეიძლება 10-15 ოჯახიც გაერთიანდეს 10 ათასიც. ნებისმიერი ვარიანტი მისაღებია. გასათვალისწინებელია მოსახლეობის სურვილები და წინადადებები — ყველაფერი ხომ, უპირველესად, მათი კეთილდღეობისათვის კეთდება...

**— ბატონო დავით, ყველაფრის თავიდათავი, მოწადინების გარდა, ფინანსებია. როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა უზრუნველყოს თქვენი ჩანაფიქრის ხორცშესხმა, თვით „თბილგაზი“ თუ მიიღებს მონაწილეობას?**

— ვიცი, რომ ქალაქის ბიუჯეტში ჯერჯერობით საამისოდ არაფერია გათვალისწინებული, ხოლო ცენტრალურ ბიუჯეტში არის სოლიდური თანხები ზოგადად ენერგეტიკის განვითარებაზე. როცა საქმე საქმეზე მიდგება, ალბათ ეს ლაფსუსი გამოსწორდება. შეიძლება სხვა ვარიანტიც განვიხილოთ, მაგალითად, მოსახლეობის, კერძო ინვესტორის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მონაწილეობა და ა. შ. რაც შეეხება „თბილგაზს“: ჩვენ გვევალება გაზის მიწოდების უზრუნველყოფა ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვა, დანარჩენი ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ განზე არ გავდგებით. მე ახლა პროექტში ვმონაწილეობ როგორც სპეციალისტი და არა როგორც „თბილგაზის“ გენერალური დირექტორი. მაგრამ ვიმეორებ: პროექტის ერთ-ერთი მონაწილე ვიქნები.

**— როგორი გამოხმაურება ხვდა წილად თქვენს პროექტს?**

— ქალაქის მერმაც, პრემიერმაც, დეპუტატებმაც მოიწონეს. მოიწონა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა. როცა პროექტზე მუშაობა დასრულდება, განსახილველად მთავრობას წარვუდგენთ. დღეს უნდა გვეწვიოს მსოფლიო სავალუტო ფონდის წარმომადგენელი. შეიძლება ისიც დაინტერესდეს.

**— ტარიფებზე რას გვეტყვით, მომატებას ხომ არ აპირებთ?**

— გინახავთ ვინმე, თავისი შემოსავლების გადიდებაზე რომ არ ფიქრობდეს? მაგრამ ჩვენ რეალობიდან გამოვდივართ, ვითვალისწინებთ ყველაფერს, მათ შორის, რა თქმა უნდა, მოსახლეობის გადახდისუნარიანობას. მაგრამ ისიც არ გვინდა, რომ სემეკმა ჩვენ დაგვაზარალოს — ტარიფები შეგვიმციროს. ტარიფის ოდენობა ვიღაცის სურვილზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. როგორც სემეკი დაადგენს, ჩვენც იმ რეჟიმში ვიმუშავებთ. სწორი გათვლები აუცილებელზე აუცილებელია.

**— დღეს ბევრს ლაპარაკობენ „გაზპრომის“ შემოსავალზე. რა აზრისა ხართ?**

— დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ შეგვიძლია „თბილგაზის“ მართვა სხვათა დაუხმარებლად იმ ანგარიშით, რომ უკვე მომავალი წლიდან იგი მომგებიანი გახდეს...

**— თუნდაც ტარიფები არ შეიცვალოს?**

— დიახ, თუნდაც ტარიფებში ცვლილება არ მოხდეს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სწორი რეგულირება მოხდება, როგორ პოზიციას დაიკავებს მარეგულირებელი კომისია. იგი ნაკარნახევი უნდა იყოს ეკონომიკური მოსაზრებებით და არა ვისიმე შეხედულებისამებრ. არაკომპეტენტური, მოუფიქრებელი გადაწყვეტილება დამღუპველია. წარმოიდგინეთ, აქ ტარიფის სიდიდე კი არ არის მთავარი, არამედ მეთოდოლოგია, რომელიც აუცილებლად შესაცვლელია. „თბილგაზს“ აქვს წარმატების სრული გარანტია ხარჯების ოპტიმიზაციის მეშვეობით. თუ ამას მოვახერხებთ, შეუსრულებელი კი არაფერია, წარმატება უთუოდ გვექნება. მაგრამ აქაც არის ერთი „საფრთხე“: ტარიფის ოპტიმიზაციის შემთხვევაში შეიძლება მისი შემცირება გვაიძულონ, რაც დასჯის ტოლფასი იქნება...

**— გამოდის, რომ ხელ-ფეხი შეკრული გაქვთ?**

— დიახ, ასეა. ამ ეჭვს მიღრმავებს „თბილსრესის“ მაგალითი. მას არასწორად მოექცნენ, ეს შეცდომა ჩვენს მიმართაც რომ გაიმეორონ, სემეკი შეიძლება ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი გახდეს. XXI საუკუნე მაღალი ტექნოლოგიების საუკუნეა და დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ეხმიანება იგი მოსახლეობის მოთხოვნებს. მაღალი ტექნოლოგიები სულაც არ ნიშნავს გაზის საფასურის გაზრდას, თუმცა განმტკიცდება უსაფრთხოება და გაუმჯობესდება მომსახურება.

**— შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ გარკვეული დროის შემდეგ თქვენი წინადადება ცენტრალური გათბობის აღორძინების შესახებ განხორციელდება და პროექტი ამოქმედდება?**

— რა თქმა უნდა. ეჭვიც არ მეპარება...

**ესაუბრა**
**ელგუჯა ლებანიძე.**

⊙ თბილისური სურათები

# მეტეხი — თბილისქალაქის სიამაყე

(პირველი გვერდიდან)

**— ძია ვალოდ, მეწადე რომ ვთქვი, ხომ არ გეხამუშა, თუ პირდაპირ „საპოჟნიკი“ მეთქვა?**

— არა, ცავატანემ, ეს სიტყვა ხუთ ენაზე რომ თქვა, მაინც მივხვდები, რადგან საუკუნეების განმავლობაში, როგორც ყველა მეტეხელი, ამდენივე ენაზე თავისუფლად ვლაპარაკობ.

**— ცოტა „მძიმე“ ქართული კი გამოგივიდა, მაგრამ არა უშავს, გამგები გაიგებს. ახლა საქმე რანაირად ავაწყოთ — ქართულად შენი რუსულ-სომხური ნააზრევი როგორ დალაგდება?**

— შენ კარგად იყავი. როგორც აქამდე ვაგებინებდი ყველას, შენც ისე გაგაგებინებ. ჩემამდე მოსულ ადამიანს როგორ ვაწყენინებ, რასაც გავიხსენებ, ალალი იყოს, რასაც არა და, კიდევ რომ გნახამ, მაშინ მოგიყვები. არეულ-დარეულობა თუ იყოს, შენ თვითონ მიასწორ-მოასწორე, ნება მომიცია.

აქ დავიბადე და გავიზარდე. მამაჩემი ბარსექი თურქებისა და სომხების შეჯახების დროს ინდოეთში გადაიხვეწა და 1921-ში ჩამოვიდა. დედაც ყარსიდან ჩამოსულა პატარა ძმით. უცხოეთში გზები, მართალია, გახსნილი იყო, მაგრამ, როგორც მახსოვს, თავისუფლად მხოლოდ უფროსი თაობა მოძრაობდა, მათ შორის, ჩემი პაპაც და დიდპაპაც. მამაჩემი მაიდნის გასწვრივ რომ დიდი ბაზარი იყო, იქაც მუშაობდა და ყველგანაც, სადაც საქმე გამოუჩნდებოდა. არც ნაბერეჟნი იყო და არც მისი მსგავსი რამ. ქარავანი შემოდიოდა ირანიდან, თურქეთიდან... რა ვიცი, კიდევ საიდან, აქლემებზე შემოდებულ საქონელს ქარვასლაშიც ცლიდნენ და სხვადასხვა ნოქრებთანაც მტკვრის გაყოლებაზე. აქ ორ სანაპიროს „ვირის ხიდი“ აერთებდა. ვიწრო იყო, დაკიდული — „КАЧАЮЩИЙ“, მარტო ადამიანი და ვირი თუ გაეტეოდა, თორემ კონკა და ფაიტონი ვერ გაივლიდა. „ვირის ხიდის“ იქითა თავში დიდ ბაზარს „ბატკნის“ ბაზარი ერქვა. ბატკნები და თევზეული იყიდებოდა; როცა ჰესი გაილებოდა და წყალი წავიდოდა, ნაპირი თევზით იყო სავსე, ბავშვები ხიდიდან ვხტებოდით. ერთხელაც სასაცილო ამბავი შემემთხვა — შორიდან დავინახე, დიდი მორი მოცურავს, თურმე თევზი არ არის? გადავხტი, დავეწიე, ლაყუჩებში ვწვდი, ბევრი ვიომეთ, მაგრამ ვაჯობე. ჰესამდე ჩავყევი და სანაპიროზე ამოვათრიე.

ეჰ, მტკვარი ქალაქის მაცოცხლებელი იყო. რამდენი წისქვილი იდგა წყალში, ვინ მოთვლის?..

მოსაგონარი ბევრი აქვს ძია ვალოდას: — როგორ აშენდა მეტეხის ხიდი 1953 წელს; როგორ შედიოდა და გაჰყვიროდა მოლა მტკვარში მდგარ „სულეიმანის მეჩეთის“ „ბაშნიდან“... სამწუხარო ამბავიც ახსოვს. ორჯერვე შესწრებია წყალდიდობას 1956 და 1972 წლებში. პირველი შაბათ დღეს დამთხვევია. ჯებირი გამსკდარა და წყალი მოვარდნილა. შიშველი დარბოდა დიდ-პატარა, ქალი და კაცი გარეთ, დამხრჩვალებში თავისიანებს ეძებდნენ. უბანში თითო ოჯახიდან 5-6 სული დაღუპულა. აბანოში მყოფი სამხედროების გვამებით სავსე ყოფილა იქაურობა. გაშეშებული შეჰყურებდა ხალხი ამ უბედურებას. რიყეზე იმ ხანად მოძალებული ნაგავი, წყალში ჩაძირული ავტობუსები და მიცვალებულნი ერთმანეთში ყოფილა არეული.

ციხის აბანოები „დარიალის ბაღშიც“ ყოფილა მეტეხის მხარეს. ულამაზესი ბაღი ადრე რიყემდე გადაშლილი, ახლა ტერასებადაა დაყოფილი. მას მწკრივში მიუყვება სახელოსნოთა რიგი. რა არ კეთდებოდა და იკერებოდა აქ: სარკეები, ლურსმნები, ქუდები, ფეხსაცმელები... მეტეხი ქალაქის ცენტრადაც ითვლებოდა, ამიტომ თითოეული ნაგებობის აშენება თუ დანგრევა ქალაქის საქმე და სალაპარაკო ხდებოდა, თუმცა ყველამ „თავისი საქმე იცოდა“.

**— დღეს რომ არის ისე კი არ იყო, — ბრაზობს ძია ვალოდა. — ამ უზარმაზარ უბანში, სადაც ბევრი ბავშვი ვირეოდით, სად რა აგური იყო, ყველამ ვიცოდით. ფეხებში ვედებოდით კინტოებს, პატიოსან მოსახლეობასა და მედროგეებს, როცა „ჩილიკა ჯოხს“, „ქმურკის“, „ჩორნი-პალკას“, „სალკაკუნჭულს“ გადავეგებოდით.**

ბრაზობს, თუმცა ღიმილიანი კაცია ვალოდა ასატუროვი და ღიმილიან ამბებსაც იხსენებს: ის და მისი ძმაკაცი ალექსანდრე პოპოვი თურმე მედროგე მამას ცხენს მოპარავდნენ, დააქროლებდნენ აღმა-დაღმა, ნავთლუღშიც ჩადიოდნენ გადასასვლელი ხიდის ქვეშ უგემრიელესი „სარდელების“ მისართმევად. ყოველ კვირა დღეს კი მეზობელი კატია ბაბუშკა უმასპინძლდებოდა პატარებს ხაშით. კვირის მანძილზე ნამუშევრიდან მიღებული სარგებლიდან, ეს კეთილი ადამიანი, ბავშვების პატივისცემასაც ახერხებდა.

ახსოვს, როცა ხოჯევანქზე პირველი ასფალტი დაიგო; მერე მეტეხის აღმართსაც მიხედეს. კონკასა და ფაიტონზე „სამაკატკით“ დაკიდებულებს მეეტლის კნუტიც არაერთხელ უგემიათ. დღესასწაულებსაც არ აკლებდნენ მომავალ თაობას — საახალწლო „იოლკას“ რაიკომი არიგებდა, სათამაშოებს — შინსახკომი. ძია ვანიას საპროექციო აპარატით კი მხატვრულ კინოფილმებს აჩვენებდნენ. როცა მეტეხის უბანში შენობები დაუნგრევიათ, გული ბევრმა ლამაზმა სახლმა და პატარ-პატარა კოშკურის მოშლამაც დაწყვიტა. აქაურები მე-3 მასივში გადაუყვანიათ. მის მეხსიერებას ის დღეც შემორჩა, როცა ორმწკრივად განლაგებულ არ-



ბაზრობა მტკვრის სანაპიროზე — რიყეზე.
დავით ერმაკოვის ფოტო.

მიელთა შორის არქივის მასალები მძიმე ყუთებით ჩამოატარეს, მანქანებზე დადეს და წაიღეს. შემდეგ ტერიტორია მოასუფთავეს, საყდარი დატოვეს და „მეფის ძეგლი“ დადგეს, როცა „თბილის-ქალაქობის 1500 წლისთავი“ აღნიშნეს, ბევრი ტურისტი მოსულა და მას შემდეგ ასე გრძელდება დღესაც.

სვენებ-სვენებით, ყვებოდა ძველ ამბებს ვალოდა ასატუროვი. თან საქმეს აკეთებდა. ჩვენს იქ ყოფნაში რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი შეაკეთა. მისი მეუღლე ლეილა მარტიროსიანი უგემრიელესი ყავითაც გაგვიმასპინძლდა.

**— ესე იგი, რამე რომ იყოს, ამ უბანს არ დატოვებ? — ვეკითხები. — რა ხიბლი აქვს ამისთანა, რომ ვერ შეელევი?**

— ზაფხულში მოდი და ნახე. რაც თავი მახსოვს, აქ მეტი გაგება, ძმობა, გამტანობა, ამხანაგობა და მეზობლობა ყოფილა, საბურთალოს კი არა ჰგავს, ერთ სართულზე მცხოვრებნი ერთმანეთს რომ ვერ ცნობენ. იქ მიმუშავია და იმიტომ კარგადაც ვიცი. მოხელე კაცი ყოველთვის გემრიელად ცხოვრობდა თბილის-ქალაქში. ცოლ-შვილისა და ოჯახის სავალდებულო და გასახარებელი ფულის გარდა სასეირნო ფულიც გროვდებოდა. „გვერდზე“ გასეირნებაც მოდიოდა, მაგრამ ყველაფერში „ატვეჩაი“ პატიოსნება იყო. სადმე რომ მივდიოდით, ოჯახის კარს არ ვკეტავდით, — ვინმეს არ ეწყინოსო. ამით მეზობელსა და უბანს ვცემდით პატივს. ეჰ, ყველაფერიც მინახავს, მაგრამ მე, ხელოსან კაცს გული იმაზე მწყდება, რომ დღესაც ბევრი საუკეთესო ოსტატია, მაგრამ დღიდანდღემდე თუ არ იმუშავა, მეორე დღეს ცოლ-შვილი რითი გამოკვებოს, აღარ იცის.

**გასაგები გულისტკივილით ვტოვებდი მეწაღის სახლს... ჩამოვიარე თითოეული ჩვენგანისთვის ნაცნობი და საყვარელი ქუჩები. ბოლოს ვახტანგ გორგასლის, ანუ „მეფის“ ძეგლთან მივედი და ასეთი რამ გავიფიქრე: — ამ უბნის ისტორია დროს არ ემორჩილება, ტრადიციას ინარჩუნებს და დედაქალაქის ერთ-ერთ საამაყო სიმბოლოდ რჩება.**

**ია კალანდარიშვილი.**

⊙ აქტუალური თემა

# ოქრო, რომელსაც პატრონი გამოეცვალა

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მომხდარ ერთ ხმაურიან ამბავზე გაზეთში აზრის გამოთქმა ისურვა ჩვენმა უხუცესმა მეცნიერმა, გამოჩენილმა არქეოლოგმა და საზოგადო მოღვაწემ, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ანდრია აფაქიძემ. ბატონ ანდრიას ინტერვიუ ჩამოვართვით და ახლა მკითხველის სამსჯავროზე გამოგვაქვს (აქვე ვიტყვით იმასაც, რომ ასე გაბრაზებული და აღელვებული არასოდეს გვინახავს ეს ყოველთვის დინჯი, დარბაისელი მხცოვანი სწავლული).**

— ამ ცოტა ხნის წინათ მივიღეთ პროექტი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებისა, იმის თაობაზე, რომ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დაწესებულება — სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რომლის ისტორიასთანაც დაკავშირებულია მთელი აკადემიის წარმოქმნა და მისი დაწესებულებების ფეხზე დადგომა, გადაეცეს კულტურის სამინისტროსო. იგი გამოიგზავნა, რათა სათანადო ორგანიზაციული ზომები მიგვეღო.

ამ დოკუმენტმა გაგვაოცა, რადგან მანამდე მეცნიერებათა აკადემიის ჯანაშიას სახელობის მუზეუმს... შეუერთეს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი, თბილისის მუზეუმი, თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმი და ვანის საველე მუზეუმი-ნაკრძალი და შეიქმნა საქართველოს ეროვნული მუზეუმი აკადემიის სისტემაში.

**— თქვენ მათი გაერთიანების წინააღმდეგი იყავით?**

— მომხრე ვიყავით თუ მოწინააღმდეგე, ეს მეორეხარისხოვანია. **მთავარი ის არის, რომ ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს!** ჯერ ხომ უნდა ეკითხათ? ხოლო თუ გვკითხავდნენ, საკითხი უნდა გადაეწყვიტა აკადემიის პრეზიდიუმს ან აკადემიის საერთო კრებას (ისინი აკადემიის სისტემაში უმაღლესი ორგანოებია). მაგრამ ეს არ მომხდარა, არ მოინდომეს. ვინ, როგორ, ეს არ ვიცი. ჩვენთვის არ უკითხავთ და ისე, გადმოგვცეს ეს მუზეუმები... ეს უკანონობაა. აკადემიას წაართმევ დაწესებულებას თუ დაუმატებ, უბრალოდ, ელემენტარული ზრდილობა მოითხოვს, ჰკითხო აკადემიის ხელმძღვანელობას, მის უმაღლეს ორგანოს.

**— სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი აკადემიისა იყო, მაგრამ დანარჩენები ვის ეკუთვნოდა?**

— ხელოვნების, თბილისის და ღია ცის ქვეშ მუზეუმები კულტურის სამინისტროსი იყო, ვანის საველე მუზეუმი — არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა, რომელიც თავისთავად მეცნიერებათა აკადემიისაა. ამრიგად, ისინი ჯერ ვითომ შეუერთეს აკადემიას, მერე კი აიღეს და ერთიანად გადასცეს კულტურის სამინისტროს. და არც ერთ შემთხვევაში ჩვენთვის არაფერი უკითხავთ. „კაზიონურად" მოგვწერეს, თქვენი მუზეუმები კულტურის სამინისტროს შეუერთდა, მათ დაფინანსება სჭირდება და გთხოვთ გვაცნობოთ, რა წილი აქვს ამ დაწესებულებებს აკადემიის დაფინანსებაშიო. ე. ი. მუზეუმი რომ წაიღეს, ახლა ფულს გვართმევენ მის საარსებოდ. ჩვენ ვაფინანსებდით მხოლოდ ჯანაშიას სახელობის და ვანის მუზეუმებს, ახლა კი თბილისის, ღია ცის ქვეშ და ხელოვნების მუზეუმებიც უნდა დაფინანსდეს აკადემიის სახსრებით, როგორც, „მანამდე აკადემიის კუთვნილნი". **ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის სრული უკანონობა, აკადემიის საქმეებში ჩარევაა!** ახლა დაფინანსებაც უნდა წაიღონ! მე აქ პატარა ხმაური ავტეხე და ჯერჯერობით მგონი შეჩერდა მათი ჩვენს ხარჯზე დაფინანსება. თუმცა რომც არ მოგვთხოვონ, ჩვენ თანახმა ვართ, მაინც დავაფინანსოთ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი.

იგი საქვეყნოდ ცნობილი კავკასიის მუზეუმის მემკვიდრე — ერთი მესამედია (მეორე და მესამე მესამედები



სომხეთისა და აზერბაიჯანის მუზეუმებად იქცა). ერთ ფუთზე მეტი ოქროს ნივთები მხოლოდ მე მაქვს მიტანილი ჯანაშიას მუზეუმში. 1940 წელს, როცა არმაზისხევში პიტიახშების სამარხები გაითხარა, იქ აღმოჩენილი უნიკალური ნივთები თვითონ ივანე ჯავახიშვილმა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ წამოიღეს მცხეთიდან და საქართველოს მუზეუმს ჩააბარეს. 1947 წელს ბაგინეთში, არმაზციხეში არქეოლოგთა რაზმს მე ვხელმძღვანელობდი. იმჯერად უკვე სიმონ ჯანაშიამ წამოიღო ჩვენი ნაპოვნი ნივთები მუზეუმში.

სად არის ახლა ისინი, სადმე გადაიტანეს, თუ ისევ იქ ინახებაო, რომ მკითხოთ, ვერ გიპასუხებთ, იმიტომ, რომ პატრონი — მუზეუმის დირექტორი — გადაიყვანეს სხვა, ახალი დაწესებულების — კულტურის სამინისტროს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორად. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, დანიშნონ რა თანამდებობაზეც უნდათ, მაგრამ რაკი ის უკვე კულტურის სამინისტროს დაწესებულების გენერალური დირექტორია, აღარ არის მეცნიერებათა აკადემიის ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის დირექტორი...

**— მაგრამ წასვლით ხომ არსად წასულა ის მუზეუმი, ბატონო ანდრია, ადგილზე დარჩა თავის ექსპოზიციებიანად!**

— შემდეგ კულტურის სამინისტროს სისტემიდან სხვაგან რომ გადაინაცვლოს და, საერთოდ, სხვა გზას რომ გაუყენონ, გვაქვს რაიმე გარანტია? **იქნებ ყველაფერი სწორედ ამისთვის კეთდება? ჯანაშიას სახელობის მუზეუმის დირექტორი ისე გადაიყვანეს ეროვნული მუზეუმის დირექტორად, რომ აკადემიისთვის არ ჩაუბარებია მისთვის მინდობილი საგანძური.** დირექტორი ისე წაიყვანეს, რომ არაფერი გვკითხეს? კეთილი, ბატონო, შეიძლება ეს გვეწყინოს, მაგრამ ოფიციალურად პროტესტის გამოთქმის უფლება არ გვაქვს, ოღონდ ამ კაცს რომ ჩვენგან ნივთები ჰქონდა მიბარებული, ის არ უნდა ჩაებარებინა აკადემიისთვის?

**— თვით აკადემიამ არ ჰკითხა ეს ბატონ დავით ლორთქიფანიძეს?**

— ვკითხეთ, გვიპასუხა, მე არსადაც არ გადავსულვარ, ეს ჯანაშიას სახელობის მუზეუმი მიაკუთვნეს კულტურის სამინისტროს და მე გენერალურ დირექტორად დამნიშნეს, თორემ ისე ადგილზე ვარო. აი ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაშია, ფაქტობრივად, უპატრონოდ არის მიტოვებული მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანძური და მე ძალზე მაშინებს მისი დღევანდელი ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა.

**— პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი, მუზეუმების კულტურის სამინისტროსთვის გადაცემის შესახებ, უკვე იქცა ბრძანებულებად?**

— დიახ. ეს მოხდა 2004 წლის დეკემბრის ბოლოს. აკადემიის არც პრეზიდიუმზე და არც საერთო კრებაზე ეს პროექტი, არ განხილულა. მე ვფიქრობ, ეს წარმოუდგენელი უკანონობაა.

ახლახან აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე გამოვედი სიტყვით და ის ვილაპარაკე, რასაც ახლა გეუბნებით, შეიძლება უფრო ვრცლად და გულმოსულად. პრეზიდენტმა, ბატონმა თამაზ გამყრელიძემ ბრძანა, ამას უკვე აღარაფერი ეშველება, პრეზიდენტის ბრძანებულება უკვე ხელმოწერილიაო. პრეზიდენტი შეცდომაში შეიყვანეს, პროექტი აკადემიასთან შეთანხმებულიაო. ვაღიაროთ და გამოვასწოროთ უნებლიეთ დაშვებული შეცდომა. მე პირადად ამ აზრისა ვარ.

**— ბატონო ანდრია, გვინდა თუ არა, საკითხი მაინც ასე დგება: კი, გადაეცა ჯანაშიას მუზეუმი კულტურის სამინისტროს, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ქვეყანა არ დაიქცევა. ხომ არსებობდა ამ სამინისტროს სისტემაში ხელოვნების მუზეუმი, რომელსაც ასევე უძვირფასესი საგანძური აქვს და არაფერი დაშავებულა. აკადემია გარკვეულ კონტროლს, რაღაც ზედამხედველობას მაინც ახორციელებდა ხელოვნების მუზეუმზე?**

— ძალიან მცირედს, მხოლოდ ირიბად — ხელოვნების მუზეუმთან მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ ქართული ხელოვნების ინსტიტუტს ჰქონდა უშუალო კავშირი.

**— ახლა როგორ წავა საქმე: კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის შემდეგ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი მთლიანად გამოვა აკადემიის ზედამხედველობიდან, მისი თვალთახედვიდან?**

— ალბათ! ამიტომაც მოვითხოვთ, რომ ეს საქმე გადაწყდეს კა-ნო-ნიერად! ჩვენ, აკადემია, იმის მომხრეც ვიქნებით, რომ ხელოვნების მუზეუმიც შემოგვიერთდეს.

**— ანუ, მუზეუმების მთელი ის გაერთიანება?**

— არა. მხოლოდ ხელოვნების მუზეუმი. ღია ცის ქვეშ მუზეუმი და თბილისის მუზეუმი (ქარვასლა) არავითარი აკადემიური დაწესებულებები არ არის. მაგრამ თუ მათაც გადმოგვცემენ, კი ბატონო, წინააღმდეგი არ წავალთ.

**— ბატონო ანდრია, რასაც ბრძანებთ, მხოლოდ თქვენი აზრია, თუ თანამოაზრეებიც გყავთ?**

— აკადემიაში ბევრია ჩემი თანამოაზრე.

**— და ამ ბევრმა რაღაც სახით გამოთქვით პროტესტი, დაწერეთ, გააგზავნეთ?**

— მე მივმართე აკადემიის პრეზიდენტს, მან მითხრა, რომ შემოსულია კონტროლის პალატის ჯგუფი და ისინი გაარკვევენ, თუმცა საკითხი გადაწყვეტილიაო.

**— კონტროლის პალატა, გაარკვევს აკადემიას რამე ფინანსური დარღვევა ხომ არ აქვს, თორემ ამ საკითხთან რა ხელი აქვს.**

— უპირველეს ყოვლისა, **ჩვენ გვინდა ვიცოდეთ: როგორ მოხდება მუზეუმში არსებული ნივთების დაცვა-შენახვა.** ამაზე უნდა იყოს ან აკადემიის პრეზიდიუმის ან მთავრობის დადგენილება. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია. მსოფლიო სამუზეუმო პრაქტიკაში ასეთი ფაქტი არ მომხდარა.

**— მაგრამ, სხვა ქვეყნებში ვის ეკუთვნის ასეთი მუზეუმები, იქ ხომ მეცნიერებათა აკადემიის ჩვენებური სისტემა არ არსებობს?**

— ეკუთვნის კულტურის სამინისტროებს, ან დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულებებია, როგორც, მაგალითად, ლონდონის ბრიტიშ მუზეუმი, რომელიც ფართოდ თანამშრომლობს აკადემიურ წრეებთან. მაგრამ რუსეთში, სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ისინი კვლავაც მეცნიერებათა აკადემიებს ეკუთვნის. **თუ ეს წესი შეიცვლება, უნდა შეიცვალოს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერებათა აკადემიასთან მოლაპარაკების გზით.**

**— ახლა მეორე საკითხი. თვით მეცნიერებათა აკადემიის ბედი როგორ გესახებათ. იყო ხომ ლაპარაკი, აკადემია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადისო და ა. შ. მერე ამაზე ლაპარაკი თითქოს მინელდა...**

— ამის შესახებ აკადემიას ოფიციალურად, ჯერჯერობით, არაფერსეუბნებიან. მაგრამ, ვაითუ, შემდეგ შეადგინონ რაიმე დოკუმენტი, მოაწერინონ ხელი ქვეყნის პრეზიდენტს და გამოგზავნონ, თავისუფლები ხართო. არ არის, ბატონო, საქმე ასე. ზევით უკვე ვთქვი: **აკადემიის წესდებაში წერია, რომ მისი უმაღლესი ორგანო არის აკადემიის საერთო კრება და პრეზიდიუმი. ყველა ცვლილება მან უნდა განახორციელოს. ამას უნდა გაუწიონ ანგარიში. არავის აქვს იმის უფლებამოსილება, რომ მე, ჩემს უკითხავად, ხელი მომავლოს და იქ გამაგზავნოს, სადაც მოესურვება. ჩვენი აკადემია კი, სამწუხაროდ, მზად არ ჩანს იმისთვის, რომ იბრძოლოს და შეინარჩუნოს თავისი თავი.** რაც შემეხება მე, პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე ოფიციალურად გამოვაცხადე: განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული აკადემიის წევრად არ დავრჩები!

ესაუბრა
**სანდრო ალექსიძე.**

⊙ პოეზია უპირველეს ყოვლისა



მარიკა ბარათაშვილი

## კარუსელი

მე ჩემი ბედით დავემსგავსე
ახალ ობობას —
ვზივარ კუთხეში
და აქა ვქსოვ ჩემს მარტოობას.
გვერდით, ცხოვრება ატრიალებს
თავის კარუსელს
შეჯიბრებაა, ვინ-ვის სჯობნის
ვინ-ვის გაუსწრებს.
ვინ მოფიქრებით,
ვინ სპორტული გამოცდილებით
ცდილობს გაუსწროს თანამგზავრებს
რაღაც ილეთით.
აყოლილები ამ შეჯიბრის
აზარტს — ვნებიანს,
ზოგჯერ ერთმანეთს
გამეტებით ეჯახებიან.
ასე ჰგონიათ, ჯამბაზობით
სხვებს რომ უსწრებენ,
სულ მათ ნებაზე იტრიალებს
ეს კარუსელი.
მიდის, ტრიალებს ეს ქვეყანა
თავის დინებით,
გზა-გზა ცვივიან შეჯიბრების
მონაწილენი...

2004 წ. 20 XII

## მარნის კარებთან

სიხარული თუ მწუხარება — ღამის მთევლები,
არ გასვენებენ, იწურება ფიქრის მტევნებით.
ტკბილი გინდოდა, უმწიფარიც ბევრია, თითქოს
მარნის კარებთან ყველა ტკბილის სასმისებს ითხოვს.
რა ზუილია კრაზანების მარნის კარებთან,
მალა რომ ჰქონდა, სამტროდ არვის არ იკარებდა!
მაგრამ ფანდები კრაზანამაც, ეტყობა, იცის,
კარი რად უნდა, ჭუჭრუტანაც ეყოფა ფიცრის.
რამდენიც გინდა ანამუსო, იგერიებდე,
ყველა ახერხებს, ჰირს ნადავლით იგემრიელებს.
თავის სახლ-კარი აღარ ჰყოფნის მადას, არ კმარა, —
მეზობელ მარნებს მისევია გუნდად კრაზანა...

* * *

...ღამის საფიქრალს არ აქვს ბოლო, არ უჩანს კიდე...
რად ამეკიდა, ან მე კიდევ რად ავიკიდე!
ან რომელია, მეპატრონის წყრომას დანებდა?
სულ შეტევაა მარნის კართან და საწნახელთან.
გინდა ევედრე, თუგინდ სცემე, ებრძოლე-ედავე,
თუ მოგერიენ, გადათელვას გაგიბედავენ.

* * *

ნუ ელოდები თავსხმის თავად გადაკარებას,
ფხიზლად იდექი საკუთარი მარნის კარებთან.
თქვენ, მთა და ბარის რაინდებო, გმირო ფუტკრებო,
ნუ, ნუ მოიცლით სალხინოდ და დასაბუდებლად,
თორემ, ხომ ხედავთ, რამდენია ქვეყნად მარანი
გადანგრეული და სახურავდაუფარავი,
ანდა რამდენი ქვევრი არის ადრე ქებული,
დღეს დამსხვრეული, ჩაშავებულ-დაუქმებული!
გთხოვთ, სასიკეთოდ აილესოთ ხმალი ნექტარის,
თორემ ხომ ხედავთ, კეთილ ყოფას ვერ მოვესწარით!
თქვენ გევალებათ რაინდებო, ჩვენო ფუტკრებო,
რომ ჩვენს სამყოფელს მტრულად მოსვლა ვერ გაუბედონ!

2004 წ. 19 XII

## სიკვდილ-სიცოცხლე

სიცოცხლემ — სიკვდილს თავის ტახტი
რატომ დაუთმო.
რად მიიჩნია ქვეყნად ყოფნა
მხოლოდ საწუთროდ?
რად რთავს სამყაროს ათას ფერით
და სიდიადით,
რომ შემდეგ თავად ჯურღმულებში
იგანთიადოს?

* * *

რა არ აგვიხსნა, არ გვასწავლა
დიდმა „ლოცვანმა"!..
მაინც ვერ შევძელით, ამოგვეხსნა
ეს ამოცანა...

2004 წ. 19 XII

## მჯეროდა და მჯერა

შორეული წლები — დღეთა სათიბები,
გამოვლილი დროის მკაცრი მითითებით,
რარიგ გვაღონებენ, რარიგ გვაწუხებენ
თავის უსაშველო მწვავე მარწუხებით.
იციაგებს სადღაც — სხივს უმალვე ჰკლავენ,
მოახვევენ მკაცრად, დაუნდობელ მკლავებს,
გვაგონებენ ყველას (თავად ახსოვთ კარგად)
ბედმა სად გვიმუხთლა, სად რა დაგვიკარგავს,
წაგვართმევენ ხვალის ხალისს, იმედს ყოველს,
გვარწმუნებენ: ქვეყნად მხოლოდ სტუმრად მოველთ.
მე კი ისე მტკიცედ მჯეროდა და მჯერა —
უკვდავება სულის, უძლებს დროის ჩქერალს,
რომ იცოცხლებს ცისკენ მარადიულ ლტოლვით,
მილურსმული მიწას, სულის ყველა რგოლი.
მომალადე, — მტერი ვერ წაგვართმევს, ვერა
სურვილს ცისკენ ფრენის, მალასა და რწმენას.

* * *

მიჩვეულნი ფრენას, ვერ ვიგუებთ სოროს,
ვერ მივიჩნევთ ღმერთად აღასა თუ სოროსს.
ვერ დააშრობს ვერვინ, ჩვენი სულის წყაროს,
უკვდავების ენით საქართველო გალობს!..

2004 წ. 18 XII

⊙ ინფორმაცია

## საჩუქარი — ზვიად გამსახურდიას ოდიშურ სახლს

**ზუგდიდის** რაიონის გამგეობამ გუშინ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ოდიშურ სახლს რაიონის გამგებლის კაბინეტში არსებული ის მაგიდა და სავარძელი გადასცა, რომელშიც ჩეჩნეთიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ ზვიად გამსახურდია იღებდა გადაწყვეტილებებს.

რაიონის გამგებლის კახა არდიას განცხადებით, ეს გადაწყვეტილება რაიონის გამგეობამ იმიტომ მიიღო, რომ სწორედ ამ მაგიდასთან მიიღო ზვიად გამსახურდიამ რამდენიმე ისტორიული გადაწყვეტილება. „მაშინ წყდებოდა საქართველოს ბედი და მაგიდასთან მუშაობდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი. ამიტომ ეს მაგიდა უნდა ინახებოდეს მის სახლ-მუზეუმში და არა გამგეობაში" — აღნიშნა მან.

**ინტერ-პრესი.**

⊙ დროს მოიტანა

# სილამაზის შექმნა უდიდესი ნეტარებაა

**წერილი მე-2** ვაგრძელებთ საუბარს კოსმეტოლოგ თამარ ბექაიასთან

**— ქალბატონო თამარ, სამწუხაროდ, უკვე ვეღარ ვერევით სიგარეტიან გოგონებსა და ქალებს, თითქოს ყველას ესმის მისი მავნებლობის შესახებ, მაგრამ შეაყარეო კედელს ცერცვი.**

— თამბაქო, რომ არაფერი ვთქვათ მის ზოგად უარყოფით თვისებებზე, სახის კანის პირველი მტერია. არც ალკოჰოლი, არც სხვა მავნე ჩვევები, არ აზიანებენ სახის კანს ისე, როგორც თამბაქო. მისი თანდათანობით შემპარავი ზემოქმედება სახის კანის მკვებავ სისხლძარღვებზე, ერთ მშვენიერ დღეს, გამოუსწორებელ შედეგად შეიძლება მოგვევლინოს. თამბაქო „ჭამს" სახის კანს, უკარგავს მას ელასტიურობას, არღვევს მის კვებას, უცვლის ფერს. დააკვირდით ქალებს, რომლებიც დიდი ხანია ეწევიან. სახეზე ნაცრისფერი გადაჰკრავთ, კანი მშრალია, ხოლო მასზე არსებული ბუსუსები გაუხეშებული. და იცით რა არის ყველაზე სამწუხარო? ამ დროს განვითარებული ცვლილებები შეუქცევადია. პროცესის შეჩერება შეიძლება, თუ მოწევას თავს დავანებებთ და მთელ რიგ რეაბილიტაციურ პროცედურებს ჩავატარებთ, მაგრამ პირვანდელ სახის კანს ვეღარასოდეს დავიბრუნებთ.

ამიტომ, უპირველესად, მინდა ახალგაზრდა გოგონებს მივმართო. მიიღეთ ჩემი მეგობრული რჩევა და სანამ პირველ სიგარეტს ხელში აიღებთ, კიდევ ერთხელ გაიაზრეთ ყოველივე ზემოთქმული, იფიქრეთ, ღირს თუ არა, თქვენი სილამაზე ნაადრევად ანაცვალოთ მავნე სიამოვნებას და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტეთ თამბაქო თქვენი ცხოვრების თანამგზავრად გაიხადოთ. მით უმეტეს, რომ შემდგომში იგი კანთან შედარებით ბევრად უფრო სერიოზულ და არასასიამოვნო პრობლემებს შეგიქმნით.

ასევეა ჭარბი ალკოჰოლის მიღება. ამ ბოლო დროს, მზის სხივებსაც ბოროტად იყენებენ. არის კანის ტიპი, რომელსაც მზის აბაზანები საერთოდ არ უხდება.

**— ფაქტობრივად, სტრესის პირობებში ვცხოვრობთ, ხან რა უბედურება დაგვატყდება თავს და ხან რა, ალბათ, ესეც ახდენს ჩვენს გარეგნობასა და ჯანმრთელობაზე გავლენას.**

— სტრესი, ჩვენი ეპოქის მუდმივი თანამდევი ფენომენია, — ძნელია ჩამოთვალო ის ცვლილებები, რომელსაც სტრესი იწვევს და რომელიც შემდგომში სხვადასხვა პათოლოგიით წარმოჩნდება. სტრესი ანგრევს და ფიტავს ნერვულ სისტემას და შესაბამისად მთელ ორგანიზმს. საბოლოოდ მძიმე შედეგებითაც შეიძლება დამთავრდეს. მისი თავიდან აცილების საშუალებაა არსებული სიტუაციის სწორი შეფასება, ობიექტურობა, მოყვასის სიყვარული, უცხო ადამიანების პატივისცემა, სხვისი აზრის ანგარიშის გაწევა, სხვისი თანადგომისა და დახმარების სურვილი, ზოგჯერ საკუთარი სიამაყის ძალლევა.

**— სუნამოზე რას გვეტყვით, ის ხომ მაინც უსაფრთხოა.**

— გვახსოვდეს, სუნამოს უმეტესი ნაწილი ე. წ. ბერგამოტის ზეთს შეიცავს, რომელიც კანზე მოხვედრისას, მზის სხივებისადმი კანის მგრძნობიარობის ზრდის. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს მდგრადი ყავისფერი პიგმენტაცია, ანუ ლაქების გაჩენა. ამიტომ ყოვლად დაუშვებელია მისი ყელზე ან სახის რომელიმე ნაწილზე პკურება. უმჯობესია მისი წასმა ყურებს უკან, ყელის ქვედა ნაწილზე.

**— ექიმი-კოსმეტოლოგის პაციენტები ეს მაინც უმეტესად ქალები არიან?**

— დიახ, კოსმეტოლოგია ქალების საბრძანებელია, და დამერწმუნეთ, ძალიან სასიამოვნო საქმიანობაა, როდესაც ხედავ, რომ შენი პაციენტი 10 წლით გაახალგაზრდავდა, სიარული შეეცვალა, თავაწეული დადის, თვალები გაუბრწყინდა. სილამაზის შექმნა, ეს უდიდესი ნეტარებაა.

**— ამბობენ, ძალიან აქტიური მალამოები ჯობს ჰგავს, რომელსაც ორი ბოლო აქვს: პირველად შესანიშნავი ეფექტია, შემდეგ კი კანი ჩამოეკიდება, როცა „ნარკოტიკი" აჩერებს მოქმედებას.**

— მალამო სათამაშო არ გახლავთ. ჰორმონებიანს, ძალიან აქტიურს, არსებობის უფლება აქვს, მაგრამ აქ ზღვარს არ უნდა გადავაბიჯოთ. ჩვენი კანიც ხომ ისეთივე ზარმაცია, როგორც ჩვენ თავად ვართ. სპარტანულ პირობებში ხომ მუშაობს, იცავს დისტანციას, როგორც ცხენი დოღის დროს. და თუ ცხენს ყოველ წუთში ვკვებავთ, ზარმაცდება და შემდეგ უნდა ვაიძულოთ, რომ გაიქცეს. ასევეა ჩვენი კანიც.

**— რეკლამები ყოველ წუთს ახალი ჯადოსნური საშუალებებით გვხიბლავს. ცნობილი ფირმები ანტისტრესულ პროგრამებსაც კი გვთავაზობენ. ის კი არადა, თითქოს ერთ ქილა მალამო ნებისმიერ უსიამოვნებას აგაცილებს...**



— ან ქმარი ცოლს აღარასოდეს უღალატებს... რეკლამა არის რეკლამა, ხშირად ერთი და იგივე პროდუქციას მყიდველებს სხვადასხვანაირი შეფუთვით სთავაზობენ. სიახლე კოსმეტოლოგიაში ძალიან იშვიათია, სულ ახლახან კი მართლაც საოცარი მალამო გამოჩნდა. ყველას მოეხსენება ბოტოქსის ინექციები. ისინი იმიტომ არიან ასეთი ეფექტიანები, რომ კანის უჯრედებს კვებავენ, არავითარ გარეგან საშუალებას არ შეუძლია მოლეკულაში შეაღწიოს, რადგან მისი ზომა ამის საშუალებას არ იძლევა. და აი, გერმანიაში ახალი გელი შექმნეს, რომელიც უჯრედებში აღწევს, მის ბაზაზე შეიქმნა მალამო, რომლის ეფექტიც ინექციას უტოლდება.

**— კოსმეტიკის ამ ზღვა პროდუქციაში როგორ გავერკვეთ, ვიცოდეთ მაინც, რაა სასარგებლო და რაა მავნებელი?**

— მალამო, რომელიც ჯიხურში და სუპერმარკეტებში იყიდება, უსაფრთხოა, ზიანის მოტანა არ შეუძლია, მაგრამ კარდინალურად ვერ დაგეხმარებათ. სამკურნალო მალამო სამედიცინო დაწესებულებაში უნდა შეიძინოთ. მალამო, რაც ძვირია, მით უფრო უკეთესია. სწორედაც ამ ჯადოსნურ ქილებშია ის კომპონენტები, რომელიც საშუალებას აძლევს ჩვენს ქალებს უფრო უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე ჩვენი ბებიები და დედები გამოიყურებოდნენ.

ძვირფასო ქალებო! თქვენი სილამაზე თქვენს ხელთაა. მთავარია სურვილი. გახსოვდეთ, ბრძენს უთქვამს: „ჯობს თავიდან აიცილო, ვიდრე იმკურნალო!" ამიტომ თქვენი ჯანმრთელობის დაცვა თქვენი სილამაზის, განწყობის, სრულყოფილი ცხოვრების საწინდარია.

ესაუბრა
**მარადი ანასაშვილი.**

⊙ მხარე

## თოჯინები ვერ იცინიან

**კოტე მარჯანიშვილის მოწაფის — დოდო ანთაძის მიერ 59 წლის წინათ ქუთაისში დაარსებულ თოჯინების თეატრს, მატერიალურთან ერთად, სულიერი გასაჭირის დღეებიც დაუდგა — წლევანდელი 6 იანვრის შემდეგ მისი დირექტორი, ბატონი შალვა ქებაძე პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გადადგა**. მრავალ სხვა მიზეზთან ერთად ეს გადაწყვეტილება იმანაც განაპირობა, რომ დირექტორის ხელფასი — 66 ლარი — საარსებო მინიმუმზე თითქმის სამჯერ ნაკლებია და არათუ ოჯახის სარჩენად, ერთი კაცის არსებობის შესანარჩუნებლადაც არ კმარა. ამითაც აიხსნება, რომ დასის თავკაცობისკენ გული არავის მიუწევს და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად ვერავინ შეირჩა.

გაცილებით ცუდ მდგომარეობაში არიან რეჟისორები და მსახიობები. მათი მინიმალური ხელფასი 23 ლარია და ხელზე ამასაც ვერ იღებენ.

ქუთაისში და, საერთოდ, საქართველოში კულტურა რომ პრიორიტეტულ სფეროს არ განეკუთვნება, ეს იმ მწირი დაფინანსებითაც თვალნათლივაა, რომელიც თოჯინების სახელმწიფო თეატრისთვის წლეულს გამოიყო — 32 ათასი ლარი. ეს თანხა ახალი სპექტაკლების დასადგმელად კი არა, გასაცოდავებული ხელფასებისთვისაც კი არასაკმარისია.

აი, რატომ ვეღარ იცინიან თოჯინები იმ თეატრში, რომელიც ნორჩ თაობას იმაზე ოცნებით ზრდიდა, თუ „ვინ დახატავს საქართველოს".

## ორი ოთარის სკვერი

**ქუთაისში დღესაც სამაგალითოდ მიაჩნიათ თანაქალაქელების — ოთარ მამფორიას და ოთარ სულაბერიძის ურთიერთობა.** ცნობილი პოეტი და მისი უახლოესი მეგობარი, პოეტური სულით გამორჩეული ომგამოვლილი ვაჟკაცი, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „მწვანე ღილის" მთავარი მოქმედი პირის — ვაშალომიძის პროტოტიპი დიდხანს ამშვენებდნენ რიონისპირა ქალაქს და მის კოლორიტულ სახეებს წარმოადგენდნენ.

რამდენიმე წლის წინათ საზოგადოება „ქუთაისელის" თაოსნობითა და ძალისხმევით ორივე ოთარისთვის უსაყვარლესს ადგილზე, კინოთეატრ „საქართველოს" წინ, აკაკი წერეთლის გამზირისკენ გამავალ სკვერში მოქანდაკე რეზო რამიშვილის მიერ შესრულებული ოთარ სულაბერიძის სკულპტურული პორტრეტი დაიდგა.

სულ მალე ამ სკვერს მეორე ოთარის ქანდაკებაც შეემატება. მისი ავტორია ცნობილი ქუთაისელი მოქანდაკე აკაკი კიკვაძე.

პროექტის დამტკიცებამდე პოეტ ოთარ მამფორიას სკულპტურული პორტრეტი განიხილა და მოიწონა საზოგადოება „ქუთაისელის" დარბაზმა, სადაც ეს ნაწარმოები დიდხანს იყო გამოფენილი.

**ალექსანდრე შენგელია,**
**„სრ" საკ. კორ.**

◉ წინაპარი

# „ცის დაპყრობის ისტორია – ოცნებიდან რეალობამდე“




**1909 წელს მსოფლიო მოიცვა სენსაციამ, – ფრანგი ავიატორი ლუი ბლერიო, საფრანგეთიდან ინგლისს გადაფრინდა. პარიზის აეროკლუბი ბლერიოს №1 დიპლომს უბოძებს. მსოფლიოს ენთუზიასტები მიემართებიან ავიაციის მექაში – საფრენოსნო სკოლებში.**

**დაიწყო ავიაციის ერა.**

1910 წელს რკინიგზის მშენებელი ბესარიონ ქებურია, მეგობრებისა და კავკასიის ჰაერ-ნაოსნობის საზოგადოების დახმარებით პარიზში ჩადის, სადაც პარიზის აეროკლუბის თეორიის კურსს გადის და მსოფლიოში № 210-ე ავიატორის დიპლომს იღებს. საჩვენებელი ფრენების მოწყობისთვის საჭირო იყო საფრენოსნო სკოლაში მართვის უფლების მიღება, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთან გახლდათ დაკავშირებული.

იმ დროისთვის ინსტრუქტორები მხოლოდ აეროდრომზე ასწავლიდნენ მოწაფეებს აპარატით მანევრირებას, ცაში კი ავიატორს მარტო უხდებოდა აეროპლანის მართვა. ხშირი იყო ავარიები, რომლებსაც ჯარიმის სახით, დიდძალი თანხის გადახდა მოჰყვებოდა. იმ დროისათვის მხოლოდ ორი ტიპის თვითმფრინავი არსებობდა, ბი-პლანები და მონოპლანები. ბი-პლანი უფრო იოლად მართვადი იყო, მეტად უსაფრთხო და, რაც მთავარია, რამდენიმე მგზავრსაც იტანდა.

მონოპლანი უფრო რთული იყო მართვისთვის, მაგრამ უფრო სწრაფი და დიდი სიმაღლეების დაპყრობა შეეძლო.

საქართველოს მთაგორიანი რელიეფის გათვალისწინებით, ქებურიამ მონო-პლანი ირჩია და ცოცხალ ლეგენდად ქცეული ლუი ბლერიოს საფრენოსნო სკოლას მიაშურა. ბლერიოს რჩევით, მან თავიდანვე შეიძინა მისი მოდელის მონოპლანი 25-ცხენისძალიანი ძრავით და ექსტერნად გამოცდების ჩაბარების შემდეგ, პილოტის მართვის მოწმობა და დამოუკიდებელი ფრენების უფლება მოიპოვა. ამრიგად, 1910 წლის 29 აგვისტოს პარიზის ცა ქართველმა ავიატორმაც დაიპყრო. წინ იყო შორი გზა სამშობლოსკენ. ქებურიას თანასკოლელმა ვასილიევმა შესთავაზა მას, საჩვენებელი ფრენები ვოლგისპირეთის ქალაქებში ერთად მოეწყოთ, იმ პირობით, რომ „გასტროლებს“ ტფილისში დაასრულებდნენ, სადაც საფრენოსნო სკოლას გახსნიდნენ. ვასილიევმა მაშინ ორი მონოპლანი შეისყიდა, რაც სკოლის დაარსებისთვის საიმედო საფუძველი იყო. ქებურიამ წარმატებით იფრინა ვარშავაში. ნიჟნი-ნოვგოროდში და სარატოვში. ყაზანში მას შეუერთდა ვავილიევი, რომელმაც მშობლიურ ქალაქში წარმატებული ფრენების უზრუნველსაყოფად ორი ფრანგი მექანიკოსი ჩამოიყვანა. ასტრახანსა და ბაქოს შემდეგ, 1910 წლის 24 ოქტომბერს, ქებურიას ოცნების აღსრულების დღეც დადგა: მან მშობლიური ქალაქის ზეცა დაიპყრო. ქალაქ ტფილისში იგი ხშირად, მიუხედავად ძლიერი ქარისა, მაინც ატარებდა საჩვენებელ ფრენებს, შემოსავლის დიდ ნაწილს კი განათლების გამავრცელებელ საზოგადოებას სწირავდა. ხალხი აღტაცებით ხვდებოდა თანამემამულეს, მაგრამ ისეთებიც კი იყვნენ, ვისაც ეგონა, რომ აეროპლანს ბესარიონი კი არა, ეშმაკი მართავდა.

მიკიტანი ასათიანი ზედმეტსახელად უტრუხუნე მტკვრის პირას დუქნის გახსნას აპირებდა და ფიროსმანს სთხოვა ფირნიშზე რუსულად სიტყვა აეროპლანი („Аэроплан“) მოეხატა. რეკლამის მიზნით მან ნიკალას და სხვა ავტორიტეტულ პიროვნებებს ბესარიონისთვის ოთხი ტომარა ბატიბუტი გაატანა და სთხოვა, – ეს ძღვენი ჰაერში აფრენის შემდეგ ჩამოყარე, რათა ხალხი დარწმუნდეს მის რეალურობაში. ბესარიონი დათანხმდა, მაგრამ ახალგაზრდობა მოეფინა მინდორს „ღვთიური მანის“ ასაკრეფად და დასაფრენი ადგილი აღარ დარჩა, რის გამოც, ქებურია დაფრენისას ბორბლებით ღობეს მოედო და გადატრიალდა. აპარატი დაიმტვრა, ქებურიამ კი ნეკნი მოიტეხა. აღფრთოვანებულმა მაყურებელმა ავიატორი ხელში ატაცებული მიიყვანა ფაეტონამდე, დუქანში კი დიდი ქეიფი გაიმართა. ცნობილია, რომ იმ დუქნის ერთ კედელზე ფიროსმანმა ბესარიონი და მისი აეროპლანი დახატა, მაგრამ სამწუხაროდ, მისმა შედევრმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

1911 წელს ქებურია აგებს საკუთარი კონსტრუქციის მონოპლანს, რომელზეც უკვე 50-ცხენისძალიან ძრავას აყენებს. ეს იმის საშუალებას აძლევს, რომ თბილისიდან ქუთაისში გადაფრინდეს. ბესარიონ ქებურია პირველი ქართველი ავიაკონსტრუქტორია და მეფის რუსეთში ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს უნიჭიერესი ინჟინერი თავისი ხელით აგებდა აეროპლანს.

ქებურია აწყობს საჩვენებელ გადაფრენებს სოხუმიდან სენაკში, იქიდან – ფოთში, ფოთიდან – ბათუმში. ბათუმში ფრენის დროს მას ზღვაში ჩაუვარდა მაგნეტო. ზღვაზე დაშვებისას მას ძლივს მიუსწრეს მეზღვაურებმა. იგი იხრჩობოდა, მაგრამ ჯერ აეროპლანისა და, რაც მთავარია, ძრავის გადარჩენაზე ფიქრობდა, რადგანაც ფრენის გარეშე სიცოცხლე ჩალის ფასადაც არ უღირდა.

1923 წელს ქებურია სააქციო საზოგადოება „ზაკავიას“ ერთ-ერთი დამაარსებელი გახლავთ და მისი საკავშირო საზოგადოება „დობროლიოტთან“ გაერთიანების შემდეგ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელიც არის.

პირველი აეროდრომების მშენებლობა თბილისში, ქუთაისში, სოხუმში და სხვა ქალაქებში, სანავიგაციო სისტემის მოწყობა, კადრების მომზადება, პირველი ავიამარშრუტების გაყვანა თბილისი-ბაქო-მოსკოვი, თბილისი-სოხუმი-მოსკოვი და შემდეგ პირდაპირ მოსკოვზე დიდი კავკასიონის გადალახვით... ყველაფრის მოთავე და ორგანიზატორი ბესარიონ ქებურია გახლდათ.

1930 წელს, როდესაც შეიქმნა სამოქალაქო ავიაციის ამიერკავკასიის სამმართველო, მან შენობაც კი დაახვედრა მათ, რისთვისაც რუსთაველის გამზირზე (ოპერის პირდაპირ) ორი სართულის დაშენება მოუწია.

შემდგომ წლებში ქებურია აქტიურად ჩაება დოსაafის (არმიის, ფლოტისა და ავიაციის ხელშემწყობი მოხალისეთა საზოგადოება) მუშაობაში და ვინ იცის, რამდენმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა ავიაციაში მისვლა ბესარიონის ცხოვრების მაგალითისა და ავტორიტეტის გავლენით.

ომის დროს მოუსვენარმა ქებურიამ მოხალისეების დახმარებით მშობლიურ ჩხოროწყუში აეროდრომი გააშენა. მას ერთ-ერთ პირველს მიენიჭა დამსახურებული მფრინავის წოდება. ქ. თბილისის აეროპორტში დაიდგა მისი ძეგლი, მაგრამ შემდეგ, ცნობილი მოვლენების დროს, ძეგლი წააქციეს თურქეთში გატანის მიზნით! აეროპორტის ხელმძღვანელობამ ძეგლი აღადგინა, მაგრამ ფენიქსის სიმბოლური ფიგურა არსად ჩანს. ვიმედოვნებთ, რომ აეროპორტის რეკონსტრუქციის პროცესში ძეგლი სრულყოფილად აღდგება და შეინარჩუნებს ავტორების მიერ გასაზღვრულ გამორჩეულ ადგილს საერთო ანსამბლში.

საქართველოს მოქალაქეებმა და დედაქალაქის სტუმრებმა უნდა იცოდნენ, რომ საერთაშორისო ავიაციის განვითარების ისტორია წარმოუდგენელია ქართველი საავიაციო სკოლის წვლილის გარეშე. ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ისეთი სახელებით, როგორიცაა მიხეილ მაჭავარიანი, (მან პირველ მსოფლიო ომში თურქების თვითმფრინავი იგდო ხელთ), ალექსანდრე ქართველიშვილი (რომელმაც, როგორც ბალანჩინმა ბალეტში, ისე, ამერიკის ავიაციაში ისახელა თავი). მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოს ღირსეულ შვილთაგან 30-ზე მეტმა მფრინავმა დაიმსახურა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მშვიდობიან დროს ვანო სამადალაშვილი რეაქტიულ თვითმფრინავებზე უცხოელებსაც კი უტარებდა პილოტაჟის ინსტრუქტაჟს.

წლების განმავლობაში საქართველოს პარლამენტის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის კომიტეტის შუამდგომლობითა და ჩვენი საზოგადოების წარჩინებულ მოღვაწეთა მხარდაჭერით პრესაში და ოფიციალური წერილების სახით ქალაქ თბილისის მერიის სახელზე იდგა ოთხი აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხი:

**პირველი** – თბილისის აეროპორტს, რომელიც საერთაშორისო კლასიფიკაციაში დღემდე, რატომღაც, ნოვოალექსეევსკის სახელს ატარებს, მიენიჭოს პირველ ქართველი ავიატორ-კონსტრუქტორის და საქართველოში სამოქალაქო ავიაციის ფუძემდებლის ბესარიონ ქებურიას სახელი, რომელსაც 1 მარტს დაბადებიდან 135 წლისთავი შესრულდება. ეს ქართული საავიაციო სკოლის საერთაშორისო ასპარეზზე აღიარების სიმბოლოდ და ქართველთათვის, ეროვნული ღირსების კიდევ ერთ დასტურად იქცევა.

**მეორე,** – აეროპორტის მახლობლად მდებარე დასახლება ალექსეევკას მიენიჭოს ლეგენდარული ფრანგი ავიატორ-კონსტრუქტორის, ლუი ბლერიოს სახელი, რომლის საფრენოსნო სკოლა დაამთავრეს ქებურიამ, გრიგორაშვილმა, ერისთავმა, ქართველიშვილმა, მდივანმა და ლარჩიევმა. ეს ქართველი ხალხის მადლიერების კიდევ ერთი გამოხატულება იქნება ფრანგების მიმართ.

**მესამე,** – საავიაციო ინსტიტუტის დირექტორის, მოქმედ მფრინავ-ინჟინრის, აკადემიკოს სერგო ტეფნაძის ინიციატივით, საავიაციო ინსტიტუტში გამოყოფილია სათანადო ფართობი ავიაციის ეროვნული მუზეუმისთვის. ქებურიას შვილიშვილმა, გიორგი ქებურიამ შეაგროვა საექსპოზიციო მასალის უნიკალური კოლექცია, რომლის ნაწილი გადანახულია მუზეუმებში.

კულტურის სამინისტრო მხარს უჭერს ამ ინიციატივას, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ხერხდება შენობის გარემონტება, სტენდების, ვიტრინების, დგარების, პირველი აეროპლანების მოდელების დამზადება და საექსპოზიციო მასალის მხატვრული გაფორმება.

მერიაში წარგზავნილმა წერილებმა რამდენჯერმე გაიარეს ყველა ინსტანცია, მაგრამ ფულადი დახმარება ჯერ არ სჩანს.

დარწმუნებული ვარ, რომ მუზეუმი ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად იქცევა ქ. თბილისში, მის ეროვნულ მნიშვნელობაზე რომ არაფერი ვთქვათ!

**მეოთხე,** – ს. ტეფნაძემ და გ. ქებურიამ გამოსაცემად მოამზადეს წიგნი „ცის დაპყრობის ისტორია – ოცნებიდან რეალობამდე“. რომელიც შეავსებდა ინფორმაციულ ვაკუუმს, რომელიც ამ სფეროში არსებობს. თაობები ისე იცვლებიან, რომ თითქმის არაფერი იციან ჩვენი გმირული წარსულის შესახებ, რაც ყოვლად დაუშვებელია. ვიმედოვნებ, რომ თუ ქალაქის მესვეურები და მეცენატები გამოიჩენენ ეროვნული ღირსებისა და საუნჯის მიმართ ისეთივე ყურადღებასა და გულისხმიერებას, როგორც ჩვენი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, უმოკლეს დროში ვეღირსებით ოთხივე საკითხის მოგვარებას.

**არნოლდ ჟვანია,**
**საქართველოს პარლამენტის დეპუტატი.**





**სურათებზე: ბესარიონ ქებურიას პარიზის აეროკლუბის დიპლომი; საჩვენებელი ფრენების წინ; ყაზანი, 1910 წელი. ბესარიონ ქებურიას ძეგლის პირველი სახე.**

◉ წინ, საქართველო!

## 65:0 – აღარც ძმობა, აღარც მეგობრობა?!

**(პირველი გვერდიდან)**

შესვენების შემდეგ საქართველოს მორაგბეთა უპირატესობა უფრო აშკარა გახდა. 40 წუთის განმავლობაში გიორგაძემ, მაისურაძემ, გორგოძემ, ზიბზიბაძემ (2), ურუშაძემ და კიკნაძემ შვიდჯერ აიღეს უკრაინელთა სალელოე მოედანი, გარდასახვა კი მხოლოდ ორჯერ აღმოჩნდა უნაკლო (კიკნაძე). საბოლოოდ 65:0 გაიმარჯვეს ბორჯღალოსნებმა და სატურნირო ცხრილის პირველ სამეულში განიმტკიცეს ადგილი.

– ათი წელიწადი ვითამაშე კიევის „ავიატორში“, – მითხრა უკრაინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა **ვლადიმერ მუხამ.** – საკავშირო ჩემპიონატებზე არაერთხელ მიასპარეზია საქართველოს მორაგბეების წინააღმდეგ. ყოველთვის რჩეული გუნდები გყავდათ. თქვენი ამჟამინდელი ნაკრებიც საკმაოდ ძლიერია. ერთა თასის გათამაშების ფავორიტადაც სამართლიანად ითვლება.

რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, ანგარიშმა, ცხადია, გული დამწყვიტა, მაგრამ ჩემი შეგირდების თამაშით კმაყოფილი ვარ. მართალი გითხრათ, უკეთეს შედეგს არც ველოდი, რადგან ნაკრების ზოგიერთი წევრი თბილისში გამომგზავრებისას თვითმფრინავში ვნახე პირველად. ჩემმა ბიჭებმა მხოლოდ 60 წუთის განმავლობაში შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა, რაგბი კი, მოგეხსენებათ, 80 წუთი გრძელდება. დიდი მადლობა მასპინძლებს, რომლებიც საფინალო სასტვენამდე ძალების დაუზოგავად, პროფესიულად გაისარჯნენ და საკუთარი შეცდომებისა თუ ხარვეზების ბოლომდე გამოვლენის საშუალება მოგვცეს. მეტოქემ გვაჯობა ფიზიკაში, ტექნიკასა და ტაქტიკაში. მეტი რაღა დარჩა?! შარშან 20 ნოემბერს პორტუგალიელებთან უკეთ ვითამაშეთ, თუმცა, მაშინაც დავმარცხდით 6:36. მას შემდეგ უკრაინაში ბევრი რამ შეიცვალა: ძველი მთავრობა წავიდა, ახალი კი ჯერ არ მოსულა. იცვლებიან გუბერნატორები, სახელმწიფო მოხელეები, ამიტომ ახლა რაგბისთვის არავის სცალია. არ გვაქვს საკუთარი ბაზა, დაფინანსება. იმედია, თანდათან ყველაფერი გამოსწორდება. როგორც „ნარინჯისფერ რევოლუციაში“, რაგბიშიც ბევრ რამეს ვისწავლით ქართველებისგან და სულ მალე ღირსეულ მეტოქეობას გავუწევთ თქვენს ეროვნულ ნაკრებს, რადგან ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია და რეზერვიც საიმედო გვყავს...

საქართველოს ნაკრებს ერთა თასის გათამაშების პირველ წრეში კიდევ 2 მატჩი აქვს გასამართავი. 12 მარტს იგი რუმინეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს, ხოლო 11 ივნისს, ასევე, საკუთარ მოედანზე ჩეხეთის ნაკრებს შეხვდება.

**გიორგი გაგუა**



◉ ჭიდაობა

## განახლებულ დარბაზში

**ბოლო დროს სახე იცვალა ლევან თედიაშვილის სახელობის დიღმის ოლიმპიური მზადების ცენტრის სპორტულმა დარბაზმა, სადაც სისტემატურად იმართება მოჭიდავეთა საინტერესო ორთაბრძოლები.**

ახლახან აქ მოეწყო თბილისის პირადი პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1986-88 წლებში დაბადებულთა შორის. გაუწყებთ გამარჯვებულთა ვინაობას: ლევან კირკიტაძე, ლაშა ლოლაშვილი, ნიკოლოზ ჯანჯღავა, ილია გულბათაშვილი, ალუდა ხუნჯუა, დავით ქარჩავა, ზურაბ გაბრიჩიძე, გიორგი ჩოხელი. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის (უფროსი გია უდესიანი) ინიციატივით ამ დარბაზში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა პირველობაც გაიმართება.

**შოთა ბოკერია.**

◉ სპორტულ ორბიტაზე

### ლიდერობს კასპაროვი

**თუმცა ჯერჯერობით ადრეა ლიდერობაზე ლაპარაკი, რადგან ლინარესის (ესპანეთის) სუპერტურნირზე შვიდი უძლიერესი დიდოსტატის მონაწილეობით მხოლოდ სამი ტური გათამაშებული, მაგრამ პირველი შედეგების მიხედვით მაინც გარი კასპაროვი დაწინაურდა – 2 ქულა სამი შესაძლებლიდან, პირველი ორი პარტია ლეკოსთან და კასიმჯანოვთან მსოფლიო რეიტინგის უცვლელმა ლიდერმა ყაიმით დაასრულა, მესამე პარტიაში კი შავი ფიგურებით მასპინძელი ვალეხო დაამარცხა.**

ამ ტურის დანარჩენი ორი პარტია ყაიმით დამთავრდა – ლეკო ანანდს დაუზავდა, კასიმჯანოვი კი – ადამსს. ისვენებდა ტოპალოვი.

3 ტურის შემდეგ ანანდს 1,5 ქულა აქვს ორიდან, კასიმჯანოვსა და ლეკოს 1,5 – სამიდან, ტოპალოვს – 1 – ორიდან, ადამსს – 1 – სამიდან, ვალეხოს – 0,5 – ორიდან.

### მსაჯებს - 100 ათასი ევრო

**ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) პრეზიდენტის ზეპ ბლატერის წინადადებით პროფესიონალ მსაჯებს წელიწადში გასამრჯელოდ 100 ათასი ევრო დაენიშნებათ. ფეხბურთის უმაღლეს ჩინოვნიკს ასეთი გადაწყვეტილებისკენ გერმანიაში მსაჯობის გარშემო აგორებულმა სკანდალმა უბიძგა.**



„ეს ყველაფერს გადაწყვეტდა, – განაცხადა მსოფლიო ფეხბურთის თავკაცმა, – მე ამას 10 წელია ვლაპარაკობ, მსაჯობა პროფესიად უნდა იქცეს. როდესაც სამსახურში მიდიხარ – ვერავის მოატყუებ“.

მისი აზრით, ახლა ფეხბურთში იმდენი ფული ტრიალებს, რომ შეიძლება მსაჯობისთვის ხელფასის დანიშვნა ევროპისა და სამხრეთ ამერიკის უმდიდრეს ჩემპიონატებზე.

„ეს დამოკიდებული იქნება ლიგაზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ სარგო წელიწადში 100 ათასი ევროს ფარგლებში უნდა იყოს“, – თქვა ბლატერმა.

### პატიმრების ოლიმპიადა კუბურად

**თავისუფლების კუნძულის – კუბის ციხეების პატიმრებს შესაძლებლობა მიეცათ, გამოავლინონ თავიანთი სპორტული მიღწევები და დაიცვან თავიანთი საპატიმროების ღირსება სხვადასხვა დისციპლინებში. ისინი მონაწილეობენ ამ ქვეყნის პენიტენციური დაწესებულებების პირველ ჩემპიონატში.**

შეჯიბრებებზე დაუშვეს ასობით პატიმარი კუბის სხვადასხვა რაიონში მდებარე ციხეებიდან, რისთვისაც მათ უმძიმესი კონკურსის გავლა მოუხდათ, რათა თავიანთი საპყრობილის ნაკრებ გუნდებში მოხვედრილიყვნენ. ამის მთავარი პირობა იყო არა მხოლოდ მაღალი შედეგები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, არამედ დისციპლინური სასჯელის მოხდის დროს.

როგორც ამ ქვეყნის სპორტის მინისტრმა უმბერტო როდრიგესმა განაცხადა, პატიმართა შეჯიბრებები ეწყობა მასებში სპორტის პოპულარიზაციის მიზნით ხელისუფლების პოლიტიკის განხორციელების ჩარჩოებში. ჩემპიონატში მონაწილეობენ ქალთა და ვაჟთა გუნდები. ისინი პირველობისთვის იბრძვიან მძლეოსნობაში, ბეისბოლში, კალათბურთში და სპორტის კიდევ ბევრ სახეობაში. ისინი უძლიერესებს გამოავლენენ, აგრეთვე, დომინოში, შაშსა და ჭადრაკში.



## აფეთქება თელ-ავივში

**ისრაელში გამოაცხადეს, რომ დააპატიმრეს ხუთი პალესტინელი ერთ-ერთ სოფელში, რომელშიც ცხოვრობდა თელ-ავივის ღამის კლუბში აფეთქების ორგანიზატორი კამიკაძე. ამ აფეთქების შედეგად, დაიღუპა სულ ცოტა ოთხი, და დაშავდა ორმოცდაათამდე ადამიანი. დაპატიმრებულთა შორის კამიკაძის ორი ძმაც არის.**

თავის მხრივ, პალესტინის უშიშროების ძალებმა მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე დააკავეს ორი პალესტინელი თელ-ავივში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით. ეს მაჰმუდ აბასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა ჟურნალისტებს პალესტინის ავტონომიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნასერ იუსიფმა.



ჯერჯერობით პალესტინელთა არც ერთ გასამხედროებულ დაჯგუფებას არ უკისრია პასუხისმგებლობა ღამის კლუბში მომხდარი აფეთქებისთვის.

პალესტინელთა ლიდერმა მაჰმუდ აბასმა აღნიშნა, რომ აფეთქების ორგანიზატორებს იპოვნიან და მკაცრად დასჯიან.

ისრაელის ოფიციალურმა პირებმა პალესტინის მთავრობას მოსთხოვეს გადაუდებელი ზომების მიღება გასამხედროებული დაჯგუფებების წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა დაგმო ეს ფაქტი და აღნიშნა: პალესტინის ხელმძღვანელობამ კონკრეტული ნაბიჯებით უნდა დაამტკიცოს, რომ იგი არ შეურიგდება ტერორიზმს.

აფეთქება მოხდა გვიან ღამით თელ-ავივის ერთ-ერთ უბანში, სადაც მდებარეობს უამრავი რესტორანი, სასტუმრო, მაღაზიები და კაფეები. პარასკევს საღამოს, იქ, როგორც წესი, მრავალი ტურისტი და ქალაქის მცხოვრები იყრის თავს.

ღამის კლუბის დაცვის მუშაკმა შენობაში შესვლის ნება არ დართო საეჭვო გარეგნობის მამაკაცს, რომელმაც აიფეთქა თავი კაფეს შესასვლელთან მდგომი ადამიანების მახლობლად.

## რუსეთი და ირანი ბირთვულ სათბობზე ვერ მორიგდნენ

**რუსეთმა და ირანმა მოულოდნელად გადადეს ბუშარის ელექტროსადგურის ატომური რეაქტორისთვის ბირთვული სათბობის მიწოდების შესახებ ძირითადი შეთანხმების ხელმოწერა, რომელიც შაბათისთვის იყო დაგეგმილი.**

მოლაპარაკება, რომლის დროსაც მხარეებმა უნდა აღმოფხვრან ბოლო მომენტში წამოჭრილი უთანხმოებანი, კვლავ გაგრძელდება.

წინათაც არაერთხელ გადაიდო ირანიდან რუსეთში სათბობის დაბრუნების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა.

ფრანს-პრესის სააგენტოს მონაცემებით, თეირანი არ ეთანხმებოდა მოსკოვის მოთხოვნას ყველა ნამუშევარი ელემენტის გატანის შესახებ და იმიზეზებდა მათ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ დიდ რისკს.

შეერთებული შტატები კატეგორიულად ეწინააღმდეგება რაიმე გარიგებას მოსკოვსა და თეირანს შორის, რადგან შიშობს, რომ ირანელებმა, შესაძლოა, რეაქტორი გამოიყენონ ბირთვული იარაღის შექმნისთვის გამიზნული პროგრამის განსახორციელებლად.

ნამუშევარი ბირთვული სათბობის რუსეთში დაბრუნების შესახებ ხელშეკრულება მოსკოვს მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ სათბობის ელემენტებით მოამარაგოს ირანში ბუშარის ატომური ელექტროსადგური, რომელიც რუსეთის დახმარებით აშენდა.

ირანში ვიზიტად მყოფი რუსეთის ატომური ენერგიის სააგენტოს ხელმძღვანელი ალექსანდრე რუმიანცევი შეხვდა ირანის ბირთვული პროგრამის ხელმძღვანელს გოლამრეზა აღაზადეს. ირანში ყოფნისას, რუმიანცევმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბუშერის ატომური ელექტროსადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემა „ვერ მიაახლოვებს ირანს ატომური იარაღის შექმნასთან“.

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა მტკიცებით, სადგურში გადამუშავებულ სათბობში პლუტონიუმის შემცველობა მცირე იქნება და „თავისი იზოტოპური შემადგენლობით იგი პრაქტიკულად გამოუსადეგარია ბირთვული იარაღის შექმნისთვის“.

## მოკლედ

**ჰიმალაის მთებში არნახულ დიდთოვლობას უკვე ემსხვერპლა 270 კაცი. თოვლის ზვავების ტყვეობა-**



**ში იმყოფება მთებში განლაგებული სოფლები და ელექტროგადამცემი ხაზები. სადღეისოდ მაშველებმა შეძლეს ნამქერებში მოყოლილი 468 კაცის გადარჩენა.**

* * *

**ბრიტანეთის სარდლობამ ბოდიში მოუხადა ერაყელ ხალხს სამხედროთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების გამო. გერმანიის ქალაქ ოსნაბრიუკის ტრიბუნალმა განაჩენები გამოუტანა ირანში დისლოცი-**



**რებული ბრიტანეთის სამეფო მსროლელთა პოლკის პირველი ბატალიონის სამ ოფიცერს. მათ მიუსაჯეს სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა ერაყელი პატიმრების წამებისა და აბუჩად აგდებისთვის.**

* * *

**მეცნიერებმა კამერუნში აღმოაჩინეს იმუნოდეფიციტის ორი ახალი ვირუსი. ეს ვირუსები იპოვეს კამერუნის სასოფლო რაიონების მცხოვრებთა ორგანიზმში, რომლებიც მაიმუნებსა და სხვა პრიმატებზე ნადირობით ირჩენდნენ თავს. როგორც მკვლევრები ვარაუდობენ, ვირუსმა ადამიანების სისხლში, შესაძლოა, შეაღწია ნადირობის დროს მიღებული ნაკაწრების ან ცხოველთა მიერ მათი დაკბენის შედეგად.**



საქართველოს რესპუბლიკა
№ 47, კვირა, 27 თებერვალი, 2005 წელი.

# ყველაფერი ყველაფერზე

## დასახელებულია „ბონდიანას“ ახალი ფილმის რეჟისორი

**მარტინ კემპბელი, სურათის „ოქროს თვალის“ რეჟისორი, ახალი ფილმის გადაღებას გეგმავს ჯეიმს ბონდზე, იან ფლემინგის პირველი წიგნის, „კაზინო როიალის“ მიხედვით. ეს იქნება 21-ე ფილმი მარჯვე და მომხიბვლელი ბრიტანელი ჯაშუშის შესახებ შექმნილი სერიიდან.**



„კაზინო როიალი“ უკვე იყო ეკრანიზებული 1967 წელს – ჯონ ჰიუსტონის გადაღებული კომედია, სადაც მთავარ როლს დევიდ ნივენი ასრულებდა. სხვა დროს კვენტინ ტარანტინოსაც გამოუთქვამს „კაზინო როიალის“ დადგმის სურვილი.

„ლეგენდა ზოროზე“ – ასე ჰქვია ფილმს, რომელიც „ზოროს ნიღბის“ (მთავარ როლებში ქეთრინ ზეტა-ჯონსი და ანტონიო ბანდერასი) გაგრძელებაა და რომელშიც ამჟამად კემპბელი მუშაობს. ამ სურათის დამთავრების შემდეგ დაიწყებს „კაზინო როიალის“ გადაღებას და გაიხად უპირველეს გამოძიებას, თუმცა მთავარი როლის შემსრულებელი ჯერ არც მოუნიშნავს. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ სცენარისტები, ისევე როგორც ბონდზე წინა ორი ფილმის შემთხვევაში, ნილ პურვისი და რობერტ უეიდი იქნებიან.

კემპბელი ახალ ზელანდიაში დაიბადა, 1966-ში გადასახლდა დიდ ბრიტანეთში. ავტორია ისეთი სერიალების, როგორიც „პროფესიონალები“ და „ბერჟერაკი“. განსაკუთრებით პოპულარულია მისი „ევროპული ზღვარი“ და „საზღვრის იქით“, ანჯელინა ჯოლისა და კლაივ ოუენის მონაწილეობით.

## სკორსეზეს „ოსკარის“ იმედი აქვს

**„ოსკარების“ გადაცემის ცერემონიის ორგანიზატორებს წლევანდელი დაჯილდოების პროცედურების შეცვლა გადაუწყვეტიათ: ამჯერად ზოგიერთი ლაურეატი სცენაზე არ გამოვა სიტყვით, ცალკეულ შემთხვევებში კი მაჯილდოებლები წინაშე ყველა პრეტენდენტი გამოჩნდება და მხოლოდ მერე გამოცხადდება გამარჯვებული. ტრადიციული ვარიანტის დარჩება – როცა გამარჯვებული, ჯილდოს მისაღებად, დასახელების შემდეგ გამოდის.**



ორგანიზატორებმა კიდევ ერთხელ მოუწოდეს მომავალ ლაურეატებს სამადლობელი სიტყვის რაც შეიძლება შემოკლებისკენ. სიახლეები გამოიწვია ის, რომ ყოველი 115 ნომინანტის შეკრებაზე, რომლებშიც საერთო ფოტოსურათის გადასაღებად მოიყარეს თავი.

ქეით უინსლეტი, რომელიც მეოთხედ არის „ოსკარის“ პრეტენდენტი, თქვა, რომ კონკურენტთა შეხვედრამ დაუძაბავად ჩაიარა. მისი მეტოქე გახლავთ მსახიობი ქალი ჰილარი სუონქი, რომელმაც უკვე მოიპოვა უმაღლესი კინოჯილდო 2000 წელს. რეჟისორი მარტინ სკორსეზე, რომელსაც არც ერთხელ არ რგებია ოქროს სტატუეტა, გამოტყდა, რომ ძალიან უნდა მისი მოგება სწორედ თავისი ახალი სურათის, „ავიატორის“ წყალობით.

## მაფიის ოჯახური

**მარლონ ბრანდომ რამდენჯერმე უარყო მაფიის მეთაურის დონ კარლეონეს როლი ფილმში „ნათლიმამა“. არადა, ეს ერთ-ერთ ბრწყინვალე როლად ითვლება მის სამსახიობო კარიერაში. ერთ-ერთი ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში განსვენებული მსახიობის მეგობარი ბად შულბერგი ჰყვება, რომ ეს იდეა პირველს მოუვიდა ბრანდოს ერთგულ მდივან ქალს ელის მარჩეკს. მან ურჩია პატრონს ნაყოფიერი ავტორის მარიო პიუზოს პოპულარული რომანის წაკითხვა, რომელიც ამერიკელი მაფიოზების რთულ ცხოვრებაზე მოგვითხრობს. მსახიობმა წინადადება შეურაცხმყოფლადაც კი ჩათვალა და საბრალო მდივანს წიგნიც გაუქანა: „გეუბნები, რომ არ ვაპირებ მაფიის განდიდებას“...**



ბრანდომ მალე შეიცვალა უარყოფითი აზრი „ნათლიმამაში“ როლზე, მაგრამ როცა მისი თამაში დააპირა, სხვა დაბრკოლება გადაეღობა: სუპერვარსკვლავს კინოსინჯების გავლა სთხოვეს. სტუდიის ხელმძღვანელობას ეშინოდა იმ მსახიობის აყვანა, ვინც წინა სურათის „აჯანყება „ბაუნტიზე“ გადაღების დროს მრავალი პრობლემა შეუქმნა გადამღებ ჯგუფს. ბრანდოს მძიმე ხასიათის მცოდნე კინომენეჯერები, ეტყობა, იმედოვნებდნენ, მსახიობი იტკიცავს სინჯების გავლას, სკანდალს ატეხავს და თავად იტყვის როლზე უარსო. ეს ასე არ მომხდარა – ბრანდომ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ განგსტერული ულვაშები ძალიანაც უხდება და დიდებულად შეასრულა „ოსკარისა“ და უკვდავების მომტანი როლი..

## როცა ზღვა ძვირი მაჩუქებელია

**ინდური ქალაქი მახაბალიპურამა არასდროს ითვლებოდა მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებად, თუმცა, ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებით, ეგვიპტურ პირამიდებზე ძველია. თანამედროვეებს ანცვიფრებდა იმ ხანისათვის უნიკალური შვიდი გრანდიოზული პაგოდა. ამბობენ, რომ ერთხელ ქალაქის სილამაზე თვით ღმერთებსაც შეშურდათ და ნაწყენებმა, აქაოდა, ჩვენ რატომ უფრო სრულყოფილი ვერაფერი შევქმენითო, დაძირეს მახაბალიპურამა. სანაპირო ტაძარი გადარჩა მხოლოდ.**

დაღუპული ინდური ქალაქის ნანგრევების პოვნას დიდი ხანია, რაც ცდილობდნენ. სწორედ ის ცუნამი მიეშველათ, რომელმაც შარშან, დეკემბერში ათეულობით კურორტი და სანაპირო დასახლება დაანგრია ინდოეთის ოკეანეში. ტალღის წასვლის შემდეგ ერთმა მებადურმა, სწორედ იმ სახელგანთქმულ სანაპირო ტაძარს შეფარებულმა, დაინახა ნაპირთან, წყლის ქვეშ, რაღაც ქანდაკებათა მონახაზები. ცუნამიმ აშალა ათასწლეული შლამი და ქვიშა, რომელთა ქვეშ გრანიტის ლომების ფიგურები აღმოჩნდა. მითებს თუ დავუჯერებთ, ოდესღაც ისინი იცავდნენ ძველ ქალაქს დაუპატიჟებელი სტუმრებისგან.



კიდევ ერთი, ტალღით „გამორეცხილი“ ძველი ძეგლი – ინდოეთში ეგზომ პატივდებული სპილოს სკულპტურა – ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ნაპირზე ნახეს, ტაძრის ახლოს. ქვის სტატუა იქვე იქცა მორწმუნეთა მასობრივი მლოცვარეობის ადგილად. ისინი დარწმუნებული არიან, რომ სპილოსთვის ხელის შევლება ბედნიერებას მოუტანთ.

დაკარგული ქალაქის სასწაულებრივ აღდგომას ხალხი დიდ ნიშნად მიიჩნევს: მაშასადამე, ღმერთებმა ბოლოს შეუნდეს ადამიანებს, თუმცა საშინელი მსხვერპლის ფასად – ცუნამისგან 300 ათასი დაღუპულისა.

# მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლენი

## ღრმად მოხუცებულთა სახლები – ზღვაში

**ჩიკაგოს (აშშ) ჩრდილო-დასავლეთი უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პედიატრი ლი ლინდკუისტი ფიქრობს, რომ ღრმად მოხუცებულთა სახლების ნაცვლად, ხანდაზმულ ამერიკელთათვის შეიძლება მდიდრული საოკეანო ლაინერების კაიუტებში ბინადრობის შეთავაზება.** „საკრუიზო ხომალდები გახდება მცურავი საშუალება ღრმად მოხუცებულთა მოსავლელად“, – ამბობს ქალბატონი ლინდკუისტი. ეს უკეთეს კომფორტსაც ნიშნავს და ეკონომიკურადაც ხელსაყრელია: საშუალოდ, ხანდაზმული ამერიკელის მოვლა წელიწადში ჯდება 28,5 ათასი დოლარი. დიდ ქალაქებში დანახარჯები მეტიცაა – 40 ათასი დოლარის ზევით. ლაინერის კაიუტაში კი ეს ციფრი 33,3 ათასით გამოიხატება.



საკრუიზო გემების უმეტესობის ბორტზე იქნება პრაქტიკულად ყველაფერი, რაც ღრმად მოხუცებულთა სახლებშია: კვება, სამედიცინო მომსახურება, გათობა და სხვა.

## ძაღლებს-და აკლდათ...

**„ახლა მობილური ძაღლსა და კატას, ყველას აქვსო“ – გსმენიათ ალბათ. კატებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ არცთუ შორეულ ხანში, თურმე, ადამიანის ოთხფეხა მეგობრებიც „გაფიჭურდებიან“: ერთ-ერთი ამერიკული კომპანიის მეთაურს, კანადელ გამომგონებელს კემერონ რობს განზრახული ჰქონია წლის ბოლოსთვის ბაზარზე ისეთი მოწყობილობის გამოშვება, რომელიც ძაღლების პატრონებს მათთან მობილური ტელეფონით ლაპარაკს შეაძლებინებს.**

12,5 სმ X 7,5 სმ განზომილების მოწყობილობა საყელურზე მიმაგრდება. პატრონი თავისი ქოფაკის ნომერს აკრეფს და კავშირი ავტომატურად მყარდება, რაც ძაღლს, მოწყობილობის დინამიკიდან, ნაცნობი ხმის მოსმენის საშუალებას აძლევს. ქოფაკი თუ საპასუხოდ აყეფდება, პატრონი ამას გაიგონებს. ამრიგად, რაღაც საუბრის მსგავსი გამოდის.



დამმუშავებელთა სიტყვებით, მოწყობილობისადმი ინტერესი უკვე გამოავლინეს სამონადირეო საზოგადოებებმა და საძიებო-სამაშველო ორგანიზაციებმა. მოწყობილობის ფასი 188 ამერიკული დოლარია.

## ღამით ხედვის ახალი სისტემა

**ჰოლანდიურმა ლაბორატორიამ TNO-მ ქვეყნის შეიარაღებული ძალებისთვის ღამით ხედვის კომპლექსი შექმნა, რომელიც ფერში ობიექტების დანახვის საშუალებას იძლევა ისევე მკაფიოდ, როგორც დღისით.**

ღამით ხედვის ახლანდელი კამერები მკრთალ გამოსახულებებს იძლევა იმ სქემის გამოყენებით, რომელიც აძლიერებს მინიმალური ოდენობით შემორჩენილ სინათლეს. აბსოლუტურ სიბნელეში მომუშავე ალტერნატიული ტექნოლოგია იყენებს ინფრაწითელ გადამწოდებს.

სხვადასხვა გარემოსთვის კომპლექსის კომპიუტერს ექნება ტიპური ელფერების საკუთარი ტაბულა: სოფლური პეიზაჟისთვის, ქალაქისთვის, ზღვისა თუ უდაბნოსთვის.

სისტემის გამომგონებლები იმედოვნებენ, რომ ის გააუმჯობესებს ჯარისკაცების რეაქციის დროს და შეამცირებს დაღლილობას, რომელიც ჩნდება ღამით ხედვის ტრადიციული სისტემებით ადგილმდებარეობის ხანგრძლივი დათვალიერებისას.

ამჟამად ეს კომპლექსი საბრძოლო ვერტმფრენებზე გამოსაყენებლად მოდიფიცირდება.

# სულელების ვირტუალური ქვეყანა

***გლობალური კომპიუტერული ქსელი ჩვეულ, ზოგჯერაც შეუცვლელ თანაშემწედ, მრჩევლად, ინფორმაციის წყაროდ, ანდა წარმოების იარაღად იქცა და მაინც, ნუ დაგვავიწყდება, რომ უზარმაზარ ვირტუალურ ზღვაში ძალიან საშიში ბინადარნიც გვხვდებიან...***

### საეჭვო მაღაზია

**ზოგიერთი მურტალი ბატონი გახსნის ინტერნეტ-მაღაზიებს, გამოაცხადებს დაწეულ ფასებს პოპულარულ საქონელზე, კლიენტებისაგან მოკრებს გვარიან თანხებს და აორთქლდება. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები გვირჩევენ, რომ მხოლოდ სანდო გამყიდველთა მომსახურებით ვისარგებლოთ, რომელთაც მოცემულ ბაზარზე ხანგრძლივი მუშაობით დაიმკვიდრეს სახელი.**

კრიმინალური პროგრესი ერთ ადგილს როდი ტკეპნის... თაღლითებმა პროგრამისტი ჰაკერების დახმარებით, ერთი მსხვილი ინტერნეტ-მაღაზიის ინტერფეისის (გარე სახის) ზუსტი პირი შექმნეს და ქსელში სარეკლამო მითითებები მიმოფინეს. ამასთან ბანერზე (სარეკლამო სარკმელზე) დამჭერი კლიენტის მონიტორზე გამოხტება ნამდვილი სავაჭრო გვერდის მისამართი, მაგრამ მყიდველი ყალბი ტყუპისცალის საიტზე მოხვდება. ბუნებრივია, საქონელში წინასწარ გადახდის სახით გადარიცხული ფულის დაბრუნება, ან ჭეშმარიტი მიმღების მოსანახად ფულის მოძრაობისთვის თვალის მიდევნება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ერთმა რუსეთელმა ქსელში „გაცნობათა კლუბი“ გახსნა. თავის გვერდზე ის სხვა საიტებიდან მოპარულ ფოტოსურათებს ათავსებდა. როცა კაცები ცნობისმოყვარეობას ამჟღავნებდნენ, თაღლითი მათთან მიმოწერას აბამდა და სხვადასხვა საბაბით თხოვდა მცირე თანხის გამოგზავნას, 100 დოლარის ფარგლებში. ფულის მიღებისთანავე „საცოლე“ წყვეტდა საქმროსთან კავშირზე გასვლას. ამ ეპისტოლურმა ჟანრმა ბოროტმოქმედს ათეულ ათასობით დოლარი მოუტანა.

### ყალბი ბარათები

**ინტერნეტით ქურდობამ ყველაზე დიდ მასშტაბებს მიაღწია კარდინგის სფეროში – საბანკო საკრედიტო ბარათების ყალბისმქმნელობას ნიშნავს. სპეციალისტების აზრით, საკმარისია მიმნდობმა ობივატელმა თავისი კრედიტული მონაცემები, რომელიმე საიტზე „გაანათოს“ და უკვე ვერასოდეს ვეღარ იქნება დარწმუნებული, რომ ვინმე არ გაუსუფთავებს ანგარიშს. ამასთან არა აქვს მნიშვნელობა, თუ სად და რა გარემოებებში დატოვებს ობივატელი კრედიტულას მონაცემებს: ეს შეიძლება იყოს როგორც პორნო-საიტზე დაშვების ანაზღაურება (აქამდე სწორედ პორნო-საიტები დიდი განსხვავებით ლიდერობენ, მონახულების მიხედვით, ქსელის ყველა გვერდს შორის), საქონლის ან მომსახურების ყიდვა, ისე პირდაპირი დაგზავნაც.**

ისევ მაგალითი: ერთმა ფხიანმა კარდიოგმა (კარდინგში გაწაფულმა პირმა) ელექტრონული ფოსტით დაუგზავნა მსხვილი ბანკის კლიენტებს, ვითომ ფინანსური დაწესებულების მენეჯერის სახელით, შეკითხვა თავიანთი კრედიტულების მონაცემთა შეტყობინების თხოვნით. ათას ხუთასი ადრესატიდან ინფორმაცია ხუთასზე მეტმა წარმოადგინა. შემდგომ კი ან უშუალოდ ბარათებიდან მოიხსნებოდა ფული, ან ბარათების მიხედვით ხდებოდა შესყიდვა დასავლურ ინტერნეტ-მაღაზიებში...

ყალბი კრედიტულებით საქონლის ყიდვა მთელ კრიმინალურ დარგად გადაიქცა. რუსულენოვან ინტერნეტში გამოჩნდა რუსეთელ მოქალაქეთაგან უცხოეთში რეგისტრირებული სპეციალური საიტები (ასე მათ ვერ მიწვდებიან რუსეთის სამართალდამცველი ორგანოები). საიტების პატრონები გვპირდებიან: „თქვენ შეგიძლიათ ჩვენთან საქონლის შეძენა ჩვეულებრივ ინტერნეტ-მაღაზიებში რეალური ღირებულების მხოლოდ 30 პროცენტად“. ადვილად ნუ ენდობით მსგავს განცხადებებს...

### დეზინფორმაცია

**პირდაპირი გაიძვერობისა და ქურდობის გვერდით ინტერნეტში ჰყავდის ჭუჭყიანი შემოსავლის უფრო რთული ხერხებიც. მაგალითისთვის – გარკვეულ საფასურად შეიძლება პროგრამისტ-ჰაკერის მონახვა, რომელიც ქსელთან მიერთებულ კომპიუტრში შენახულ პირად ან კომერციულ ინფორმაციას გამოჩხრიკავს და გადმოქაჩავს. ყველაზე მარტივი მაგალითი – ფიზიკურ პირთა ელექტრონული ფოსტის მისამართების მონაცემთა ბაზები, რომლებიც აუცილებელია არასანქცირებული რეკლამის – სპამის დასაგზავნად. უფრო უსიამოვნო შემთხვევა – კონფიდენციალური კომერციული ინფორმაცია, რომელზეც ეგებ მნიშვნელოვანი მოლაპარაკებების ან გარიგებათა გამართვის დაგვირგვინება იყოს დამოკიდებული.**

რუსეთში არსებობს რამდენიმე არალეგალური ფირმა, რომლებიც დასპეციალიზებული არიან ინტერნეტში კომერციულ სტრუქტურებზე, პოლიტიკურ მოღვაწეებზე და რაზეც გნებავთ დეზინფორმაციის შეგდებაში. რამდენადაც საინფორმაციო საიტების უმრავლესობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებად არ ითვლება, მათი ხელმძღვანელობა განთავსებული მონაცემებისთვის პასუხს არ აგებს.

დასანანია, სამართალდამცავ ორგანოებს არა მარტო ტექნიკური, არამედ ხშირად იურიდიული შესაძლებლობაც არა აქვთ კიბერდამნაშავეებისთვის ხელის სატაცებლად. ამიტომაც, სანამ ხელისუფალნი მოიფიქრებენ გლობალურ კომპიუტერულ ქსელში სიტუაციის მოსაწესრიგებლად მოწოდებულ ნორმატიულ აქტებს, ჩვენ ყველას გვახსოვდეს, რომ ინტერნეტი არის ვირტუალური რეალობა. მაშასადამე, ყველაფერი ის, რაც იქ ხდება, მხოლოდ სინამდვილის მოჩვენებითი სახეა...

# ქრონოგრაფი

## 1 მარტი, 1565 წელი

**პორტუგალიელმა მხედართმთავარმა ეპტასიო დე სამ დააარსა პორტუგალიური კოლონია რიო დე ჟანეირო, რათა წინააღმდეგობა გაეწია სამხრეთ ამერიკაში გუანაბარას ყურეში კუნძულ გოვერნადორზე გამაგრებული ფრანგებისთვის. დღეს რიო დე ჟანეირო სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ქალაქია.**



## 2 მარტი, 1983 წელი



**დიდ ბრიტანეთში კომპანიებმა PHILIPS, SONY და POLYGRAM-მა წარადგინეს ისტორიაში პირველი 12 სანტიმეტრი დიამეტრის „კომპაქტ-დისკი“. მასზე ჩაწერილი იყო ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია. ჩანაწერის ხანგრძლივობამ 74 წუთი გასტანა, იგი ჩაწერილი იყო ლაზერით და იკითხებოდა ლაზერულ ფირსაკრავზე. იმ დროისთვის ეს მართლაც სენსაცია გახლდათ. პერსონალურ კომპიუტერში „კომპაქტ დისკები“ 1990-იანი წლების შუალედში გაჩნდა.**

## 3 მარტი, 1875 წელი

**პარიზის თეატრ „ოპერა კომიკში“ შედგა ბიზეს ოპერა „კარმენის“ პრემიერა. წარმოდგენა სრული კრახით დასრულდა. სპექტაკლის პირველი ორი აქტი მაყურებელმა არცთუ ისე ცუდად მიიღო, მესამეზე ზრდილობის გულისთვის შეიკავეს თავი, ხოლო მეოთხე აქტის დაწყებისას დარბაზი დატოვეს. „კარმენის“ ფიასკომ ისე იმოქმედა კომპოზიტორზე, რომ დეპრესიაში ჩავარდნილი სამ თვეში 1875 წლის 3 ივნისს 36 წლის ასაკში გარდაიცვალა. „მაყურებლისთვის ძნელია ტრაგიკული სტილიდან მსუბუქ-სუფთა ხელოვნებაზე, ლაღ მუსიკაზე გადასვლა. კარმენი ეს „სატანური მუსიკაა“, – აღნიშნა ოპერის დირექტორმა კამილა დიუ ლოკლმა.**



## 4 მარტი, 1818 წელი

**მოსკოვში გაიხსნა ქალაქის ისტორიაში პირველი სკულპტურული ქანდაკება – ამჟამად ქალაქის მშვენება და სავიზიტო ბარათი – მინინისა და პოჟარსკის ძეგლი.**

## 5 მარტი, 1966 წელი



**76 წლის ასაკში გარდაიცვალა რუსი პოეტი ქალი ანა ახმატოვა. მისი თანამედროვე პოეტი, ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელი ლევ ოზეროვი წერდა: „...მან ჩვენს გულებში დაიმკვიდრა ადგილი, როგორც რუსული კლასიკური პოეზიის: ბატიუშკოვის, პუშკინის, ბარატინსკის, ტიუტჩევისა და ანენსკის ტრადიციების გამგრძელებელმა. დასრულდა დიდი ცხოვრება, და ანა ახმატოვას შემოქმედება. იწყება უკვდავება“.**

## 6 მარტი, VI საუკუნე

**წმიდა მოწამე ცხრა კოლაელ ყრმათა ხსენების დღე. ისინი VI საუკუნეში აღესრულნენ მოწამეობრივად. საკუთარმა მშობლებმა ჩაქოლეს ქრისტეს აღსარებისთვის.**

**ბავშვები კერპთაყვანისმცემელთა ოჯახიდან იყვნენ. ისინი ქრისტიან ბავშვებთან ერთად მეგობრობდნენ, დაინტერესდნენ ქრისტიანობით და ერთ სუსხიან ღამეს მდინარეში სოფლის მღვდელმა მონათლა. მშობლებმა სასტიკად აწამეს ბავშვები, მაგრამ ვერას გახდნენ, კვლავ კერპთაყვანისმცემლებად გადაებირებინათ. ამის შემდეგ მთავართან მივიდნენ და მოითხოვეს საკუთარი შვილების დასჯა. ურჯულო მშობლებმა თავად ჩაქოლეს ქვებით მოწამენი. სიკვდილის პირას მიიყვანეს სოფლის ხუცესიც. ეს ამბავი სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ ტაოში, სოფელ კოლაში მოხდა.**



# ხავსურა მარსზე?

**ამერიკულმა რობოტმა – მარსმავალმა „სპირიტმა“ ფოტოსურათი გადაუღო რაღაც მცენარის მსგავსს.**

მრგვალი ბუშტურებიანი კვერი იმ კლდის შვერილს მიწებებია, რომელსაც რობოტი მიადგა. კვერი თავისი გეომეტრიითა და სტრუქტურით მკაფიოდ გამოიკვეთება გარემომცველი ქანის ფონზე. ის, ცხადია, ცოცხალი არ არის, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ ძველი ნამარხი აღმოჩნდეს, ანუ მცენარის ნაშთები.

– კვერი ხავსურას გვაგონებს, – ამბობენ სპეციალისტები და შესადარებლად მისი მიწიერი ძმობილის ფოტოს გვიჩვენებენ.

ვადასტურებთ: მართლაც ჰგავს, ოღონდ ექსპერტები როდი ჩქარობენ სენსაციური დასკვნების გამოტანასა და ფიცი-მტკიცს, ეგაო და, მარსზე, ბოლოს და ბოლოს, ადრეული სიცოცხლის რეალური კვლებია ნაპოვნიო. გვაფრთხილებენ, რომ საჭიროა ობიექტის გაბურღვა, ანალიზების აღება და იმაში დარწმუნება, რომ ნამარხი ორგანული წარმოშობისაა. ეს სამუშაოები უახლოეს დღეებშია განზრახული.

# რა ელის დედამიწას საუკუნის მიწურულს?

**არქტიკულ ყინულთა დნობა უკვე კარგა ხანია შეშფოთებას იწვევს მთელ მსოფლიოში. ეს მოვლენა აღარ ითვლება ცალკეულ, სკეპტიკურად განწყობილ მეცნიერთა მოსაზრებად, ანდა სენსაციამოყვარულ ჟურნალისტთა ახირებად. 8 ქვეყნის სამასამდე წამყვანი სპეციალისტი ოთხი წლის მანძილზე იკვლევდა დედამიწის ჩრდილოეთ ყინულოვან განედებს. ისინი ერთხმად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დედამიწა მართლაც კატასტროფის წინაშე დგას, რაც გამოწვეული იქნება გლობალური დათბობით.**

ამჟამად ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში ყინულის საფარს 8,4 მილიონი კვადრატული კილომეტრი უკავია, ზამთარში მისი არეალი 18,2 მლნ. კვადრატულ კილომეტრამდე იზრდება. მეცნიერები ფიქრობენ, რომ საუკუნის მიწურულს ეს ციფრი განახევრდება. ყინულთა დნობა გამოიწვევს მსოფლიო ოკეანის დონის ზრდას დაახლოებით 7 მეტრით, ეს კი შესაბამისად თავის გავლენას იქონიებს მთელი პლანეტის კლიმატზე. ამან შესაძლოა სრულიად ამოწყვიტოს ჩრდილოეთის ფაუნის ისეთი მშვენება, როგორებიცაა თეთრი დათვები და სელაპები, დატბოროს უზარმაზარი ტერიტორიები, რაც მოსახლეობის მიგრაციას გამოიწვევს, გაანადგუროს ფლორა და ფაუნა.





ზაფხულის პერიოდში ყინულთა საფარი 80 პროცენტით შემცირდება. ყოველივე ეს გამოწვეულია ატმოსფეროში ნახშირორჟანგის პროცენტულობის ზრდით. ამ გამოთვლებით 2070 წლისათვის არქტიკაში, შესაძლოა, ყინულის საფარი საერთოდ გაქრეს.

დედამიწაზე დათბობისა და გამყინვარების პერიოდები ერთმანეთს ცვლის. 8-5,5 ათასი წლის წინათ ევროპაში ჰაერის ტემპერატურა 2-3 გრადუსით მაღალი იყო ვიდრე დღესაა, ყინულოვან ოკეანეში ყინულის საფარი კი – ორჯერ ნაკლები. შემდეგ დაიწყო გამყინვარება, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში კვლავ დათბობამ შეცვალა. გასული საუკუნის 30-იან წლებში შპიცბერგენზე ჰაერის ტემპერატურა 8-9 გრადუსით, ხოლო გრენლანდიაში 5 გრადუსით გაიზარდა. ოცი წლის შემდეგ კვლავ „გამყინვარება“ დაიწყო. ახლა კვლავ დათბობის ერა დადგა.

მეცნიერებს აინტერესებთ რამდენ ხანს გასტანს ამჟამინდელი დათბობა. ეს ყველაფერი თავად არქტიკაზეა დამოკიდებული, რომელსაც გამომუშავებული აქვს თვითრეგულირების მექანიზმი.

ჩვენებური

# ნიკა ცისკარიძე: ხელოვნება თუ შოუ-ბიზნესი

**ის სუკის აგენტი ეგონათ, მას ებრალება რუსეთის პრეზიდენტი, მან იცის გამდიდრების ხერხი...**



**კრიტიკოსებს უყვართ თქმა ბალეტის არტისტებზე – ჭკუა ფეხებში წასვლიათო. რუსეთის სახალხო არტისტზე, ნიკოლოზ ცისკარიძეზე, ამას ვერ იტყვი. მოსკოვის დიდი თეატრის წამყვანი მოცეკვავე თავს აპოლიტიკურ კაცად მიიჩნევს, თუმცა საკუთარი აზრი აქვს ყველაფრის შესახებ, რაც რუსეთსა და მსოფლიოში ხდება.**

ნიკას ესაუბრება **„არგუმენტი ი ფაქტის“** ჟურნალისტი (გაზეთის № 7, 2005 წ.).

**– ახლახან დაბრუნდით დავოსიდან. როგორ გვხვდებიან დღეს საზღვარგარეთ?**

– შესამჩნევია დამოკიდებულება, როგორც ცოტა ჩამორჩენილი ქვეყნისადმი... ტრავმა რომ მივიღე, ჯერ პარიზის საავადმყოფოში ვიწექი, მერე კარგა ხანი დავყავი ფეშენებელურ კურორტზე, ბიარიცში. იქ შემხვედრიან ადამიანები, რომელთაც სჯერათ, რომ მოსკოვში დათვები დადიან და ირგვლივ მთელი ხალხი სუკ-ს ემსახურება.

ბიარიცის კლინიკაში ერთხელ მეც სუკელად ჩამთვალეს: 30 წელი რომ შემისრულდა, ყველა მისალოცი დეპეშა – პუტინისა თუ ფრადკოვისა და სხვებისაც, დიდმა თეატრმა იქ გადმომიგზავნა. ექიმებმა რომ ფაქსებზე გერბი დაინახეს, გაუკვირდათ და გადაწყვიტეს, რომ ჩეკისტი ვარ, რაკი უმაღლესი ხელისუფალნი მილოცავენ...

**– უცხოეთში ყოფნისას ხშირად გრცხვენიათ ხოლმე თქვენი ქვეყნის მაგიერ?**

– რუსეთის გამო არა, მაგრამ ჩვენი მოქალაქეებისა კი. ერთი განახათ, როგორ იქცევიან მაღაზიებში, რესტორნებში.

**– ხელისუფალთა საქციელისთვის ხშირად შეგრცხვენიათ?**

– ძალიან აპოლიტიკური კაცი ვარ. ყოველთვის ბოლოს შევიტყობ ხოლმე ყველაფერს...

**– ბალეტის ხალხი ადრე გადის პენსიაზე... რამდენი დაგენიშნებათ?**

– მგონი, სამი ათასი რუბლი („ჩვენებურად“ – 188 ლარი – **რედ.**).

**– მაშასადამე, როგორი აპოლიტიკურიც არ უნდა იყოთ, შეღავათების ყბადაღებული მონეტიზაცია და საპენსიო რეფორმა პირდაპირ თქვენც შეგეხებათ.**

– ვფიქრობ, პირველ რიგში შეღავათები იმათ უნდა წაართვა, ვინც მსგავს კანონებს იღებს. მაშინ გამოიტანენ მართლაც ადამიანურ და საჭირო გადაწყვეტილებებს.

**–როგორ გგონიათ, ჩვენს პრეზიდენტს თუ ესმის, სინამდვილეში რა დღეშია ქვეყანა?**

– ალბათ ესმის, მაგრამ მარტო ეგ ერთი ხომ არ წყვეტს ყველაფერს... პირველად რომ უნდა გადმოეცათ ჩემთვის სახელმწიფო პრემია, დაჯილდოების ცერემონია დილის ცხრის ნახევარზე დაინიშნა. გვითხრეს, რომ იმ დღეს პუტინს ბევრი ღონისძიება ჰქონდა. როცა შემოვიდა, უნებურად ვიფიქრე, რომელ საათზე უნდა ამდგარიყო, რომ ასე ადრე მოსულიყო კრემლში. ცერემონიის შემდეგ მე ამ ამბის აღსანიშნავად გავემართე, პრეზიდენტი კი – აღლუმზე და კიდევ რამდენი საქმე ექნებოდა გასაკეთებელი. ძალიან, ძალიან შემეცოდა და მივხვდი, რომ არ ვისურვებდი პრეზიდენტობას.

**– რა უნდა გაკეთდეს, რომ კლასიკასაც ესტრადასავით მრავალი მაყურებელი ჰყავდეს?**

– ხალხი უნდა აღიზარდოს.

**– ჩვენს ქვეყანაში, საერთოდ, არის კულტურა?**

– ერთმა ჩემმა ნაცნობმა უცხოელმა მითხრა: „რუსეთში არის კულტურა, მაგრამ არ არის ცივილიზაცია“. ვეთანხმები, თუმცა სინამდვილეში სულიერებით კულტურის სიმდიდრით, რუსეთს ბადალი არ ჰყავს.

**– დასავლეთში ხელოვნებას შოუბიზნესივით ბუქავენ?**

– რასაკვირველია. ნიუ-იორკში, მაგალითად, როცა ამერიკული ბალეტის სეზონი დგას, მთელ ქალაქში პლაკატები კიდია ვარსკვლავების გამოსახულებით, ყველა წამყვან გამოცემაში პუბლიკაციები ჩნდება. იგივე ხდება ლონდონში, მსოფლიოს სხვა დედაქალაქებში. იქ კლასიკის არტისტები და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები ერთნაირი კანონებით ცხოვრობენ.

**– რა არის თქვენთვის წარმატების საზომი? ფული?**

– მთავარი მსაჯული – დროა. როცა წლები გადის, ეგებ ათწლეულებიც და შენ კი ახსოვხარ. რამდენი წელია, რაც სცენაზე ვლადიმერ ვასილევი აღარ ცეკვავს, მთელ მსოფლიოში კი აქამდე აღტაცებით ამბობენ: „აი, ვასილევი რომ იყო!“ სწორედ ესაა წარმატება.

**– ფული რაღაა მაშინ?**

– ფული – ხეირია. ყველასთვის სხვადასხვანაირი. გერმანი მღერის „პიკის ქალში“: „დღეს შენ, ხვალ კი მე“. თუ იღბლიანობა დაბადებით დაგყვა, იქნები მდიდარი. თუ არადა... უბრალოდ უნდა გესმოდეს, რომ ვიღაცა პრინცად იბადება, ვიღაცა – მათხოვრად.

**– მაშ, რამდენიც უნდა იმუშაო, თუ არ გიწერია, სულ ერთია, მაინც ვერ გამდიდრდები?**

– გამდიდრდები. მყავანან ნაცნობები, რომლებმაც შრომისა და ჭკუის წყალობით შეიძინეს ქონება და ღირსეულად ცხოვრობენ. ადამიანები, რომელთა წინაშე ქედს ვიხრი.

**– რას ეუბნებოდით თქვენ თავს, სასოწარკვეთას რომ არ მისცემოდით, როცა პარიზის გრანდ-ოპერის სცენაზე დაშავდით და თითქმის მთელი წელიწადი აღარ გამოდიოდით? ბევრმა ხომ გადაგხაზათ. თქვენ კი კვლავ ცეკვავთ!**

– პირველივე დღეს გავიფიქრე: „ესე იგი, ასე უნდა მომხდარიყო. ეს ჩემი ცხოვრებაა, ჩემი ბედისწერაა და უნდა შევეგუო იმას, რაც მოხდა“. რა მასწავლა ამან? ის, რომ შენი თავი უნდა გიყვარდეს, შენ თავს უნდა მოუარო. ახლა ყურადღებით ვეპყრობი საკუთარ თავს. აქამდე შეუძლოდ მყოფი, ავადმყოფი ვცეკვავდი – სიცხის დამწევ აბს დავლევდი და სცენისკენ მივქროდი. ყველა მაფრთხილებდა, თუ როგორი საზიანოა ეს, მე კი არ ვიჯერებდი. სამაგიეროდ, ახლა ზუსტად ვიცი, რომ ზოგჯერ არსად არ არის საჭირო გაქცევა, უნდა ჩამოჯდე და დაისვენო...



პარალელი

# ნიშანი მხოლოდ გამოცდაზე არ იწერება

## რას ფიქრობენ ქართველი „ამერიკელები“ უმაღლესი განათლების კანონზე

***საქართველოში** დიდი ხანია კამათობენ განათლების სისტემის შესახებ. ეს საკითხი განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც ახალი კანონპროექტი შეიმუშავეს და დიდი დავიდარაბის შემდეგ დაამტკიცეს. ბევრი ამ კანონის მომხრე იყო, უფრო მეტი კი მოწინააღმდეგე, მაგრამ უკლებლივ ყველას აინტერესებდა, რამდენად შეესაბამებოდა ჩვენი კანონპროექტი ევროპულ და ამერიკულ საგანმანათლებლო სისტემებს.*

***ვახტანგ მაქარაშვილი** და **ნინო ჭელიძე** კარგა ხანია შეერთებულ შტატებში, აიდაჰოს უნივერსიტეტში სწავლობენ ნინო მაგისტრატურაში, ხოლო ვახტანგი – დოქტორანტურაში. თუმცა აქ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ერთ ფაკულტეტზე სწავლობდნენ, ერთმანეთი შეერთებულ შტატებში გაიცნეს და ოჯახიც შექმნეს. ამ წყვილთან საერთაშორისო ორგანიზაცია „კვალში“ შეხვედრისას განსხვავებულ თემებზე ვისაუბრეთ, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც იქაური განათლების სისტემით დავინტერესდი. საინტერესოა როგორია ქართველი სტუდენტების თვალით დანახული აიდაჰოს უნივერსიტეტი და რითი განსხვავდება იქაური განათლება.*

**– საქართველოდან რომ წახვედით ალბათ გაგიჭირდათ შეგუება. განსხვავებული ცხოვრების სტილი, სასწავლო პროცესი..**

**ნინო:** ჩემთვის შედარებით ადვილი იყო, იმიტომ რომ მანამდე ე.წ. „გაცვლითი სტუდენტი“ ვიყავი. შტატებში 10 თვე გავატარე და ასე თუ ისე ვიცნობდი იქაურობას. შეგუება ძნელია-მეთქი, ნამდვილად ვერ ვიტყვი. უბრალოდ უნდა მოერგო სასწავლო სისტემას და წესებს, ყველაზე მთავარი და აუცილებელი მაინც შრომაა.

**– ვიცი, რომ ქართული და ამერიკული განათლების სისტემა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. თქვენთვის ყველაზე თვალშისაცემი განსხვავება რა იყო?**

**ვახტანგი:** განსხვავება ბევრია, განსაკუთრებით სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე. პირველ რიგში, იქ გაცილებით მოქნილი სისტემაა. სტუდენტს მეტი თავისუფლება აქვს, მაგრამ ამავდროულად ძალიან ბევრი უნდა იშრომოს. ჩვენთან შეგიძლია მთელი სემესტრი არაფერი აკეთო, მერე გამოცდა ჩააბარო და სასურველი ნიშანი მიიღო. იქ ამის გაკეთება შეუძლებელია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა. იქ, უნივერსიტეტში, მთავარია სტუდენტი – ყველაფერი მისთვის კეთდება. მის განათლებას და წინსვლას ემსახურება, ყველა მისთვის შრომობს, როცა აქ ვიყავი, ამას ვერ ვხედავდი.

**– თავად სასწავლო პროცესი რით განსხვავდება?**

**ნინო:** საგანი წინასწარ არის დაგეგმილი. დაახლოებით 15-16 სასწავლო კვირასაც და თითოეულ კვირასაც იცი, რას აგიხსნიან, რა დავალებას მოგცემენ და რამდენ ხანში



უნდა შეასრულო იგი. ყველაფერი დათქმულ დროში უნდა ჩაატიო. საბოლოო ნიშანი ყოველთვის სემესტრის მანძილზე მიღებული ნიშნების მიხედვით იწერება.

**ვახტანგი:** ნიშანიც განსაზღვრულია. სემესტრის ბოლოს გამოცდის შედეგი საერთო ნიშნის მხოლოდ 20-30 პროცენტია. გამოცდაზე რომ შედიხარ, დაახლოებით იცი, რა შედეგიც იქნება.

**– ამბობენ, რომ ჩვენთან განათლება უფრო ზოგადია ვიდრე იქ. ეს კარგია თუ ცუდი?**

**ვახტანგი:** სკოლისა და ბაკალავრიატის დონეზე მე პირადად კმაყოფილი ვარ იმ ზოგადი განათლებით, რომელიც ჩვენთან არის, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ჩვენი განათლება ბოლომდე ზოგადი რჩება. იმიტომაც განსხვავდება და ჩამორჩება თავისი დონით ჩვენი მაგისტრატურა იქაურს. იქ თავის სფეროში ყველა ექსპერტია.

**– ჩვენთან სტუდენტებსა და ლექტორებს ხშირად თბილი ურთიერთდამოკიდებულება აქვთ და ხშირად პედაგოგები სწავლის დამთავრების შემდეგაც ზრუნავენ თავიანთ სტუდენტებზე, ამერიკულ უნივერსიტეტებში როგორ ურთიერთობებს არიან შეჩვეულები?**

**ვახტანგი:** უნივერსიტეტს გააჩნია. დიდ უნივერსიტეტში ძნელია, ახლო ურთიერთობა გქონდეს პროფესორთან. ბევრი სტუდენტი ჰყავთ და ყველასთან ერთნაირად მუშაობენ. ამიტომ ინდივიდუალური მუშაობისთვის დრო არ რჩებათ. ჩვენი უნივერსიტეტი შედარებით პატარაა და ამ მხრივ უპირატესობა აქვს.

**ნინო:** არდადეგებზე ან დასვენების დღეებში ხშირად ეწყობა ხოლმე ფაკულტეტის პიკნიკები, მეგობრულად ვსაუბრობთ სხვადასხვა თემებზე. ამ დროს ყველა თანასწორუფლებიანია.

**– ახლახან უმაღლესი განათლების ახალი კანონი მივიღეთ, რამაც მოსახლეობაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. თქვენ თუ იცნობთ ამ დოკუმენტს?**

**ვახტანგი:** მეეჭვება, რომ ამ კანონში უმაღლესი განათლების პრიორიტეტები სწორად იყოს განსაზღვრული და, ვფიქრობ, ამუშავება ძალიან გაუჭირდება. შეიძლება ვცდები, მაგრამ, რომ გადავხედე, ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, უცხოეთიდან ყველაფრის ბრმად გადმოტანა არ შეიძლება. უწინარესად იმაზე უნდა იფიქრო, როგორ მოერგება ის შენს ქვეყანას, განსაკუთრებით კი ხალხის მენტალიტეტს.

**– დღეისთვის საქართველოში რამდენიმე პრესტიჟული ფაკულტეტია, მაგალითად იურიდიული, ეკონომიკური და ახალგაზრდების დიდი ნაწილი სწორედ ამ პროფესიებს ეუფლება, შეერთებულ შტატებში თუ არის ასეთი პრესტიჟული ფაკულტეტები?**

**ვახტანგი:** საქართველოში საერთოდ ასეთი ტენდენციაა, აქ მხოლოდ იურიდიული და სტომატოლოგიური ფაკულტეტები ითვლება წარმატებულად. სხვა სპეციალობებს ნაკლები ყურადღება ეთმობა. ამერიკელები ძალიან სერიოზულად უყურებენ ტექნიკურ მეცნიერებებს, იმიტომ, რომ სწორედ ისინი განაპირობებენ წინსვლას და პროგრესს. მაგალითად, ინდუსტრიაში ფართოდ გამოიყენება ფიზიკა და მათემატიკა, ამიტომ დაინტერესებულები არიან, რომ ამ დარგებში კარგი სპეციალისტები ჰყავდეთ.

**ნინო:** ტექნიკურ ფაკულტეტებზე ბევრი უცხოელი სტუდენტი სწავლობს. ხშირად მათ სპეციალურად იწვევენ აშშ-ში, იმიტომ, რომ ადგილობრივი რესურსები არ ჰყოფნით. ტექნიკური მეცნიერების საფუძვლების გაძლიერებაზე ამერიკელები განსაკუთრებით ზრუნავენ.

**– აპირებთ თუ არა საქართველოში დაბრუნებას?**

**ნინო:** – აუცილებლად!

**ვახტანგი:** – კონკრეტულად როდის დავბრუნდებით, ვერ გეტყვით, მაგრამ დიდხანს დარჩენას არ ვაპირებთ იქ.

**ნინო:** – საქართველოში დაბრუნება ჩვენი ოცნებაა და მოვალეობაც, ოღონდ ჯერ სწავლა უნდა დავამთავროთ და მცირე პრაქტიკა მაინც გავიაროთ შტატებში.

ესაუბრა
**სალომე ქოქიაშვილი.**

ჯანმრთელობა

# ყაბზობა

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საოჯახო ექიმის“ რედაქტორი ციცინო მჭედლიშვილი**

ყაბზობა (შეკრულობა) არის ნაწლავების მოქმედების (დეფეკაციის) გაძნელება, გაიშვიათება ან სისტემატურად მისი არასრული დაცლა, განავლის მცირე რაოდენობის (100 გრზე ნაკლები) გამოყოფით და დაუკმაყოფილებლობის გრძნობით. იგი შეიძლება იყოს ჩვეული ანდა დაკავშირებული რაიმე დაავადებასთან. ჯანმრთელ ადამიანს ნაწლავების მოქმედება უნდა ჰქონდეს დღეში ერთხელ, 2-ჯერ, იშვიათ შემთხვევაში კი 3-ჯერ. ყაბზობა ხშირად გვხვდება ქალებში და მოხუცებში, თუმცა, დღევანდელი ჰიპოკინეზიის პირობებში, იგი ახალგაზრდებშიც ხშირია. ყაბზობის მიზეზი მრავალია, კერძოდ: 1) კვების დარღვევა; 2) ნევროგენული ფაქტორები (დისკინეზიური, რეფლექსური და სხვა); 3) ჰიპოდინამია; 4) ნაწლავთა ანთებითი დაავადებები; 5) ნაწლავში მექანიკური დაბრკოლება; 6) ნაწლავის ანომალია (გრძელი და გაფართოებული ნაწლავი); 7) წყალმარილოვანი ცვლის დარღვევა და სხვა. ყველაზე მეტად გავრცელებულია კვების დარღვევით გამოწვეული შეკრულობა. კვების დარღვევაში ძირითადად იგულისხმება საკვები მცენარეული ბოჭკოს ნაკლებობა, სისტემატურად რაფინირებული პროდუქტით კვება. მშრალად კვება და სხვა.

ნევროგენული ყაბზობის განვითარებას ხელს უწყობს ფსიქიური გადაძაბვა. უარყოფითი ემოციები და ნერვული სისტემის შეუთანხმებელი მუშაობა. ყაბზობის ერთ-ერთი ფორმაა ჩვეული ყაბზობა, რომელიც ხშირად ემართებათ ნევროპათებს, დეფეკაციის დროს მოქმედებს როგორც პირობითი, ასევე უპირობო რეფლექსი. ჩვეულებრივ ჯანმრთელ ადამიანებში გამომუშავებულია გარკვეული რეფლექსი, რომლის მეშვეობით ერთი და იგივე დროს ხდება დეფეკაციის მოთხოვნილება და რეგულარულად მისი რეალიზება. როდესაც ადამიანი რაღაც მიზეზის გამო თავს იკავებს დეფეკაციისაგან და თრგუნავს რეფლექსს, ამას შედეგად მო-ჰყვება სწორი ნაწლავის ტონუსის დაქვეითება, ნაწლავის მოქმედების ჩვეული რიტმის დარღვევა და ყაბზობის განვითარება.

ყაბზობის განვითარებას ხელს უწყობს ჰიპოდინამია. ამის გამო იგი ხშირად უვითარდებათ მწოლიარე ავადმყოფებს.

არაიშვიათია ნაწლავის ანთების შედეგად განვითარებული ყაბზობა, რომლის დროსაც ირღვევა ნაწლავის მოტორიკა, ვითარდება დისკინეზია, ყაბზობის მიზეზი შეიძლება იყოს ნაწლავში მექანიკური დაბრკოლების არსებობა (კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები, განავლოვანი ქვა, შეხორცებები და სხვა). ნაწლავის ანომალიით გამოწვეული ყაბზობა გვხვდება უპირატესად ბავშვებში და მოზარდებში (ჰირშპრუნგის დაავადება). ყურადსაღებია მედიკამენტური ყაბზობა, მთელი რიგი პრეპარატებისა იწვევს ნაწლავის პერისტალტიკის შესუსტებასა და ყაბზობის განვითარებას. ასეთ პრეპარატებს ეკუთვნის მორფიუმი, კოდეინი, განგლიობლოკატორები, ქალინოლიტიკები, სედატიური საშუალებები. ტრანკვილიზატორები, ზოგიერთი ანტაციდი, ქოლესტირამინი. გამომდინარე აქედან, ამ პრეპარატების დანიშვნის დროს აღნიშნული თვისება აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

ყაბზობის კლინიკური გამოვლინება მეტად მრავალფეროვანია და ხშირად დამოკიდებულია იმ დაავადებაზე, რამაც ხელი შეუწყო მის განვითარებას. ყაბზობის დროს ნაწლავის მოქმედება შეიძლება იყოს 2-3 დღეში ან 4 კვირაში ერთხელ, ზოგჯერ უფრო იშვიათადაც, ზოგიერთ ავადმყოფს დეფეკაცია აქვს ყოველდღე, მაგრამ ძლიერ გაძნელებული.

ავადმყოფები უჩივიან ყრუ ტკივილს მუცლის არეში. მუცლის ბერვას, გაზების გამოყოფის გაძნელებას, ქავილს და ტკივილს ანუსის მიდამოში. აღინიშნება მადის და შრომისუნარის დაქვეითება, აქვთ თავის ტკივილი, ცუდი ძილი, გუნება-განწყობა დათრგუნულია, ზოგჯერ ვითარდება ჰიპოქონდრიული მდგომარეობა და ფსიქიკის დარღვევა. ავადმყოფს კანზე შეიძლება ჰქონდეს ჭინჭრის ციების მსგავსი გამონაყარი, ფურუნკულოზი, ყაბზობა შეიძლება გახდეს ბუასილის განვითარების ან სწორი ნაწლავის გამოვარდნის მიზეზი.

**მკურნალობა.** თუ ყაბზობის მიზეზი ცნობილია, პირველ რიგში, უნდა ვუმკურნალოთ მას, რათა მიზეზი მოვიცილოთ. ყაბზობის მკურნალობაში მეტად მნიშვნელოვანია სამკურნალო კვება. ავადმყოფს უნდა მიეცს უხეში, ბოჭკოთი მდიდარი და ნაწლავების პერისტალტიკის გამაძლიერებელი საკვები. კერძოდ: უმი ბოსტნეული, სალათები, ჭვავის პური, რძის მჟავე პროდუქტები (მაწონი, კეფირი, აციდოფილური რძე), ნაწლავის პერისტალტიკას აძლიერებს, აგრეთვე, შავი ქლიავი და მისი ჩირი, ლეღვის ჩირი, ბოსტნეულის წვენები, ქიშმიში, მკურნალობა უნდა დავიწყოთ დეფეკაციის რეფლექსის აღდგენით. ამ მიზნით, ავადმყოფმა დილით უნდა მიიღოს 1 ჭიქა ცივი წყალი ან ხილის წვენი, ისაუზმოს და ნახევარი საათის შემდეგ ეცადოს დეფეკაციის აქტის გამოწვევას. ამ დროს კარგია მუცლის პრესის მასაჟი. შეიძლება ვიხმაროთ გლიცერინის სანთლები. დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოთერაპიას. აღნიშნული პროცედურები და შესაბამისი დიეტა უნდა გაგრძელდეს ყოველდღიურად მანამ, სანამ არ დაიწყება ნაწლავის რეგულარული მოქმედება, აღნიშნული მკურნალობა ხშირად დადებით ეფექტს იძლევა. ბევრია დამოკიდებული ავადმყოფის ნებისყოფაზე. მნიშვნელოვანია ფიზიკური ვარჯიში. აუცილებელია ავადმყოფის დღის კვების რაციონში შედიოდეს რუხი პური, 1-2 ჭიქა მაწონი, წვნიანი, უმი ბოსტნეული და ბოსტნეულის წვენები, ხილი და ხილის წვენები, ხორცი უკეთესია მოხარშული და დაუკეპავი, ავადმყოფმა შეიძლება მიიღოს ერთი სუფრის კოვზი რაფინირებული მზესუმზირის ზეთი. შეიძლება გამოვიყენოთ სამკურნალო მცენარეები, კერძოდ: ხეშავას ქერქი, კამის თესლი, გვირილა, პიტნის ფოთლები, ვალერიანის ძირები, უკვდავა, წყლის მცენარეები და სხვა.

აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ავადმყოფი შესაბამისი ჩივილებით აუცილებლად უნდა იქნას გამოკვლეული სამედიცინო დაწესებულებაში, უნდა დადგინდეს შეკრულობის მიზეზი და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაიტაროს სათანადო მკურნალობა.

მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლენი

## კოსმოსში შეიძლება ალმასის პლანეტების არსებობა

**ასტრონომი მარკ კიუხნერი პრინსტონის უნივერსიტეტიდან (აშშ), ფიქრობს, რომ ზოგიერთ ვარსკვლავს ჩვენს ირმის ნახტომში შეიძლება ალმასის პლანეტები ჰქონდეს. მზის სისტემაში ასეთი რამ არაა, მაგრამ სხვა ვარსკვლავებს ჩვენს გალაქტიკაში შეიძლებოდა საკმაო ნახშირბადი ჰქონოდათ ალმასის პლანეტების ფორმირებისათვის.**



ალმასის პლანეტა სხვა გზით ვითარდება, ვიდრე დედამიწა, მარსი ან ვენერა – ესენი უპირატესად სილიკატური პლანეტები არიან. ნახშირბადული პლანეტები შემადგენლობით ეგებ ზოგიერთ მეტეორიტს ემსგავსებოდნენ.

ადრე ასტრონომებმა გამოაცხადეს ნამდვილი ალმასის პლანეტის აღმოჩენის შესახებ, რომელიც დედამიწიდან 50 სინათლის წელიწადში მდებარეობს. ამ ვარსკვლავის დიდ წილს (გულს) შეადგენს ალმასის მთლიანი კრისტალი.

## ინციდენტის შემდეგ წყალქვეშა თვალი ააგეს

**8 იანვარს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების წყალქვეშა ნავი „სან-ფრანცისკო“ ზღვის ფსკერზე შეეჯახა გორას, რის შედეგადაც ეკიპაჟის ერთი წევრი დაიღუპა, 23 კი სერიოზულად დაიჭრა. კაპიტანი ელის გამოძიებას, თუმცა უკვე ცხადია, რომ მთავარი მიზეზი ზღვის ფსკერის რუკების არასრულყოფილებაა.**

ახლაც კი ზღვის ფსკერის მხოლოდ 10 პროცენტზე ნაკლებია მაღალი სიზუსტით კარტოგრაფირებული, მსოფლიო ოკეანის სხვა რაიონებში კაპიტნები სულაც ძველისძველი, ლამის კაპიტან კუკის დროს გადმოხატული რუკებით სარგებლობენ.



ამერიკულმა კომპანიამ codaoctopus-მა დაიწყო ახალი ხელსაწყოს გამოცდა echoscope-სა, რომელიც წყალქვეშა ნავებს მხედველობის კარდინალურად ახალ დონეს ჰპირდება. პროექტის ავტორები ფიქრობენ, რომ მათი აპარატურა გამოდგება არა მარტო სამხედრო დარგში, არამედ ოკეანის მეცნიერულ გამოკვლევებში.

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, აცხადებს საერთაშორისო ღია ტენდერს სკოლამდელი და ინტერნატული ტიპის დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდია შემდეგი სახის პროდუქტები: პური, ბურღულეული, ხორცი, რძის პროდუქტები, შაქარი, ბოსტნეული, ხილი, კვერცხი, მარილი და სხვა, რომელთა სავარაუდო რაოდენობა და მიწოდების პერიოდულობა თითოეული დაწესებულებისათვის განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტით, ხოლო კონკრეტული რაოდენობა, ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შემსყიდველის მიერ დაზუსტდება მიმწოდებელზე ყოველთვიურად გაცემული ტექნიკური დავალებების საფუძველზე.

3. აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვა, კვების პროდუქტების მიწოდებაზე, დაყოფილია შესყიდვის 10 ლოტად:

3.1. ისნის ტერიტორიაზე (ისან-სამგორის რ-ნი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 24 ბ/ბაღი 2500 ბავშვზე, მ.ბ.ს. „მომავლის სახლი“ 60 ბავშვზე;

3.2. სამგორის ტერიტორიაზე (ისან-სამგორის რ-ნი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 24 ბ/ბაღი 4100 ბავშვზე, 9 წლ. სკ/ინტერნატი 260 ბავშვზე, მბ.ს. „სათნოება“ 54 ბავშვზე, მ.ბ.ს. „ლამპიონი“ 50 ბავშვზე;

3.3. ნაძალადევის ტერიტორიაზე (გლდანი-ნაძალადევის რ-ნი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისთვის – 24 ბ/ბაღი 3511 ბავშვზე;

3.4. გლდანის ტერიტორიაზე (გლდანი-ნაძალადევის რ-ნი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 28 ბ/ბაღი 4101 ბავშვზე;

3.5. დიდუბის ტერიტორიაზე (დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 17 ბ/ბაღი 2075 ბავშვზე;

3.6. ჩუღურეთის ტერიტორიაზე (დიდებუ-ჩუღურეთის რ-ნი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 16 ბ/ბაღი 1577 ბავშვზე, დამხმარე სკოლა 120 ბავშვზე;

3.7. მთაწმინდის ტერიტორიაზე (მთაწმინდა-კრწანისის რ-ნი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 11 ბ/ბაღი 1470 ბავშვზე;

3.8. კრწანისის ტერიტორიაზე (მთაწმინდა-კრწანისის რ-ნი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 10 ბ/ბაღი 1560 ბავშვზე;

3.9. ვაკის ტერიტორიაზე (ვაკე-საბურთალოს რ-ნი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 17 ბ/ბაღი 2333 ბავშვზე, წყნეთის ბ/სახლი 130 ბავშვზე;

3.10. საბურთალოს ტერიტორიაზე (ვაკე-საბურთალოს რ-ნი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 18 ბ/ბაღი 2174 ბავშვზე;

თითოეული ლოტი წარმოადგენს ცალ-ცალკე შესყიდვის საგანს და თითოეულზე გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული (ერთმა პრეტენდენტმა შეიძლება გაიმარჯვოს რამდენიმე ლოტზე).

4. მიწოდების სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 იანვრამდე.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 16 მარტის 10 სთ-დან 17 მარტის 17 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ხეთაგუროვის ქ. № 2, ქალაქ თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

**6.1. იურიდიული პირებისათვის:**

– ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

– ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

– ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

– ცნობა ქმედუნარიანობის შესახებ;

– ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

– ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

6.3. **როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირისათვის:**

– ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს 6.1 და 6.2 მუხლებში მოცემულ ყველა ცნობას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ

19 მარტის 12 სთ-დან 21 მარტის 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ხეთაგუროვის ქ. № 2, ქალაქ თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური. პრეტენდენტების მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს იმდენ ლოტზე, რამდენზედაც მის მიერ იქნება შემოტანილი განცხადება. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: დავით გოჩაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95 95 34 და ამირან ზაქარიაშვილი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95 53 57 შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ხეთაგუროვის ქ. № 2, ქალაქ თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია.**

## ალბომში

# ყველას რაიმე აქვს



ეს ფოტოსურათი 1969 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში სამეცნიერო სესიის დროს არის გადაღებული.

წინა რიგში: აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, პროფესორები: დომენტი ქორიძე და ალექსი ბოხოჩაძე.

მოგვაწოდა ღურმიშხან ცინცაძემ.

### ბატონ ბიძინა იმნაძეს

ფირმა „სანდოს“ კოლექტივი მთელი სულითა და გულით ულოცავს დაბადების დღეს, უსურვებს ჯანმრთელობას, წარმატებას, დიდხანს სიცოცხლეს თავის საყვარელ ადამიანებთან ერთად და ყველა იმ მიზნების შესრულებას, რაც მიზნად აქვს დასახული.

## გიხაროდენ!

# თინათინს ღირსეულ მანდილოსნად გავზრდით



**სამშობიარო სახლ „ორიონში“ 12 თებერვალს დაბადებულ მრავალ ახალშობილთა შორის საქართველოს ერთი გოგონაც შეემატა.** მისი მშობლებია ექიმი ნათია აბზიანიძე და უცხო ენების სპეციალისტი ლევან ისაკაძე. მათ გოგონას თინათინი დაარქვეს. დღეს პირველი შვილიშვილის შეძენით ხარობენ ბებია და ბაბუა – დალი და ვასილ აბზიანიძეები, მესამე შვილიშვილით ამაყობს ლევანის დედა გულნარა კალანდიაც.

ახალმომშობიარებული ნათია აბზიანიძე პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისთვის ემადლიერება „ორიონის“ დირექტორს, ცნობილ მეან-გინეკოლოგს დავით გაგუას, ნეონატოლოგს ნინო კამკამიძეს, უფროს მეძდას ნანული დამენიას და მთელ სამედიცინო პერსონალს.

– თინათინს ღირსეულ ქართველ მანდილოსნად გავზრდით, – ამბობენ პატარა გოგონას მშობლები.

**ნინო ლიბრაძე,**
**თბილისი.**

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

## კვირისხივოსანი

### საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახალარჩეულ თავმჯდომარეს, ბატონ კოტე კუბლაშვილს

უსამართლობის ასწარეზს
უნდა მოჭფინოს ნათელი,
ამას მოელის ყოველი
პატიოსანი ქართველი,

ხოლო, ვინც ავის მქმნელია
და შეირცხვინა ულვაში,
იმედიც ნურვის ექნება,
არ დაენახოს კუბლაშვილს!

**ვილენ მარდალეიშვილი.**



ბელა დურგლიშვილის მეგობრული შარჟი.

## ცოტაც გავიღიმოთ...



— ახალგაზრდა ქმარს ეკითხებიან:

— როდის დაგიმთავრდა თაფლობის თვე?

— როდესაც შევწყვიტე ჭურჭლის რეცხვაში ცოლის დახმარება და რეცხვა მთლიანად მე დავიწყე.

* * *

რუსეთიდან სამშობლოში მიმავალ უცხოელს ინტერვიუს დროს ჰკითხეს:

— ჩვენთან ყველაზე მეტად რა მოგეწონათ?

— ბავშვები.

— ბავშვები?

— დიახ, ბავშვები — ეს ერთადერთია, რასაც თქვენთან ხელით არ აკეთებენ!

* * *

— ექიმო, ასე რამ დაგაღონათ?

— დღეს ჩემი პაციენტი გარდაიცვალა...

— ეს გაკვეთილად გამოგადგებათ, მკურნალობის ფული წინასწარ უნდა აგეღოთ.

* * *

ქმარი ბრაზობს:

— ეს რა სადილია? ხორცი სულ არ ჩანს.

— მაგრამ, საყვარელო, — თავს იმართლებს ცოლი, — მე ზუსტად იმ რეცეპტით მოვამზადე, ბებიას დანატოვარ კულინარიის წიგნში რომ წერია.

— კი მაგრამ, რა წერია ასეთი?

— „აიღე ათი კაპიკის ხორცი“.

* * *

— ოფიციანტო, თევზის წვნიანს რატომ აქვს საპნის სუნი?

— იცით, რა. თევზი ძალზე ყარდა ნავთით, ამიტომ საპნით გავრეცხეთ.

* * *

ერთ საკანში ორი ქურდი ზის. ერთმა საათი მოიპარა, მეორემ — ძროხა.

ძროხის ქურდმა სხვისი საათების მოყვარულის გაკენწლვა მოინდომა და ეკითხება:

— რომელი საათია?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, ძროხის მოწველის დროა.

* * *

მიხომ ათასი ლარი წააგო და პარტნიორებს შეეხვეწა:

— ბიჭებო, გეხვეწებით, შემიბრალეთ! ცოლმა რომ გამიგოს ამდენი ფულის წაგება, თავს წამაგლეჯს, — თან თვალებზე ცრემლი მოადგა, — გაფიცებთ, დამიბრუნეთ ფული, თორემ დავიღუპე.

პარტნიორებმა შეიბრალეს და ფული დაუბრუნეს:

— ბიჭებო, — გააგრძელა ხელმოცარულმა, — ერთი ასი ლარიც დამიმატეთ, იქნებ ცოლმა იფიქროს, რომ მოვიგე!

## თბილისური ეტიუდები

# „სხვის ჩადგმულ თონეში პური არ გამომიცხვია...“

**ბოლო წლებში იმდენი ვწერეთ და ვიძახეთ – „პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო“, რომ აივსო ქალაქი ფურნეებით. ნაძალადევში, საითაც გეზი გვიჭირავს, სულ პატარა მონაკვეთზე, № 4 პურის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე პურის რვა საცხობია – „ქართული პური შეშაზე“, „მესხური პური“, „დედას პური“, „შოთი პური შეშაზე და გაზზე“... თვალს მოგჭრით რეკლამები.**

როგორც ამ საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა მითხრეს, 1974-75 წლებში თბილისში 14-15 პურის საცხობს დაითვლიდით, დღეს ათასამდეა (!).

რა ხდება, რაშია საქმე? ალბათ ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: დავიწყოთ იქიდან, რომ ტრადიციულად, ქართველები, სხვებთან შედარებით, გაცილებით ბევრ პურს მოვიხმართ, მეორე – უმუშევრობამ სხვა ხელობის კაცს პურის ცხობა დააწყებინა, რათა მცირეოდენი შემოსავლით ირჩინოს თავი და მესამე – ალბათ ძირითადი: საქართველოში მცხოვრებთა უმრავლესობა, უსახსრობის გამო, მარტო პურზე გადადის.

ამას წინათ, ერთ ხელოსანს ვკითხე – შემოსავალი თუ გყოფნით ოჯახის სარჩენად-მეთქი. „პურის ფულზე მყოფნის, ყველზე კი აღარო“, – მიპასუხა.

...მივაღწიეთ ადრესატამდე, რომელზეც პატარა ჩანახატის გაკეთებას ვაპირებ. ჭყონდიდელის (ყოფილ ხუთწლედის) ქუჩაზეა მისი თონე.

...ქორა გაგნიძეა ჩვენი მასპინძელი. 67 წლის კაცი. 45 წელია, პურს აცხობს. თონე პატარაა, კომპაქტური.

– ყველაფერი ჩემი ხელითაა გაკეთებული, ყველაფერი, რასაც აქ ხედავთ. – მეუბნება. – სხვადასხვა ადგილებზე ვმუშაობდი ამ წლების განმავლობაში და ყველაფერს ჩემი ხელით ვაკეთებდი – თონეებსაც კი. მე, მაგალითად, სხვის ჩადგმულ თონეებში პური არ გამომიცხვია, – რაჭულად, დინჯად მესაუბრება ქორა. – სამუშაო რომ მქონდეს, დღეში 150 კილოგრამ ფქვილს დავამუშავებ. ვაცხობ მრგვალ პურს, ლავაშს, ნაზუქს, სააღდგომოდ – პასკებს. რა მოგახსენოთ, რასაც მოითხოვს ხალხი, ყველაფერს გავახერხებ.

ძირითადად შეშაზე მუშაობს, არავითარი მექანიზაცია.

– ჩვენი ქორა ღმერთმა გამოგვიგზავნა, – მეუბნება თონეში შემოსწრებული სოსო ხონელიძე, – რამდენიმე წლის წინათ ჩვენს უბანში მუშაობდა, მერე აქ გადმოვიდა, მაგრამ როდესაც პური მჭირდება, აქ მოვდივარ, არ ვივიწყებ ძველ „დამპურებელს“.

– ნამდვილი თავისი საქმის ოსტატია, ოქროსხელებიანი, პატიოსანი და გამრჯე, – კვერს უკრავს მეზობელი მალხაზ ქიქირაშვილი.

– სხვებსაც უკეთებთ თონეებს? – ვეკითხები.

– კი, ბევრისთვის მაქვს ჩადგმული. უარს არავის ვეუბნები.

...იქ ყოფნისას, რამდენიმე ადამიანმა მოაკითხა პურსაცხობს. აღარ მოვაცდინე მასპინძელი. გადაირია, ასე როგორ გაგიშვათო, და რამდენიმე ცხელი ლავაში მანქანაში ძალით ჩაგვილაგა – წერილს რომ წერთ, ჩემი ნახელავი არ უნდა იგემოთო?

გეფიცებით, მართლაც სხვანაირი სურნელი და გემო ჰქონდა რაჭველის ნახელავს.

**გურამ გომართელი.**



## გულის სითბო

# მშობლიური კერა მიუსაფარი ბავშვებისთვის

„არა მგონია, იყოს რაიმე უკეთესი, ვიდრე ის, რომ დაეხმარო ბავშვს, უპოვო დედა, და-ძმა და მისცე სახლი და სოფელი. ეს არის არსებითი, რაც ბავშვს სჭირდება“.

**ჰერმან გმაინერი.**

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრიაში უამრავი ობოლი და უსახლკარო ბავშვი დარჩა მშობელთა მზრუნველობის გარეშე. სწორედ ამის გამო ჰერმან გმაინერმა 1949 წელს დაიწყო პირველი SOS – ბავშვთა სოფლის მშენებლობა ქალაქ იმსტში. დღეისთვის 130-ზე მეტ ქვეყანაში 390 „SOS – ბავშვთა სოფელია“ გაშენებული. საქართველოში სოფლის გაშენების იდეა სწორედ, რომ ჰერმან გმაინერის დამსახურებაა. „SOS – ბავშვთა სოფელი საქართველო“, ნუცუბიძის პლატოს მეოთხე მიკრორაიონს რომ გასცდებით, დედაქალაქის ბოლოს, ჰერმან გმაინერის ქუჩაზე, მთის ძირას დაცემულ მინდორზე მდებარეობს – ლამაზი სახლები, სპორტული მოედნებით, ბაღით, მშენებარე ახალგაზრდობის სახლით... მიუახლოვდებით და მოზარდების ჟრიამული გამცნობთ, რომ აქ „SOS – ბავშვთა სოფელია“, აქ იზრდებიან მზრუნველობას მოკლებული უმწეო და მიუსაფარი ბავშვები.**

**ჰერმან გმაინერმა მთელი ცხოვრება ამ იდეის ხორცშესხმას შეალია, და რაოდენ პარადოქსულია, რომ ისე წავიდა სამუდამო სასუფეველში, საკუთარი სახლი არ ჰქონია.**

**ასოციაცია „საქართველოს SOS – ბავშვთა სოფელი“ არის არასამეწარმეო, საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1989 წელს. დირექტორია ოთარ ნინუა.**

სოფელში 12 საცხოვრებელი სახლია. თითოეული სახლის დიასახლისი „დედაა“, 12-მა კეთილშობილმა ქართველმა მანდილოსანმა იკისრა აღმზრდელობითი მოვალეობა, მათ საკუთარი შვილი არ ჰყავთ და ამ სოფელს შეხიზნულ მშობელთა მზრუნველობასმოკლებული ბავშვების „დედობა“ იკისრეს. ყველა მათგანს პროფესიისთვის აუცილებელი და უპირველესი თვისება – „დედობის“ პასუხისმგებლობა გააჩნია – პატარა მამულიშვილი ქართულ ტრადიციებზე აღზარდოს.

მოზარდთა აღზრდა-განვითარების საკითხებში „დედებს“ დახმარებას პედაგოგები ია მეტრეველი, დავით ძიძიგური, ვეკო ჩარგეიშვილი და ზურაბ გორდელაძე უწევენ.

დღეს ამ სოფელში 82 ბავშვი ცხოვრობს, ოჯახში შვიდი სხვადასხვა ასაკის მოზარდი იზრდება. მათ ცხოვრებაში დაცულია ოთხი უცვლელი პრინციპი: დედა, და-ძმა, სახლი და სოფელი. სოფელს საკუთარი ცხოვრების წესები აქვს: – აქ არის ყოფა უბრძანებლოდ, შეგონებით, შეთანხმებით, მოფერებით, ურთიერთდახმარებით, სხვანაირად ვერც კი წარმოუდგენიათ.

პატარა ასაკის ბაშვები (8 აღსაზრდელი) ჯერ „SOS – საბავშვო ბაღი თბილისში“ სწავლობს (რომელიც – იქვეა). საბაშვო ბაღი მარტო მათ კი არა, ნუცუბიძის პლატოზე მცხოვრებ ოჯახებსაც ემსახურება. დირექტორი გულიკო ხუციშვილია. საბავშვო ბაღი მუშაობს „ტებაისტების“ მეთოდიკით, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების ინდივიდუალური მოთხოვნილებების, თვითშემოქმედების, გამომგონებლობისა და წარმოსახვის უნარის განვითარებას. სკოლის ასაკისანი კი 170-ე საშუალო სკოლაში სწავლობენ. სკოლაში არსებული ჰერმან გმაინერის კომპიუტერულ კლასში ბავშვები კომპიუტერულ განათლებას ეუფლებიან, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათი შემდგომი შრომითი საქმიანობისთვის.

**– მომავალში რა ბედი ელით ამ ბავშვებს?**

– თბილისში არსებობს სამი „SOS – ახალგაზრდობის სახლი“, სადაც უკვე ცხოვრობს 41 ახალგაზრდა, მათ 14-16 წლის ასაკში დატოვეს ბავშვთა სოფელი. ჩვენთან დაწყებული მზრუნველობა ახალგაზრდულ სახლში გრძელდება. ბავშვებს საშუალება აქვთ დაეუფლონ სასურველ პროფესიას, დასაქმდნენ და მოემზადონ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, – გვეუბნება ოთარ ნინუა, – უდიდესი ბედნიერებაა აჩუქო ბავშვს მომავლის იმედი. იმისთვის, რომ დახმარება გავუწიოთ პატარებს, რომელთაც ნაკლებად გაუღიმა ბედმა, საჭიროა დიდი გული და არა დიდი საფული. ჩვენ უკვე შევძელით ამ ბავშვების დახმარება (უცხოელების დაფინანსებით).

ცხოვრებისგან გარიყული ობლად დარჩენილი ბავშვების ბედმა ყველა უნდა ჩააფიქროს. სახელმწიფოსაც უჭირს, მაგრამ ყურადღება აუცილებელია. ქართველ ბავშვებს აქ აქვთ საკუთარი სახლი, თბილი გარემო და ბავშვთა დიდი კოლექტივი, სადაც დაძმებივით ცხოვრობენ. და, რაც მთავარია, მათ გვერდით ჰყავთ აღმზრდელი, მზრუნველი „დედა“.

**რიტა ჩაკვეტაძე.**



**სურათზე: ბავშვები ქობულეთში მასწავლებლებთან ერთად ისვენებენ.**

## მოდა

# ევა – პოდიუმის დედოფალი

**მსოფლიო დიზაინერების წარმატებული შემოქმედება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ წარმოაჩენს ნამუშევარს – მოდელს... ამ მხრივ, რამდენიმე მანეკენს შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ევა ჰერციგოვაა, რომელსაც მოდის სამყაროში პოდიუმის მერლინ მონროს უწოდებენ. ამ მოდელში ერთდროულადაა მონროს არაჩვეულებრივი სილამაზე და თანამედროვე ქალისთვის დამახასიათებელი ყოველი ნიუანსი. დღემდე მას პოდიუმის დედოფლად მიიჩნევენ, თუმცა, იგი ასაკის მომატებასთან ერთად, ბოლო დროს, სხვადასხვა დეფილეებში ნაკლებად მონაწილეობს.**

ევა ჰერციგოვა ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის საზღვართან ახლოს, ძალიან ღარიბულ კვარტალში ცხოვრობდა. მას მანეკენობაზე არასოდეს უოცნებია. 1989 წლის ერთ-ერთმა სამოდელო სააგენტომ მანეკენთა შესარჩევი კონკურსი გამართა და ევამ პირველობა სწორედ მაშინ მოიპოვა. აქედან დაიწყო მისი წარმატებული სამოდელო კარიერაც. ამ გზაზე თავდაპირველად ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა (რაც შოუ-ბიზნესში ჩვეულებრივი მოვლენაა), უფროსი კოლეგები მომხიბვლელ გოგონას შურით უყურებდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ მისთვის ხელი შეეშალათ, მაგრამ სრულფასოვანმა და გამორჩეულმა სილამაზემ მისი უდიდესი წარმატება არ დააყოვნა.

– ჩემი პროფესია, შეიძლება ითქვას, „სასიამოვნოდ დამღლელია“, თითქმის ყოველდღე მიწევს პოდიუმზე გამოსვლა, გაუთავებელი რეისები. პარიზი – მილანი – ლონდონი – ნიუიორკი... უფრო ხშირად თვითმფრინავში მძინავს, პირადი ცხოვრებისთვის კი დრო ნაკლებად მრჩება... აღნიშნავს ყველა დიდი დიზაინერის სასურველი მოდელი.

პაკო რაბანი, ჟივანში, კარლ ლაგერფილდი, ივ სენ ლორანი, კრისტიან ლაკრუა და სხვა მოდის სამყაროს წამყვანი დიზაინერი თავიანთი კოლეგების ჩვენებას ევა ჰერციგოვას მიერ წარმოდგენილი მოდელით იწყებენ და ასრულებენ კიდეც, რაც პოდიუმზე უდიდეს ეფექტს ახდენს.

სტატისტიკური მონაცემების მოყვარულმა ინგლისელებმა ყველაზე მომხიბვლელი და სასურველი ქალის გამოსავლენად, გამოკითხვა ჩაატარეს – შედეგად გაირკვა, რომ მამაკაცთა უმრავლესობამ სწორედ ევა ჰერციგოვა დაასახელა.

ჩეხი მოდელი კვლავ პოდიუმის დედოფალია.

**ლელა დონაძე.**

**სურათებზე: ევა ჰერციგოვა.**







## აბა, როგორ!

# დააკავეს თურქული თევზსაჭერი სეინერი

**სანაპირო დაცვის ფოთის ბაზამ პორტის რეიდზე ორი თურქული თევზსაჭერი სეინერი დააკავა. ქართული დროშის ქვეშ მცურავი „ზაგორ-2“ და „ადამბაგა-3“ თევზის რეწვას აწარმოებდნენ.**

ორივე სეინერზე ეკიპაჟის 40-მდე წევრია.

ქართული მხარე თურქული სეინერების მეპატრონეებს აკრძალულ ზონაში თევზჭერაში ადანაშაულებს, რაც თითო სეინერზე 50-დან 70 ათას ლარამდე ოდენობის ჯარიმას ითვალისწინებს.

თურქულ მხარეს დაკავებისას ქართველი მესაზღვრეებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

დაკავებული სეინერები ფოთის სანაპირო დაცვის ბაზაზეა ბადრაგირებული.

**ინტერ-პრესი.**

## აკადემიკოს სერგი დურმიშიძის ხსოვნას

# ფუძემდებელი



გამოჩენილ ბიოქიმიკოსს, საქართველოში ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ამავე სახელწოდების ინსტიტუტის დამაარსებელს და პირველ ხელმძღვანელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს სერგი დურმიშიძეს ამ დღეებში ოთხმოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდებოდა.

მრავალი წლის განმავლობაში ბატონი სერგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი – ჯერ აკადემიკოს-მდივანი და შემდეგ ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს მრავალგზის მოწვევის დეპუტატი, სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, მრავალი საპრობლემო საბჭოს, კომისიის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და წევრი.

სერგი დურმიშიძე მრავალი სამეცნიერო, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურულ-მხატვრული ჟურნალების სარედაქციო საბჭოს წევრი და რესპონდენტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე იყო. ფართოა ბატონი სერგის მეცნიერული კვლევის დიაპაზონი. მსოფლიო აღიარება ჰპოვა მისმა გამოკვლევებმა სპირტული დუღილის ბიოქიმიაში, ორგანული მჟავების და ამინომჟავების ცვლაში, ფლავონოიდების ქიმიასა და ბიოქიმიაში, ფენოლური ნაერთების ქიმიური რეგულატორების მეტაბოლიზმში. და ბოლოს მის მიერ ჩამოყალიბებულ მიმართულებაში გარემოს დამბინძურებლების ბიოლოგიური დეტოქსიკაციის თეორიის ჩამოყალიბებაში, ე. წ. მცენარეთა ქსენობიოქიმიაში.

სერგი დურმიშიძის კალამს ეკუთვნის მრავალი ფუნდამენტური და გამოყენებითი მონოგრაფია; მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია შრომათა კრებულები: წიგნები ბიოქიმიის ისტორიიდან გამოჩენილ მეცნიერებზე, შესანიშნავი ესეები ქართველ მეცნიერებზე და საზოგადო მოღვაწეებზე.

სერგი დურმიშიძე შესანიშნავი მასწავლებელი იყო – 25 წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ორგანულ ქიმიასა და ბიოქიმიაში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ოცდაათი წელი მიჰყავდა მცენარეთა ბიოქიმიის და ტექნიკური ბიოქიმიის კურსები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მიმზიდველი, ცოცხალი და ღრმად ერუდირებული ლექციები, ხატოვანი სიტყვა, ადვილად გასაგებს ხდიდა ბიოქიმიის ურთულეს მცნებებს და პრობლემებს.

დიდია ს. დურმიშიძის დამსახურება, როგორც მეცნიერების ორგანიზატორისა. 1943-53 წ.წ. იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორია. მისი ხელმძღვანელობით ეს ინსტიტუტი ერთ-ერთი მოწინავე სამეცნიერო-კვლევითად გადაიქცა.

1953-54 წ.წ. იგი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრია. სერგი დურმიშიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ერთ-ერთი უძველესი ხელმძღვანელი იყო. 1955 წლიდან 16 წელი იგი აკადემიის აკადემიკოს-მდივანია, 1972 წლიდან კი, იმავე ვადით, ვიცე-პრეზიდენტი.

1954 წლიდან იგი საქართველოს უმაღლესი საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატი იყო და პირნათლად ემსახურებოდა ხალხს.

სერგი დურმიშიძის ფასდაუდებელი დამსახურებაა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომლის კოლექტივის ფორმირება მან 1956 წლიდან დაიწყო. ინსტიტუტი 1971 წელს დაარსდა. დღეისათვის ინსტიტუტის დიაპაზონი გაფართოვდა და ამჟამად სახეზეა ს. დურმიშიძის სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის სახით, იგი თავის მოღვაწეობას წარმატებით აგრძელებს.

თხუთმეტ წელზე მეტია რაც ჩვენგან წავიდა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე, გამორჩეული მეცნიერი და აღმზრდელი, რომლის საქმენი და სახელი მუდამ იქნება მისი მეგობრების, კოლეგების და აღზრდილების ხსოვნაში.

**აკადემიკოსები: გიორგი კვესიტაძე, ნოდარ ნუცუბიძე.**

მეუღლე ლეილა (ფუსუსი) გაჩეჩილაძე, ძმა ვაჟა შენგელაია, ცოლისდა ლენა გაჩეჩილაძე, რძალი ირა შენგელაია, დისწულები ინეზა, ზვიად ხორავები, ძმისწულები მანანა, ნანა შენგელაიები, ცოლის დისწული რუსუდანი, შვილიშვილი ლაშა არაბიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ივანე (ვაღური) მიხეილის ძე შენგელაია

პანაშვიდი 27, 28 || 16 სთ, დაკრძალვა 1 ||| 14 სთ. რჩეულიშვილის || კორპუსი, | სადარბაზო, ||| სართული.

---

უახლოესი მეგობრები: ოთარ ბერიშვილი, ოთარ გორდელაძე, ნოდარ ნებიერიძე, გურამ გასიტაშვილი, ხუტა მიქელაძე, სულიკო კოროშინაძე, სოსო ბათიაშვილი, ოთარ არეშიძე, ჯემალ წიკლაური იუწყებიან ქალაქის კოლორიტის, უსაყვარლესი პიროვნების

ნოდარ (ჩუბა) ჩუბინიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

შვილი დოდო მგელაძე, შვილიშვილები რუსუდან, სანდრო არველაძეები, და თინა, სიძე ალექსანდრე ღვალაძეები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სათნო ქალბატონი

სულიკო მგელაძე

პანაშვიდი 27, 28 || 16 სთ, გამოსვენება 1 ||| 14 სთ, თარხნიშვილის 18, || სადარბაზო.

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ვილენ მარდალეიშვილი.

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika